პალიტრა მედია

ლელო

საქართველოს

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 დეკემბერი ოთხშაბათი 2009

№284 (12963) ფასი 60 თეთრი

FRANCE football

ოქროს ბურთი

ლეო მესის

>> გვერდი 6

ორი სათასო სასწაული

კოლხეთის მარტვილობა და გორში დაცემული ზესტაფონი

პირველი ლიგის გუნდი პირველად ნახევარფინალში

გუშინ ფოთში მარტვილი ზეიმობდა

თომა ჩალაძის ფოტო

სიჭინავას უეფაში პროექტი მიაქვს

ფედერაციის პრეზიდენტი: ამ სკანდალის აგორებით მე ნამდვილად არ ვარ დაინტერესებული

>> გვერდი 2

მაფია ფეხბურთში

500 ათასი წაგების სანაცვლოდ

>> გვერდი 9

MS კომფორტული
დინამიური
MS ხელმისაწვდომი
MS
აღმოაჩინე...
MS ლამაზი
MS
სასარგებლო
MS უვნებელი

>> გვერდი 2-3

ინტერვიუ

ზვიად სიჭინავა

მე ამ სკანდალის აგორებით დაინტერესებული ნამდვილად არ ვარ

ფედერაციის ახალი ვალები და პროექტი მიშელ პლატინისთვის

8 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა უეფას თავკაც მიშელ პლატინის შეხვდება. მას პლატინისთან პროექტი მიაქვს. უეფას მესვეურის გარდა, სიჭინავას სხვა შეხვედრებიც აქვს დაგეგმილი, მათ შორის, ერთ-ერთია მსხვილ ბანკთან, ასევე, პოტენციურ ტექნიკურ სპონსორთან...

გარდა ამისა, საინტერესოა, რაზე ესაუბრა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიჭინავას, უცხოური კომპანიების რა ვალი აქვს ფედერაციას, არის თუ არა მისი ანგარიში დაყადაღებული, როგორია აუდიტის საბოლოო დასკვნა, როგორია მისი პოზიცია ეგრეთ წოდებულ ნარკოსკანდალზე, რა ტევადობის იქნება ბათუმისა და ქუთაისის ახალი სტადიონები... ზვიად სიჭინავას სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ...



- კიდევ ერთხელ იყავით რეგიონებში და ქუთაისში ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდით. ინფრასტრუქტურის, სტადიონებისა და ბაზების გარდა, სხვა რა საკითხზე ელაპარაკეთ ქვეყნის პირველ პირს?

- უმთავრესად სტადიონებსა და ბაზების აშენება-რეკონსტრუქციაზე ვისაუბრეთ. 2010 წელს ქუთაისსში დაიწყება და წლის ბოლოს დასრულდება სტადიონის რეკონსტრუქცია. რაც შეეხება ბათუმის არენას, მას ჰოლანდიელები ააშენებენ. აჭარის მთავრობის მეთაური ლევან ვარშალომიძე მათ იანვარში შეხვდება. მარტში კი საბოლოო შეხვედრა გაიმართება, რომელზეც ყველა დეტალი შეთანხმდება. მომავალი წლის გაზაფხულზე ბათუმში დაიწყება ანგისის სტადიონის მშენებლობაც. ვილაპარაკეთ საგურამოს ბაზის სრულყოფაზე, ლაგოდეხისა და გრიგოლეთის ბაზებზე... მოგეხსენებათ, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" უკვე დაწყებულია სამუშაოები... გარდა ამისა, გვინდა, ზუგდიდის „ბაიას" ბაზისნაირი აღმოსავლეთ საქართველოშიც გაკეთდეს. მაგრამ სად იქნება ეს ბაზა, ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

- გასაგებია, რომ ბათუმის არენას ჰოლანდიელები დააპროექტებენ და ააშენებენ, მაგრამ ქუთაისის სტადიონის პროექტი თუ არის მზად? და კიდევ - 4 მილიონი ლარი უკვე გამოყოფილია „ტორპედოს" არენისთვის?

- ცნობილ არქიტექტორ არჩილ ქურდიანს, რომლის პროექტიცაა ჩვენი ეროვნული სტადიონი, ფიფა-უეფას მოთხოვნები გადავეცით... ქუთაისისა და ბათუმის არენები ოთხვარსკვლავიანი იქნება. აჭარის მთავარი სტადიონის ტევადობა 10 ათასი, ხოლო ქუთაისის სტადიონისა 15 ათასი იქნება.

- 8 დეკემბერს უეფას პრეზიდენტს შეხვდებით. როგორც გავიგე, ევროპული ფეხბურთის თავკაცთან თქვენი პროექტით მიდიხართ...

- დიახ, მცირე პროექტია, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარების სხვადასხვა სექტორს მოიცავს. კერძოდ, მწვრთნელთა განათლება, ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება... გარდა ამისა, პლატინისა და უეფას ხელმძღვანელობას დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა უნდა გავაცნოთ, რომელიც სფფ-ის შემოწმების შემდეგ გაკეთდა. უეფას პრეზიდენტს ფედერაციის ახალი, უკვე შეცვლილი წესდებაც უნდა გავაცნო... კიდევ სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრები მექნება ევროპაში, რომელიც ჩვენს ფეხბურთს წაადგება.

- როგორც გავიგე, შუა ევროპაში ერთ-ერთ მსხვილ ბანკთანაც გაქვთ აუდიენცია. ეს ბანკი ფედერაციის პარტნიორი გახდეს?

- მართალი ხართ, შვეიცარიაში UBS ბანკის წარმომადგენლებს შევხვდები. რაღაც შეთავაზება მაქვს და იმედია, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება... კიდევ არა ერთი შეხვედრა მექნება. არაერთხელ მითქვამს - არაფერი მაინტერესებს გარდა ერთისა, რომ ქართული ფეხბურთი განვითარდეს... ასევე შევხვდები „ინფრონტის" ხელმძღვანელებს. მოგეხსენებათ, ეს კომპანია ჩვენი ეროვნული ნაკრების მატჩების ტრანსლაციების უფლებას ფლობს. „ინფრონტთან" კონტრაქტი ფედერაციის სათავეში ჩემს მოსვლამდე გაგრძელდა. მინდა, მათ ახალი პროექტი შევთავაზო, რომელიც ჩვენი პირობების გაუმჯობესებას უკავშირდება და ვფიქრობ, არც „ინფრონტი" უნდა იყოს წინააღმდეგი... მოკლედ, ორი დღის განმავლობაში 8-9 შეხვედრა მაქვს დაგეგმილი.

- ისიც გავიგეთ, თითქოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური სპონსორიც შეიძლება შეიცვალოს. პარტნიორობაზე „ადიდასთან" ხომ არ აპირებთ მოლაპარაკებების გამართვას?

- სხვათა შორის, ამ საკითხზე უკვე მქონდა კონსულტაციები. ეჰ, „ადიდასი" რომ გახდეს ჩვენი ნაკრების ტექნიკური სპონსორი, ამას რა აჯობებს, მაგრამ... როგორც მითხრეს, „ადიდასი" 260-ზე მეტ გუნდს მოსავს. ასე ვთქვათ, კლიენტების რიგი უდგას...

» მე-5 გვერდზე

თითქმის დაუჯერებელი...

01.12.09. გორი. თ. ბურჯანაძე
300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია	4	ქ.დ. 3
ზესტაფონი	0	0

პირველი მატჩი 0:3

1:0 ბეჭვაია (6), 2:0 ლიპარტია (52), 3:0 ჯაფარიძე (62), 4:0 კვარაცხელია (117. მელქაძის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, მგელაძე, ლომაია, ჯაფარიძე - ბეჭვაია (77. ზაქრაძე), დათუნაიშვილი, ვასაძე, ლიპარტია (118. ადამაძე), კლიმიაშვილი (97. მელქაძე) -კვარაცხელია.

სათადარიგო: მიქაბერიძე, გურეშიძე, ჯანელიძე, ბერიაშვილი

ზესტაფონი: მამალაძე - ბენაშვილი (116. ნ. კვასხვაძე), ლობჟანიძე, ონიანი, მაკარიანი (64. ელიავა) - აფციაური, ძარია, დაუშვილი, კორლალიძე (67. წინამძღვრიშვილი), გრიგალაშვილი - დვალი.

სათადარიგო: რ. კვასხვაძე, იონანიძე, ხიდეშელი, ცხადაია

გაფრთხილება: კვარაცხელია (70), აფციაური (79), დათუნაიშვილი (115), ლობჟანიძე (116)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი



ფოტო: www.witgeorgia.ge

თასის მეოთხედფინალში ეს წყვილი უძლიერესი იყო. პირველ მატჩში დაფიქსირებული 3:0-ის შემდეგ უკიდურესად ძნელი წარმოსადგენი იყო მოვლენების იმგვარი განვითარება, როგორც ეს გუშინ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე მოხდა. ქებათა ქება „ვიტ ჯორჯიას", რომელმაც მისებრ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან პაექრობაში ნახევარფინალის იმედი არ დაკარგა და ერთი შეხედვით, მართალაც შეუძლებელი შეძლო. სხვათა შორის, „ზესტაფონმა" ბოლო ხუთ დღეში მეორე შეხვედრა გამართა გორში და მისთვის უჩვეულოდ ბევრი - 7 გოლი გაუშვა („სპარტაკთან" 3:3, „ვიტ ჯორჯიასთან" 0:4).

წინასამატჩო პროგნოზებით, იმერლები თითქოს კარგ ხასიათზე უნდა გაბრუნებულიყვნენ შინისკენ. საბოლოო ჯამში კი დიდი სიამოვნება მიიღო ტრიბუნაზე შეკრებილმა მცირერიცხოვანმა გულშემატკივარმა, რომელიც ქართული გუნდებისგან ამგვარი პაექრობებით განებივრებული არ არის.

მატჩის დებიუტი სწრაფი და ულამაზესი გოლით აღინიშნა. მე-6 წუთზე სტუმართა ჯაჯარიმოში მყოფმა **გიგა ბეჭვაიამ** „სტანდარტულიდან" პასი კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო და ეფექტური დარტყმით გადაგზავნა **ზურაბ მამალაძის** კარში - 1:0. გოლმა ვიტელთა ქომაგებს ნახევარფინალზე ოცნება გაუმძაფრა, ზესტაფონელები კი მცირედით ააღელვა.

მე-10 წუთზე იმავე ბეჭვაიამ მარჯვენა ფლანგიდან კიდევ ერთხელ შეაწუხა სტუმართა დაცვის ხაზი, თუმცა იჩქარა და კარგ პოზიციაში მყოფი თანაგუნდელისთვის გადაწოდებას კარში დარტყმა ამჯობინა, თუმცა ეს უზუსტოდ გააკეთა. ამ დღეს ის უფრო ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა და ვფიქრობთ, ეს კარგადაც გამოსდიოდა. ჩვეულებრივ ამ პოზიციაზე მოთამაშე **გიორგი კახელიშვილი** კი, ისევე, როგორც გუნდის კიდევ ორი გამოკვეთილი ლიდერი - **ლექსო კვახაძე** და **ლუკა რაზმაძე** - მეოთხედფინალს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა.

რაზმაძის ადგილზე **მერაბ კოჭლაშვილს დათუნაიშვილი** ჰყავდა გამწესებული, კვახაძის პოზიციას კი **მგელაძე** ამაგრებდა. დაწინაურებულ მასპინძლებს პირველად **თორნიკე აფციაურის** ოდნავ უზუსტო დარტყმისაგან შეეტყოთ ანერვიულება. ეს უკანასკნელი ამ დღესაც გამოკვეთილი ფიგურა იყო თავის გუნდში - ბევრს შრომობდა შუა ხაზში, ორგანიზებას უწევდა იერიშებს და მცველთა დასახმარებლადაც დროულად იხევდა უკან...

აი, უკან კი ზესტაფონელებს მართლაც დიდი სამუშაო ჰქონდათ. 37-ე წუთზე „სტანდარტული" კარგად გაათამაშეს **ლიპარტიამ** და **კვარცხელიამ**, თუმცა ამ უკანასკნელმა უზუსტოდ დაარტყა. სამ წუთში, სწრაფი კონტრშეტევისას, მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილმა** სცადა კვარაცხელიას მეკარესთან პირდაპირ გაყვანა, ბურთის უკუგდებისას **უჩა ლობჟანიძე** შეცდა და ვიტელთა ერთადერთი ფორვარდი დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა, თუმცა დარტყმა კვლავ არაზუსტად შეასრულა.

„ზესტაფონი" კი დამაჯერებლად აგორებდა ბურთს, ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმის მიწურული და მეორის დასაწყისი **გია გეგუჩაძის** გუნდს ცუდს აღარაფერს უქადდა. მეტიც, 50-ე წუთზე სახეირო პოზიციაში მყოფ **ჯაბა დვალს** კარგად რომ დაერტყა, „ვეტერინართა" იმედები იქვე დასამარდებოდა. ორ წუთში კი ეს ნახევარფინალის იმედი ერთობ რეალური გახდა - მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა ლიპარტიამ უხერხული პოზიციიდან დაარტყა, მამალაძე ბურთს კი მისწვდა, თუმცა კარგად ვერ მოიგერია და... კარში გაუშვა - 2:0.

იგრძნეს რა მოახლოებული საფრთხე, გეგუჩაძის შეგირდებმა ვიტელთა დაშოშმინება ბურთის დაჭერით და საკუთარი საჯარიმოს მისადგომების უფრო საიმედოდ გადაკეტვით სცადეს. ერთხანს ეს კარგადაც გამოსდიოდათ. გარდამტეხი აღმოჩნდა 62-ე წუთი, როცა **ლაშა ჯაფარიძემ** დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა - 3:0.

ძირითადი დროის ბოლომდე „ზესტაფონი" ერთთავად იერიშებში იყო, ბედიაშვილის კართან შტურმიც მოაწყო. აი, 70-ე წუთზე **შოთა გრიგალაშვილმა** ახალშესული **რატი წინამძღვრიშვილი** მოძებნა ზუსტი პასით. ექსამერელს გატანა მართებდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტის რეალიზაცია ვერ შეძლო. ექვს წუთში ისევ წინამძღვრიშვილი მოხვდა სახეირო სიტუაციაში, თუმცა მასპინძელმა მცველებმა იმარჯვეს და შეტევა მოიგერიეს.

ძირითადი დროის ამოწურვამდე გოლთან ახლოს არც ერთი გუნდი აღარ ყოფილა. ბოლოს გეგუჩაძემ თავის ფეხბურთელებს მთელი ძალებით შეტევის, კოჭლაშვილმა კი სიმშვიდისა და საქმის დამატებით დრომდე მიყვანისკენ მოუწოდა. საბოლოოდ, **ალექსანდრე კრიჭაშვილის** სასტვენმა სწორედ ეს გვაუწყა - კიდევ 30 წუთი.

დაძაბულობა და ნერვული ფონი, ხისტი თამაში და მუდმივი უკმაყოფილება არბიტრის გადაწყვეტილებებით... დამატებით დროში ნერვების ომი უფრო შესამჩნევი გახდა. ფეხბურთელთა გადაღლის გამო სათამაშო ტემპმა იკლო, თუმცა სახიფათო მომენტები მაინც იქმნებოდა. 98-ე წუთზე შესანიშნავ პოზიციაში მყოფი, მოედანზე ახალშესული **მელქაძე** შენიშნა კვარაცხელიამ, მაგრამ კარგი პასი გოლად ვერ აქცია. ცოტა ხანში დვალის ყუმბარისებურ დარტყმას ჯაფარიძე გადაეფარა, ორიოდ წუთში ზესტაფონელებმა ბედიაშვილის შეცდომით (კარიდან გამოსვლისას) ვერ ისარგებლეს...

ამასობაში საპენალტო ლატარიის სურნელი დატრიალდა. მაგრამ დამატებითი დროის ამოწურვამდე სამი წუთით ადრე, კვარაცხელიამ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში შესაშური თავგანწირვით იბრძოდა, მელქაძის ჩაწოდებული თავური დარტყმით გოლად აქცია - 4:0. „ვიტ ჯორჯიამ" ზღვა სიხარული, „ზესტაფონმა" კი ტკივილი ვერ დამალა...

მატჩის შემდეგ გია გეგუჩაძემ ვრცელი კომენტარისაგან თავი შეიკავა, ეგ იყო მხოლოდ, რომ „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვება მიულოცა.

მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია): *„როცა ვთქვი, ზესტაფონში 0:3 შემთხვევით წავაგეთ-მეთქი, ბევრმა ჩემი სიტყვები არასერიოზულად მიიღო. აგერ არის ფაქტი ჩვენი სიძლიერისა. ზესტაფონში ბევრი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ, მართალია, დღეს მეტოქესაც ჰქონდა მომენტები, ჩვენ კი სამი ლიდერი გვაკლდა და ამ მხრივ უმძიმეს ვითარებაში ვიყავით. თუმცა ეს უკვე წარსულია, ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა".*

ვასილ ბალახაძე
გორიდან

დღეს

სპარტაკი-ბაია

02.12.09. გორი.
ქართული
13:30

პირველი მატჩი 1:1

დისკვალიფიკაცია:
ლ. ვაშაკიძე (ს)

დინამო-ჩიხურა

02.12.09. თბილისი.
მ. მესხი
18:00

პირველი მატჩი 1:1

დისკვალიფიკაცია:
ჯუისი (დ), როგავა (ჩ)

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

01.12.09. ფოთი. ფაზისი.
400 მაყურებელი

კოლხეთი 1
მარტვილი 1

პირველი მატჩი 0:0

0:1 გიორგობიანი (41), 1:1 გვალია (49)

გამოუყენებელი პენალტი: ციკოლია (81. მეკარე)

კოლხეთი: შენგელია, ცხვიტარია, თედიაშვილი, გელაჭეიშვილი, გულუა (გვალია, 46), ფარცხვანია, ჯოჯუა, სიჭინავა, ლემონჯავა (მალიჩავა, 83), ციცხვაია, წიქარიშვილი (ციკოლია, 75).

სათადარიგოები: გოგონაია, გეგელია

მარანი: შეროზია, ჩხიკვაძე, პაპანდოპულოსი, იობაშვილი, წოწორია, ფაცაცია, ხვადაგიანი, ბუკია, ბერუაშვილი, გიორგობიანი (ამბროლაძე, 68), კუჭუხიძე (ტორაძე, 77).

სათადარიგოები: მელიავა, თურმანიძე

გაფრთხილება: გულუა (2), ბერუაშვილი (25), ჩხიკვაძე (59), ციკოლია (89)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

სარკო! სარკო! სარკო!

გეგეჭკორი ვერც სიჭინავამ და კომპანიამ შეაჩერა

მარტვილელთა სიხარული

თავიდანვე განვმარტავთ, სათაურმა შეცდომაში რომ არ შეგიყვანოთ - ფოთის სათასო მატჩთან თბილისისა და ჯერაც სფფ-ის აღმასკომის მთავარი პატრული **გიორგი გეგეჭკორი** და იმავე სფფ-ის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** არაფერ შუაში არიან - უბრალოდ, ამ უკანასკნელის მოგვარე კოლხმა თავის თანაგუნდელებთან ერთად ვერაფერი გაანყო და ვერ შეაჩერა დღევანდელი მარტვილისა და ყოფილი გეგეჭკორის (წინათ ხომ ეს სახელი ერქვა ქალაქს) საფეხბურთო კლუბის სათასო ამბიცია...

ჰო, არც ჩვენთვის კარგად ნაცნობ „სარკოს" (გაიხსენეთ **ნიკოლა სარკოზის** თბილისური ვიზიტი შარშანდელი აგვისტოს მძიმე დღეებში) სკანდირებდნენ გუშინ „ფაზისზე" - ვინც მეგრული არ იცის, გეტყვით, რომ „სარკო" „სასწაულს" ნიშნავს და მარტვილელთა ტრიუმფი რომ პატარა სასწაული მაინც არის, ალბათ, ამაში ყველა დაგვეთანხმებით.

მართალია, გუშინ „სარკო, სარკოს" არ სკანდირებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, მთელი თამაშის განმავლობაში გამაყრუებლად გაისმოდა - „მე-რა-ნი! მე-რა-ნი! გო-ლი! გო-ლი! ჯო-ნი! ჯონი!". ასე სკანდირებდნენ სტუმარი ფანები, რომლებიც საკმაოდ მრავლად ეწვივნენ „ფაზისის" სტადიონს - რა ასაკის ადამიანს არ ნახავდით მარტვილიდან ჩამოსულს: პატარა გოგო-ბიჭებიდან დაწყებული, ასაკოვანი ხალხით დამთავრებული. „მერანს" ხმის ჩახლეჩამდე ქომაგობდნენ ქალბატონებიც.

მარტვილელთა ქომაგობამ გაჭრა - „მერანმა" ნახევარფინალში გამსვლელი ფრე ითამაშა, სტუმრებმა გოლიც გაიტანეს და მათმა მეკარე **ჯონი შეროზიამ** სასწაულებიც მოახდინა. 100-კაციან ფანობას ფრაზები „გადანაწილებული" ჰქონდა - როცა კარს იცავდნენ, მეკარეს მისი სახელის სკანდირებით ამხნევებდნენ, თამაში მოედნის შუაგულში რომ მიმდინარეობდა, კლუბის სახელს აგუგუნებდნენ, შეტევისას კი... უბრალოდ, გოლს ითხოვდნენ. გადასვლებსაც იმდენად ოსტატურად აკეთებდნენ, მასპინძელი ფანებიც კი გამოაფხიზლეს, თუმცა ეს უკანასკნელნი სტუმრებს მაინც ვერ გაუტოლდნენ.

აქამდე, სამეგრელოს რეგიონის კლუბებიდან სათასო პაექრობებში „კოლხეთი" თუ გამოირჩეოდა. მისთვის, წარსულის გათვალისწინებით, სათასო ნახევარფინალი, პირველში კი არა, მეორე ლიგაშიც რომ იყოს, დიდი მოულოდნელობა ვერ იქნებოდა. თუმცა მარტვილელებმა კი ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს და დიდი სენსაციაც შემოგვთავაზეს - დღევანდელ „კოლხეთთან" ფრე სულაც არ არის თანალიგელი კლუბისთვის მიუღწეველი, მაგრამ თასის ფინალის წინა სტადიაზე პირველად გააღწია გუნდმა, რომელსაც უმაღლეს ლიგაში არასდროს უთამაშია!

თავად შეხვედრა საინტერესო სანახავი გამოდგა. მართალია, კლუბებს სათამაშო კლასი და საშემსრულებლო ოსტატობა აკლდათ, მაგრამ ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და როგორც სათასო მატჩებს შეჰფერის, მაყურებელს დაძაბული თამაში შესთავაზა.

თავიდანვე გეტყვით, რომ თავისი თამამი გადაწყვეტილებით გაგვაოცა სტუმართა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** - „მერანი" ფრესა და დაცვაზე მოთამაშე გუნდს უკვე პირველი წუთებიდანვე არ ჰგავდა. დაგვეთანხმებით, გასვლაზე, თანაც საპასუხო ნახევარფინალში, ასეთი გადაწყვეტილება მეტად სარისკო იყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამან გაამართლა.

უკვე მე-2 წუთზე „კოლხეთი" გაძევებას გადაურჩა - **ლევან გულუამ** საბრძოლო შეჯახების შემდეგ მეტოქე მობურთალს სასტვენის შემდეგაც ჩაარტყა ფეხებში, მაგრამ არბიტრმა **გიორგი კიკაჩეიშვილმა** მასპინძლები აშკარად დაინდო.

საწყის წუთებში თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თითქოს ფოთელები სჯობდნენ კიდეც, მაგრამ სტუმრებიც მწარედ იჩხვლიტებოდნენ. ამის პასუხად, ორივე გუნდის მეკარემ საიმედოდ ითამაშა.

31-ე წუთზე, „მერანი" გოლს გადაურჩა - მეკარის ბაქნიდან **დავით ციცხვაია** ურტყამდა, მაგრამ შეროზიამ ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული ჯერ მოიგერია, ხოლო შემდეგ, მცველების დახმარებით, კარის ხაზზე შექმნილი არეულობა ბურთის ხაზზევე გაქვავებით განმუხტა. ორ წუთში, მეკარემ საჯარიმოდან სახიფათოდ დარტყმული უკვე **დავით სიჭინავას** აუღო.

ამის შემდეგ მარტვილელებმა აქტიურად შეუტიეს - ჯერ **ირაკლი ხვადაგიანის** სახიფათო ჩაწოდებას არავინ გამოეხმაურა, მალევე **ცოტნე ბუკიას** უკვე **გიზო შენგელიამ** არ მისცა გატანის საშუალება.

თუმცა 41-ე წუთზე „მერანმა" მაინც შეაგდო - საჯარიმოს მისადგომებთან უმეთვალყურეოდ დატოვეს **ოთარ გიორგობიანი**, რომელმაც წინ შეიგდო ბურთი, მასპინძლებს კი მოეჩვენათ, რომ ეს ხელით გააკეთა და სავარაუდოდ, ამიტომაც გაჩერდნენ, რაც მათთვის საბედისწერო გამოდგა - სტუმარმა თავდამსხმელმა შენგელიას აუღებელი დაუტყა - 1:0.

თამაშის განახლების შემდეგ მასპინძლებმა შეტევები გააძლიერეს, ხიფათსაც ისინი მეტად ქმნიდნენ, მაგრამ სტუმართა სიმპათიური გუნდი ყრუ დაცვაში არ ჩამჯდარა და კოლხებს მწვავე კონტრშეტევებით ხშირად აწუხებდა.

უკვე 49-ე წუთზე ფოთელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს - შეცვლაზე შესულმა **ლაშა გვალიამ** სტუმარ გოლკიპერს ერთადერთი შეცდომა დააშვებინა, როცა საჯარიმოს მისადგომებიდან დაუტყა და შეროზიამ რეაგირება ვერ მოახერხა - 1:1. თუმც ამ ეპიზოდს იმავე შეროზიას რამდენიმე ყოჩაღობა უსწრებდა წინ. გოლამდე (და მას შემდეგაც) მან არაერთხელ იხსნა თავისიანები. რამდენიმე შეჯახებაც მოუხდა და დაშავებულმა სწრაფი რეაგირება, შესაძლოა, ამიტომაც ვერ მოახდინა.

გაშვებული გოლიდან რამდენიმე წუთში შეროზიამ ორიენტაცია კიდევ ერთ ჩაწოდებულზე დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, რეაქცია ჰქონდა სამიოდ მეტრიდან დარტყმულზე და შეცდომის გამოსწორებით გუნდი გოლისგან იხსნა.

55-ე და 58-ე წუთებზეც მეკარემ იყოჩაღა - ჯერ იგივე „სეივი" შეასრულა **ბორის გელაჭეიშვილის** მიერ ახლოდან დარტყმულზე, შემდეგ კი იმავე მობურთალს, როცა პირისპირ გადიოდა, კარი არ დაანება.

რამდენიმე „სეივი" შეროზიამ ბოლო წუთებზეც შეასრულა, მაგრამ მატჩის კულმინაცია და სტუმართა მეკარის მთავარი გმირობა 81-ე წუთზე ვიხილეთ. **ზაზა ინიაშვილს** მეორე შეცვლამაც გაუმართლა - მოედანზე წუთების შესული იყო **გელა ციკოლია,** როცა მეტოქის საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა, თითქოს ხიფათს ვეღარ ქმნიდა, რადგან კარის მხარე დაცვამ დაუფარა, მაგრამ მანამდე საიმედოდ მოთამაშე სტუმარმა მცველებმა, რატომღაც, კოლხს საჯარიმოდან გასვლის საშუალება არ მისცეს, მოცელეს და შემდეგ კიკაჩეიშვილს ტყუილად აუხტენენ, პენალტისკენ რომ გაიშვირა ხელი. 11-მეტრიანი იმავე ციკოლიამ შეასრულა, თან საკმაოდ უხეიროდ, თუმცა შეროზიას ღვანლის დაუფასებლობაც არ იქნება - თითქმის შუაში დარტყმული მეკარემ მოიგერია, მცველებმა კი ბურთი კუთხურზე გადააგდეს.

დამატებული წუთები სტუმრებისთვის ძალიან გაინელა. არბიტრმა საფინალო ჩასტვენა თუ არა, მარტვილელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა - მათ მოედანი დაიპყრეს და წარმატება ემოციურად აღნიშნეს. გახარებულმა ფანებმა გაგვიმხილეს, რომ უკვე ფინალზეც ფიქრობენ. რა თქმა უნდა, იქამდე მისვლა უფრო ფანტასტიკას ნაგავს. თუმცა ვინ იცის...

მატჩის შემდეგ

მალხაზ ჟვანია

რომ არა ეკონომიკური კრიზისი, უმაღლესზე წელსვე ვიფიქრებდით

პატარა მარტვილი ფეხბურთით ცხოვრობს. ბიზნესმენმა ფრიდონ ინჯიამ კლუბს პირობები შეუქმნა. მისი ხელშეწყობით ქალაქში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ვითარდება, დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ფეხბურთს და ასე შემდეგ. როგორც გვითხრეს, კლუბის შენახვა ადგილობრივ ბიუჯეტს სულაც არ აწევს ზურგზე და ყველა ხარჯს ბიზნესმენი ფარავს. მარტვილის „მერანის" წლიური ბიუჯეტი 150 ათასამდე ყოფილა, რაც პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდისთვის ცოტა ნამდვილად არ არის.

„მარტვილში დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ფეხბურთს, ინფრასტრუქტურის განვითარებას. წარმატებამაც არ დაახანა, ნახევარფინალში გასვლა ჩვენი ქალაქისთვის დამატებითი სტიმულია", - გვითხრეს ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულმა სპეციალისტებმა, რომლებიც ფოთში „მერანის" საქომაგოდ ჩამოვიდნენ და სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელ ჯემალ გოგიას ესაუბრებოდნენ. „ლელო" უკვე წერდა, რომ კლუბის მენეჯერი გახლავთ ადონის პაპანდოპულოსი, საბერძნეთის მოქალაქე, რომელიც პარალელურად თამაშობს კიდეც და მოედანზე მობურთალთათვის რჩევა-დარიგებებში გუნდის მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჟვანიას ეხმარება.

რა მიზნები და გეგმები აქვთ სათასო სენსაციის ავტორ მარტვილელებს წლევანდელ სეზონში? ამ საკითხებზე „ლელოს" მარტვილელთა თავკაცი მალხაზ ჟვანია ესაუბრება:

- ბატონო მალხაზ, პირველ რიგში გილოცავთ წარმატებას. ელოდით, რომ ნახევარფინალში გახვიდოდით?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. რაც შეეხება დღევანდელ წარმატებას, ჩემი გუნდის იმედი მქონდა და ბიჭებმა გამიმართლეს კიდეც.

- უგოლო პირველი შეხვედრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ავანტიურას ჰგავდა, რომ მეტოქეს გასვლაზე დაცვითი ფეხბურთი არ შესთავაზეთ...

- (იცინის) მთავარია, წარმატებას მივაღწიეთ. ალბათ, სწორი ტაქტიკაც შევარჩიეთ და ბიჭებმაც ყველაფერი კარგად შეასრულეს, თორემ ნახევარფინალში ვერ გავიდოდით.

- ბატონო მალხაზ, ასეთი კარგი გუნდი როგორ შექმენით, გამგეობა გეხმარებათ?

- არა, ეს არის კერძო კლუბი, გამგეობა ნამდვილად არ გვაფინანსებს. პირობებიც კარგი გვაქვს და შედეგიც თვალსაჩინოა!

- ქალაქში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ვითარდებაო...

- ვითარდებოდა, მაგრამ ბოლო დროს ცოტა შევფერხდით...

- რატომ?

- ეკონომიკურმა კრიზისმა ჩვენზეც იმოქმედა.

- ფეხბურთელებს ხელფასებზე პრობლემა აქვთ?

- არა, ამ მხრივ, საბედნიეროდ, არანაირი პრობლემა არ არსებობს, ბიჭები გასამრჯელოს უპრობლემოდ იღებენ, უბრალოდ, ინფრასტრუქტურის განვითარება დროებით შევაჩერეთ.

- თასის ნახევარფინალში უკვე ხართ, მიმდინარე სეზონში კიდევ რა მიზნები გაქვთ?

- ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და სწორედ ეს იყო ჩვენი მიზანი - ახალგაზრდებისგან ანგარიშგასაწევი კრებული ჩამოგვეყალიბებინა. რა თქმა უნდა, სამუშაო ბევრი გვაქვს. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ვეცდებით, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ...



მალხაზ ჟვანია

- უმაღლეს ლიგაზე არ ფიქრობთ?

- რომ არა ეკონომიკური კრიზისი, წელსვე ვიფიქრებდით უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე.

- კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!

- დიდი მადლობა!

გვერდი მოამზადა
თომა ჩალაძემ
ფოთიდან

სამწვრთნელო თემაზე

უცხოელებისგან დაობლებულნი...



ვიქტორ კაშჩეი

...ჯერ პირველი ეტაპი არ დასრულებულა და უმაღლეს ლიგაში უკვე მეხუთე სამწვრთნელო ცვლილება მოხდა: „სამტრედიასთან“ მატჩის შემდეგ „გაგრას“ მთავარი მწვრთნელი ვიქტორ კაშჩეი გუნდს დაემშვიდობა! ათგუნდიანი ჩემპიონატისთვის ხუთი სამწვრთნელო ცვლილება ცოტა ნამდვილად არ არის; თან, ნუ გამოვრიცხავთ, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ეს ციფრი კიდევ გაიზარდოს. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ჩემპიონატში პაუზა დაიწყება, ორ-სამ გუნდში შესაძლოა სამწვრთნელო გადაადგილება კიდევ მოხდეს. ამ დროს კი, რაღა თქმა უნდა, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, მწვრთნელი საკუთარი სურვილით ტოვებს თანამდებობას თუ ათავისუფლებენ...

...მესამე ტურის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით რამაზ მუმლაძემ დატოვა; მერვე ტურის შემდეგ „სამტრედიის“ მთავარი მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პოსტიდან ასევე საკუთარი სურვილით წავიდა. მეთერთმეტე ტურის შემდეგ მწვრთნელი რუსთავის „ოლიმპიც“ შეიცვალა: ოთარ კორღალიძე ამავე კლუბში დარჩა, ოღონდ ამჯერად სპორტული დირექტორია, მის ნაცვლად კი „სიონიდან“ თემურ მახარაძე გადმოიყვანეს; ხოლო ამ უკანასკნელის ადგილი ბოლნისურ გუნდში გიორგი ყიფშიძემ დაიკავა, ვინც მანამდე მახარაძის ასისტენტად მუშაობდა. და აი, კიდევ ერთი (ჯერჯერობით) სამწვრთნელო გადაადგილება: კაშჩეი დაგვემშვიდობა და პირველი ეტაპის დასრულებამდე დარჩენილ ორ ტურში „გაგრას“ მისი თანაშემწე კახა კარანაძე უთავკაცებს. ამის შემდეგ კი, ჩვენი ინფორმაციით, „გაგრას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება, ვისი ხელმძღვანელობითაც მოემზადება კიდეც ეს ახალგაზრდული გუნდი გადამწყვეტი, მეორე ეტაპისათვის.

იყო თუ არა კაშჩეის წასვლა (გნებავთ, გათავისუფლება) მოულოდნელი? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე მოვლენების ლოგიკურ დასასრულთან გვქონდა. უკრაინელი მწვრთნელის ამ გადაწყვეტილების მიზეზსა და საერთოდ, კაშჩეის აქ გატარებულ პერიოდზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბროთ; მანამდე კი სხვა, უფრო მნიშვნელოვან და მართლაც „ღირსშესანიშნავ“ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ: დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი აღარ მოღვაწეობს!

სხვადასხვა ხარისხი

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს ჩემპიონატში უცხოელი მწვრთნელი არ მუშაობს. ისე, მართლაც უცნაურია: ადრე ხომ ვერაფრით წარმოგვედგინა, რომ აქ სამუშაოდ უცხოელი სპეციალისტები ჩამოვიდოდნენ; ახლა კი, ცოტა არ იყოს, გვიკვირს კიდეც, აღარავინ რომ არ არის. არა უშავს - რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ ასე დიდხანს არ დავრჩებით და უკვე მომავალი წლის თებერვლიდან (ანუ, მეორე ეტაპის დაწყებიდან) ჩვენს ჩემპიონატში კიდევ გამოჩნდება უცხოელი მწვრთნელი. ოღონდ, სასურველი იქნება, რომ ჩვენთან ჩამოსვლის პოტენციურმა კანდიდატმა წინასწარ იცოდეს, მერამდენე უცხოელი მწვრთნელი იქნება საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში; მერამდენე და... მეცამეტე! რაც შეეხება დანარჩენ თორმეტს, თითოეულმა მათგანმა მეტ-ნაკლები წარმატებით იმუშავა და ასევე მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის განვითარებაში.

„პირველი მერცხალი“ კი 1999 წლის გაზაფხულზე (კერძოდ, მაისის დასაწყისში) გამოჩნდა, როცა ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი თუ ხუთი ტურით ადრე თბილისის „დინამოში“ ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი** დაინიშნა. მომდევნო ჩემპიონატში უკვე **ჯანი კარნევალეც** გავიცანით - იტალიელი სპეციალისტი წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა „ვიტ ჯორჯიაში“ და ბოსკამპისგან განსხვავებით, ქართულ მედიასთანაც ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობა ჰქონდა. ამის შემდეგ თბილისში **ივო შუშაკი** ჩამოვიდა - ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უცხოელი მწვრთნელი, ვისაც საქართველოში უმუშავია; ხორვატი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „დინამომ“ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო, თასიც მოიპოვა და დსთ-ის თასიც მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა! შუშაკმა ორ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებსაც უხელმძღვანელა და მისი უდიდესი წვლილიც არის, 2003 წლის 30 აპრილს თბილისში რუსეთის ნაკრები რომ დავამარცხეთ!..

2002-03 წლების სეზონში, მართლაც, უნიკალური მოვლენა მოხდა: პირველი შემთხვევა იყო, რომ საქართველოს ჩემპიონატში ერთდროულად ოთხი უცხოელი მწვრთნელი მუშაობდა. უკვე ნახსენები კარნევალესა და შუშაკის გარდა ესენი იყვნენ: უკრაინელი **ალექსანდრ შტელინი** („ტორპედო“, ქუთაისი) და პერუელი **ლუის ცაკარიასი** („ლოკომოტივი“, თბილისი). ამ ორ მწვრთნელზე, მართლაც, ვერავინ იტყოდა, საეჭო კვალიფიკაციის სპეციალისტები იყვნენო; სამაგიეროდ, მომდევნო სამ სეზონში რომ ჩვენთან უცხოელი მწვრთნელები ჩამოდიოდნენ, აი, მათზე კი ამის თქმა გაგვიჭირდება; უკრაინელი **ვლადიმერ ზემლიანოი** („ზესტაფონი“), ბრაზილიელი **პაულე დე კამპუში** („ტორპედო“, ქუთაისი), **ანდრეი ჩერნიშოვი** („დინამო“, თბილისი) - ვერც ერთმა მათგანმა საქართველოში თავი ვერ გამოიჩინა და არც მათი წასვლით დასწყვეტია გული ვინმეს. სამაგიეროდ, 2006-07 წლების სეზონში საქართველოში **დუშან უჰრინი** ჩამოვიდა - „დინამოს“ ჩეხი თავკაცი ყველაზე ტიტულოვანი იყო იმ უცხოელ მწვრთნელებს შორის, მანამდე ან მერე რომ აქ უმუშავიათ. უჰრინმა პირველზე ვერა, მაგრამ მეორე ცდაზე მაინც შეძლო და თავის მდიდარ სამწვრთნელო კარიერას კიდევ ერთი ტიტული მიუმატა - „დინამო“ საქართველოს ჩემპიონი გახადა. უტიტულოდ აქედან არც მის ნაცვლად მოსული **რაინერ ცობელი** დარჩენილა, ოღონდ, გერმანელმა მწვრთნელმა მხოლოდ საქართველოს სუპერთასის მოგება მოახერხა. ცობელზე ერთი წლით ადრე კი საქართველოში კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი ჩამოვიდა - უკრაინელი **ანატოლი პისკოვეი**; ამ უკანასკნელმა იმ დროისათვის მოქმედი ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ჩაიბარა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და ცობელის მსგავსად, სეზონის ბოლომდე ვერც მან იმუშავა.

...1999 წლიდან მოყოლებული, ცხრა სეზონი ისე გრძელდებოდა, რომ ჩვენ ჩემპიონატში, სულ ცოტა, ერთი ან ორი უცხოელი მწვრთნელი მაინც მუშაობდა. და აი, ამა წლის 21 მარტს, თბილისის „დინამომ“ თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ უგოლო ფრედ ითამაშა და ცობელი რომ გაათავისუფლეს, კინაღამ... უცხოელი მწვრთნელების გარეშე დავრჩით. საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა - სწორედ იმ დღეს ჰქონდა დებიუტი საქართველოს ჩემპიონატში უკრაინელ სპეციალისტ **ვიქტორ კაშჩეის**, ვინც „გაგრას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. წინა ჩემპიონატის დარჩენილ ცხრა ტურში და უკვე ამ სეზონში ჩატარებული თექვსმეტი ტურის განმავლობაში 62 წლის უკრაინელი სპეციალისტი საქართველოს ჩემპიონატში ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი იყო...

კაშჩეის ექსპერიმენტები

ისე, არ დავმალავთ: ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო „გაგრას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კაშჩეის წინამორბედის, **ვლადიმერ ხაჩიძის** გათავისუფლებაც; სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, ერთიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „გაგრამ“ აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წააგო „დინამოსთან“ (0:1), შემდეგ კი სტუმრად ფრედ ითამაშა ჩემპიონატის ერთ-პიროვნულ ლიდერ„ვიტ ჯორჯიასთან“. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, „გაგრაში“ მწვრთნელი შეიცვალა და კლუბის ხელმძღვანელებიც კაშჩეის დანიშვნით, ალბათ, იმას ფიქრობდნენ, რომ უკრაინელი მწვრთნელი გუნდის სატურნირო მდგომარეობას გააუმჯობესებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩემპიონატის დასრულებამდე ცხრა ტური იყო დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში „გაგრამ“ სამი მატჩი მოიგო, ორი ფრედ ითამაშა და სამიც წააგო (ბოლო ტურში ისვენებდა). საბოლოოდ, გუნდს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად საჭირო ქულები არ ეყო და სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე, „გაგრას“ 2009-10 წლების სეზონი პირველ ლიგაში უნდა დაეწყო. თუმცა, იმის გამო, რომ ახალციხის „მესხეთმა“ ლიცენზირება ვერ გაიარა, პლუს „ამერმაც“ უარი განაცხადა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე და... „სპარტაკთან“ ერთად „გაგრამაც“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

აქვე, ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალიც, ადრევე რომ უნდა გვეთქვა: მიუხედავად იმისა, რომ „გაგრას“ წინა სეზონშიც და ამ ჩემპიონატშიც ერთობ მოკრძალებული მიზნები ჰქონდა, გუნდზე ნამდვილად ვერ ვიტყოდით, ფინანსურად უჭირსო; ეგ კი არა, უფრო პირიქითაც იყო და არის კიდეც: „გაგრას“ არც უცხოური შეკრებები აკლია და არც შავიზღვისპირეთში მოსამზადებელი პერიოდის ჩატარება; მოკლედ, ფინანსურად საკმაოდ „წელში გამართული“ გუნდია კლუბის პრეზიდენტის **ბესო ჩიხრაძის** დამსახურებით, „გაგრას“ მწვრთნელ-მოთამაშეებს... ფეხბურთის გარდა საფიქრალი არაფერი უნდა ჰქონოდათ. არადა, გადავხედოთ სატურნირო ცხრილს, ნებისმიერი მწვრთნელის მუშაობის ბარომეტრს რომ წარმოადგენს: თექვსმეტი ტურის შემდეგ, ათგუნდიან ჩემპიონატში „გაგრას“ მერვე ადგილი უკავია! მართალია, წინ ჩემპიონატის ნახევარია დარჩენილი, მაგრამ იმ თამაშით ბოლო ტურებში „გაგრა“ რასაც უჩვენებდა, ამ გუნდს პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდებოდა; ჰოდა, აბსოლუტურად ლოგიკურადაც გვეჩვენება კაშჩეის წასვლა თუ განთავისუფლება - აშკარა იყო, რომ უკრაინელი მწვრთნელის ბოლოდროინდელ საკადრო გადაწყვეტილებებს გუნდისთვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.

აი, ეს საკადრო გადაწყვეტილებები კი, მართლაც უამრავ კითხვას ბადებდა: თითქმის ყველა შეხვედრაში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხუთიექვსი (!) ახალი ფეხბურთელი ჩნდებოდა. ცნობისათვის: განვლილ 16 ტურში „გაგრას“ შემადგენლობაში 29 (!) ფეხბურთელმა ითამაშა და ამათგან მხოლოდ **გიორგი გაბედავაა** ერთადერთი, ყველა მატჩში მონაწილეობა რომ მიიღო. დანარჩენ შემთხვევებში კი ვერავიზე ვიტყოდით, გუნდის ძირითადი ფეხბურთელიაო: ორი-სამი ტური რომ შეუცვლელად ასპარეზობდნენ და გუნდის წამყვან მოთამაშეებად მიიჩნეოდნენ (გაბედავასთან ერთად), მოგვიანებით რეზერვში ვხედავდით (**რევაზ თევდორაძე, დავით გიგაური, ლაშა თოთაძე** - აი, ამ ფეხბურთელებზე მოგახსენებთ); იგივე შეგვიძლია ვთქვათ გუნდის მეტ-ნაკლებად გამოცდილ მოთამაშეებზეც - **ჯემალ გაბუნიაზე, გიორგი ტყეშელაშვილზე, აკაკი კუპრეიშვილზე**, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, „გაგრას“... დუბლშემადგენლობაში ასპარეზობდნენ; მხოლოდ სეზონის დასაწყისში თამაშობდნენ და მერე აღარ გამოჩენილან გუნდის ახალწვეულები - უკრაინელი **სერგეი ბერბატი** (ნამდვილად არ იყო ურიგო „საყრდენი“) და **გიორგი ელბაქიძე**; ხშირ შემთხვევაში თავიანთთვის „უცხო“ პოზიციაზე უხდებოდა ასპარეზობა კიდევ ორ ახალწვეულს - **თემურ რაქვიაშვილსა** და **ილია პავლიაშვილს** და ასე შემდეგ (იმავეს თქმა შეიძლება ნიჭიერ ნახევარმცველზე **ლევან შარიქაძეზეც**).

ამას გარდა, წინა სეზონშიც და ამ ჩემპიონატშიც ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა კონკრეტული მატჩის დროს ვიქტორ კაშჩეის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს ტრიბუნებზე მყოფნი გაუოცებია. რაღა შორს მივდივართ - სულ ახლახან, „ლოკომოტივთან“ პირნმინდად წაგებული შეხვედრა გავიხსენოთ, როდესაც უკრაინელმა მწვრთნელმა მოედნიდან ილია პავლიაშვილი გაიყვანა, იმ მატჩში „გაგრას“ შემადგენლობაში ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც მეტ-ნაკლებად აქტიურობდა...

თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს და კაშჩეის პლუსად ნამდვილად უნდა ჩავუთვალოთ რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელის დაწინაურება, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, **თორნიკე ოქრიაშვილი** უნდა აღვნიშნოთ. ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია - 17 წლის ოქრიაშვილი „გაგრას“ ერთ-ერთი ლიდერია და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც შემთხვევით არ გამოუძახიათ.

აი, ასე (საბოლოო ჯამში ნარუმატებლად) დასრულდა საქართველოს ჩემპიონატში რიგითობის მიხედვით მეთორმეტე უცხოელი მწვრთნელის მოღვაწეობა. ახლა კი, სულ მცირე, ორი ტურის განმავლობაში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი არ გვეყოლება და ვეჭვობთ, რომ სეზონის დასრულებამდე ასე გაგრძელდეს; ოღონდ, ვინ იქნება და რომელ გუნდში დაინიშნება მეცამეტე (!) უცხოელი მწვრთნელი, ჯერჯერობით რთული სათქმელია...

თორნიკე ოქრიაშვილი

გია ტუხაშვილი

სუპერთასი

ამერი თუ ახალი ფოლადი?

როგორც იცით, 16 დეკემბერს „ამერის“ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ და თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ ქვეყნის სუპერთასს გაითამაშებენ.

თავდაპირველად, პროფესიული ფეხბურთის ლიგა შეხვედრის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართვას აპირებდა. თუმცა იქ ბალახის საფარი ცუდ მდგომარეობაშია და სუპერთასის „ამერზე“ გამართვაც ამიტომ გადაწყდა. ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** ეს გადაწყვეტილება მატჩის მონაწილეთათვის უფრო კომფორტული გარემოს შექმნით ახსნა - პატარა სტადიონი შეივსება და სუპერთასისთვის ასეთი ატმოსფერო მისაღებიაო.

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, არ არის გამორიცხული, სუპერთასის მატჩი რუსთავის განახლებულ სტადიონზე გაიმართოს. ვერ გეტყვით, რომ საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ ასეთი ვარიანტი ნამდვილად განიხილება.

„რუსთავში საფარის დაგება თუ დროულად დასრულდა, ბუნებრივია, ამ ქალაქში სუპერთასის მატჩის ჩატარება სასურველი იქნება - ერთი მხრივ, სტადიონს მნიშვნელოვანი შეხვედრით გავხსნით, და მეორეც - ლამაზ სტადიონზე თამაში ფეხბურთელებისთვისაც სტიმული იქნება. თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, ეს რამდენად რეალურია“, - გვითხრა **პაატა ბურჯალიანმა.**

მატჩი 16 დეკემბერს, 14 საათისთვისაა დანიშნული. ბუნებრივია, გამარჯვებული პრემიასაც მიიღებს.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ

ამ სკანდალის აგორებით მე ნამდვილად არ ვარ დაინტერესებული

« მეორე გვერდიდან

ნამდვილად ვერ შეგპირდებით, რომ ტექნიკურ სპონსორად მაინცდამაინც სახელგანთქმულ ბრენდს დავითანხმებ. ამ ეტაპზე, ეკიპირების მწარმოებელ იმ კომპანიაზე შევაჩერებთ არჩევანს, რომელიც ჩვენთვის მისაღებ პირობებს შემოგვთავაზებს. ვნახოთ, გერმანული ფირმა იქნება ეს, ჰოლანდიური თუ იტალიური...

- ფედერაციას „პუმასა“ და „იაკოს“ ვალებიც აქვსო. მართალია?

- სამწუხაროდ, ასეა. ჩვენს მხარეს გარკვეული თანხა აქვს გადასახდელი, ახლა თან არ მაქვს დოკუმენტი და თანხას ზუსტად ვერ დაგისახელებთ... იმას კი გეტყვით, რომ ამ ვალს გავისტუმრებთ.

- 27 ნოემბერს აღმასკომის სხდომაზე აუდიტმა ფეხბურთის ფედერაციის ვალის ოდენობა დაასახელა. იქვე აღინიშნა, რომ სამ-ოთხ დღეში დასკვნა უფრო სრულყოფილი იქნებოდა. შეიცვალა თუ არა ვალის ოდენობა და კიდევ რა დეტალები გამოიკვეთა?

- აუდიტმა უკვე გადმომცა სრულყოფილი დასკვნა. ვალის ოდენობა იგივეა - 9 867 084 ლარი...

- როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ დაგროვდა ამხელა ვალი? თანხების არამიზნობრივი ხარჯვის გამო?

- არა, არა მგონია ასე ყოფილიყო... საერთოდ, ფეხბურთი დღეს ძვირი სიამოვნებაა. სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ათეულობით უცხოური შეკრება, კლაუს ტოპმიოლერთან ნაადრევად განყვეტილი კონტრაქტი და სხვა ფაქტორები. თანამედროვე ფეხბურთი დიდ ხარჯებს მოითხოვს და კარგი იქნებოდა, ეს შედეგშიც ასახულიყო. არა მგონია, აქ თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან, გაფლანგვასა და რაიმე მსგავსთან გვქონდეს საქმე.

- ფედერაციის ახალარჩეული აღმასკომის პირველივე სხდომა სკანდალური იყო. ნარკოსკანდალი, ტოტალიზატორში ჩვენი ნაკრების წაგებაზე დადებული ფსონები... ამ საკითხზე თქვენი პოზიცია საინტერესოა...

- ეს ჩემი გადასაწყვეტი და გამოსაკვლევი არ არის. წლების წინ რაც იყო, არა მგონია, ამ თემის წამოწევა აქტუალური იყოს. მთავარია, ასეთი რამ აღარ მოხდეს დღეს, ხვალ და არც წლების შემდეგ...

- ისმის კითხვა, თუ ვის ინტერესებშია ძველი თემების წამოწევა? ვის შეიძლება აძლევდეს ეს ხელს?

- პირდაპირ და ალალად გეტყვით, რომ პირადად მე არანაირად არ ვარ დაინტერესებული ამით და არც ის მგონია, რომ აღმასკომს და საერთოდ ჩვენს საფეხბურთო სამყაროს უნდოდეს ეს. ჩვენი მიზანი ერთია - ეს სიბინძურე ქართულ ფეხბურთს აღარ უნდა შეეხოს. ამ თემის წამოწევა ალბათ იმათ აძლევთ ხელს, ვის ინტერესებშიცაა ჩვენი ფეხბურთის განვითარების დაბრკოლება. რადგან მკითხეთ, ამ საკითხზე ჩემს აზრსაც გეტყვით - მიმაჩნია, რომ ეს თემა საერთოდ არ უნდა წამოწეულიყო, ეს ჩვენი, ქართული საფეხბურთო შიდა სამზარეულოა. თუ მსგავსი პრობლემა ჩვენს საფეხბურთო ოჯახს ანუხებს, მაშინ ის ამ ოჯახშივე უნდა მოგვარდეს და მასშტაბები აღარ უნდა შეიძინოს. მოდის ახალი თაობა, რომელზეც ამ ყველაფერმა ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს.

- გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ამ სკანდალური განცხადებების ავტორმა, თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გეგეჭკორმა აღმასკომი დატოვა. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

- არ ვიცი, არა მგონია... ამ საკითხზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

- რამდენად მართალია, თითქოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიში ამჟამად დაყადაღებულია...

- არ არის მართალი, ანგარიში ამჟამად დაყადაღებული არ არის.

- ბოლოს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გკითხავთ. უკვე დაწყებულია სავარჯიშო მოედნის გაკეთება. ისიც გავიგეთ, რომ უცხოეთში ტრენაჟორები და სხვა საჭირო ინვენტარი შეგიკვეთავთ. როდისთვის იქნება „ბასა“ სრულად მწყობრში?

- ხელოვნურსაფრიანის გარდა, „ბასაში“ ბუნებრივი ბალახის ორი მოედნის გაკეთება გვინდოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ორი ვერ ეტევა. მოკლედ, ერთი მოედანი გაკეთდება და თებერვალში უკვე ყველაფერი მზად იქნება. მარტის მატჩებისთვის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სწორედ „ბასაში“ მოემზადებიან.

დავით ცაბაძე

კონტაქტები

სვაზილენდის უფლისწული საქართველოს პრეზიდენტთან

როგორც იცით, თბილისს ბაქსვუდის სკოლის საფეხბურთო გუნდი სტუმრობდა. პარასკევს ბრიტანელები „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიას ეწვივნენ და მის გუნდთან ამხანაგურად ითამაშეს. იმავე საღამოს ისინი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ესტუმრნენ. ეს ამბები „ლელომ“ უკვე გააშუქა და ამიტომაც ამის შემდეგ მომხდარ ამბებზე მოგითხრობთ.

შაბათს ბაქსვუდელები საგურამოს ესტუმრნენ, სადაც „ლოკომოტივის“ ბაზაზე ამ კლუბის ჭაბუკთა გუნდს შეხვდნენ. თუკი ისინი „ოლიმპთან“ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, „ლოკომოტივს“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით, 2:3 წააგეს. იმავე დღეს მათ მცხეთის ღირსშესანიშნაობები მიმოიხილეს, საღამოს კი ფილარმონიაში „სუხიშვილების“ კონცერტს დაესწრნენ.

კვირას წყნეთში მდებარე ბაქსვუდის ქართულ-ბრიტანული სკოლის მოედანზე ოთხთა ტურნირი გაიმართა, სადაც სტუმართა ორი, ქართველი ბაქსვუდელების ერთი და ერთიც ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ გუნდი მონაწილეობდა. პირველი ადგილი მასპინძლებმა დაიკავეს, მეორე-მესამე საფეხური ბრიტანელებმა გაინაწილეს, ბოლო პოზიციაზე კი „მწიგნობართუხუცესი“ გავიდა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ბაქსვუდის წყნეთის სკოლელი **ირაკლი ზამბახიძე** დაასახელეს, ხოლო საუკეთესო მეკარედ ბრიტანელთა კარის გერმანელი დარაჯი **მაქსიმილიან ბაიერი** აღიარეს.

ტურნირს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** დაესწრო. შეგახსენებთ, ბაქსვუდის აქაური სკოლის დირექტორ **სანდრო ვაშაკიძეს** წყნეთში ინგლისის SAFA-ს ცნობილი საფეხბურთო აკადემიის ფილიალის გახსნა აქვს გადაწყვეტილი და სფფ-ის შეფთან ამ თემაზე ისაუბრა. სიჭინავამ ამ საქმის ინიციატორებს თანადგომა აღუთქვა. იგი ბაქსვუდის ბრიტანული სკოლის დირექტორ **ჯაილს სატონსა** და საფეხბურთო გუნდის მწვრთნელ **ჯიმ კოლსტონსაც** ესაუბრა.

ტურნირის გამარჯვებულები სიჭინავასთან ერთად, სხვა საპატიო სტუმრებმაც დააჯილდოვეს - შპს „ახალი ქსელების“ დირექტორმა **ავთანდილ იაშვილმა** და „გაზენერჯის“ პრეზიდენტმა **გიორგი ქოიავამ**.

ორშაბათს სტუმრებმა კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს, ამჯერად „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის გუნდთან (მწვრთნელი **კოტე დოლიძე**). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტოქეებმა შერეული შემადგენლობებით გადაწყვიტეს თამაში, აქედან გამომდინარე, ანგარიშს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მატჩის შემდეგ ავაზელებმა ცხრა ეროვნების მოზარდებით დაკომპლექტებულ ბაქსვუდელებს საქართველოს ნაკრების ფორმები აჩუქეს.

სტუმრები ინგლისში ორშაბათსვე გაბრუნდნენ, მაგრამ მანამდე საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაც მოასწრეს. **მიხეილ სააკაშვილმა** სამეფო ოჯახის წევრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და თავადაც დასაჩუქრდა.

...სამეფო ოჯახის ამბავი ბოლოსკენ მოვიტოვეთ. საქმე ისაა, რომ ბაქსვუდის სკოლის ბიჭებს სვაზილენდის მეფის, **მსვატი მესამის** ვაჟი, პრინცი **მაჯაჰაც** ჩამოჰყვა. იგი ბაქსვუდის სკოლის მოსწავლეა, მაგრამ მისი ნათამაშები ფეხბურთი არ გვინახავს, როგორც ჩანს, ბურთის დევნა იუკადრისა. ასე რომ, მაჯაჰა მხოლოდ ტურისტისა და საპატიო სტუმრის როლით დაკმაყოფილდა. მაჯაჰასთან ერთად, საქართველოს ორი პრინცესა და მეფის დაც სტუმრობდნენ. ცნობისათვის, სვაზილენდში აბსოლუტური მონარქიაა, 41 წლის მეფე მსვატის კი 14 ცოლი და 23 შვილი ჰყავს. მაჯაჰა ტახტის ერთ-ერთი ყველაზე რეალური პრეტენდენტია. სანამ საქართველოს დატოვებდნენ, სამეფო ოჯახის წევრების აქ ყოფნის ამბავი მათივე ნებართვით, არ გავახმაურეთ...

ლევან ჯანელაშვილი

ავტორის ფოტო

პრინცი მაჯაჰა

ინფორმაციის კვალდაკვალ

გიორგი გეგეჭკორი: ჩაწყობილი თამაშები? მალე ყველაფერი გაცხადდება

„რუსთავი 2-ის“ გადაცემა „საფეხბურთო ღამეში“ გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი **გიორგი გეგეჭკორი** ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში არჩევიდან ცხრა დღეში მის წევრობაზე უარს აცხადებს. გუშინ მას კომენტარისთვის დავუკავშირდით, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ.

- ბატონო გიორგი, აღმასკომიდან მართლა წახვედით?

- ამ საკითხზე კომენტარს არ ვაკეთებ.

მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს, თუ რა ხდება: გეგეჭკორი „ნორჩ დინამოელში“ ვარჯიშობდა და ქართული ფეხბურთის გულშემატკივარია. ეტყობა, მას გულწრფელად სურდა ფეხბურთის კრიმინალური მოვლენებისგან - ნარკომანიისგან, ჩაწყობილი თამაშებისგან, კორუფციისგან, ტოტალიზატორზე დამოკიდებულებისგან გაწმენდა... მოგეხსენებათ, რა ცოდვაც ტრიალებს ქართულ ფეხბურთში.

თუმცა თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსს ამ ინფორმაციების გახმაურება არ სურდა, აღმასკომისთვის ეს მხოლოდ ცნობის სახით უნდა წარედგინა, რათა საფეხბურთო მოხელეებს ყველაფერი გაეთვალისწინებინათ. ეს დანამდვილებით ვიცით - გეგეჭკორი თავად იყო გაოცებული, თუ რატომ გახმაურდა ეს ინფორმაცია.

ანუ, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ინფორმაციის „გაჟონვა“ დასჭირდა იმას, ვინც კონკრეტულ მიზნებს ისახავდა და ესაა სწორედ საინტერესო - რა იმალება ამ ყველაფრის მიღმა?

გეგეჭკორი იმ ტაბუდადებულ თემებს შეეხო, რომელიც ქართველ გულშემატკივარს აღელვებს. თუკი ჩვენს ფეხბურთს რაიმე აკლია, ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა, ეს არის აგრეთვე სიმართლე, გულწრფელობა. ფაქტია, რომ ვიღაცამ გეგეჭკორის ინფორმაცია საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა და ამან ლამის საფეხბურთო რევოლუცია გამოინვია.

ყველა ელოდა, რომ აღმასკომი ჩაწყობილი თამაშებზეც იმჯელებდა. ქართული ფეხბურთისთვის ეს **ხომ** ნარკომანიაზე არანაკლები საფრთხეა: *„ჩაწყობილი თამაშების თემა აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, თანაც უახლოეს პერიოდში. კარგით, მეტის თქმას ახლა არ ვაპირებ“,* - გვითხრა გეგეჭკორმა.

მერაბ მამულაშვილი

ისტორია და დღევანდელობა

დემეტრაძე ვერ დაამხეს, მხოლოდ გაიმეორეს...

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** რუსეთში კიდევ ერთხელ გაახსენდათ. ამ ქვეყნის მორიგი ჩემპიონატი დასრულდა და შედეგების შეჯამებასთან ერთად, ჟურნალისტებმა არქივებიც ამოქექეს...

ბოლო პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი (21 გოლი) მოსკოვის „სპარტაკის“ ბრაზილიელი ფორვარდი **ველიტონი** გახდა. და სწორედ ველიტონთან მიმართებაში ასხენეს დემეტრაძე. ახსენეს და „აღმოაჩინეს“, რომ ველიტონმა დემეტრაძის რეკორდი ვერ დაამხო, მხოლოდ გაიმეორა. დიახ, ზუსტად 10 წლის წინ, ვლადიკავკაზის „ალანიას“ თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ სეზონში 21 გოლი შეაგდო და ლიგის ბომბარდირი გახდა. სხვათა შორის, დემეტრაძისა და ველიტონის გარდა, რუსულ პრემიერლიგაში 21 გოლი არც ერთ ლეგიონერს არ გაუტანია.

შარშან დემე აზერბაიჯანულ „ბაქიში“ ირიცხებოდა, რომელიც ზაფხულში დატოვა და საბერძნეთში, **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისში“ აპირებდა კარიერის გაგრძელებას. ეს ამბავი ბერძნულმა საგენტოებმა გვამცნეს, მაგრამ... საბოლოოდ ტრანსფერი არ შედგა.

ბოლოსღა დავძენთ, რომ დემეტრაძე ეროვნულ გუნდში 11 წლის (1996-2007) განმავლობაში თამაშობდა. ქვეყნის მთავარ გუნდში მან 56 შეხვედრა ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

მუჯირი ლოკოდან მიდის?

ინტერნეტპორტალ „სპორტბოქსის“ ინფორმაციით, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი წვერი **დავით მუჯირი** ერთმანეთს ემშვიდობებიან. 31 წლის ქართველ ნახევარმცველს ორი-სამი წლის წინ პრემიერლიგის საუკეთესო შუახაზელებს შორის ასახელებდნენ. თუმცა გასული სეზონი მუჯირისთვის ნარუმატებელი გამოდგა, შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და ბუნებრივი იქნება, ახალი კლუბი მოძებნოს, სადაც მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება.

მერაბ მამულაშვილი

უცხოური ფეხბურთი

ოქროს ბურთი 2009

ევროპა მესის ფერხთით

„ოქროს ბურთი“ და მასთან ერთად ევროპის 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება „ბარსელონას“ 22 წლის ვარსკვლავმა **ლიონელ მესიმ** მოიპოვა. ის პირველი არგენტინელია, ვინც ამ პრიზს შესწდა. 2007 წლიდან დაწყებული მესიმ პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად „პოდიუმის“ სამივე საფეხური დაიკავა. პირველად მესი მესამე ადგილზე გავიდა **კაკასა** და **კრიშტიანო რონალდოს** შემდეგ, შარშან არგენტინელი მხოლოდ კრიშტიანო რონალდოს ჩამორჩა, ახლა კი უკვე მისი პირველობის დრო დადგა.

მესი არა მარტო პირველი არგენტინელია, ვინც „ოქროს ბურთი“ მოიგო, არამედ ამ პრიზის ისტორიაში მან ყველაზე დამაჯერებლად აჯობა კონკურენტებს. 480 შესაძლებელი ქულიდან მესიმ 473 მოიხვეჭა! ამდენი ქულა არავის მიუღია, რა თქმა უნდა, მესიმ ძალიან გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ შარშანდელ გამარჯვებულ კრიშტიანო რონალდოს. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა 233 ქულა მიიღო. ერთი რეკორდი, რომელსაც მესიმ ძვრა ვერ უყო და ამის შანსი მას არც ჰქონდა - ინგლისელი **მაიკლ ოუენის** მიღწევაა. ოუენმა 2001 წელს მოიგო „ოქროს ბურთი“ - 21 წლის ასაკში. მაიკლი კვლავ რჩება „ოქროს ბურთის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულად. შეგახსენებთ, რომ პრიზი „ფრანს ფუტბოლის“ დაწესებულია და მასში ევროპელი ჟურნალისტები მონაწილეობენ. იმ სეზონში, როცა „ბლაუგრანამ“ ესპანეთის ჩემპიონატი, სამეფო თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, წარმოუდგენელიც იყო ვინმე სხვას გაემარჯვა, თუნდაც კრიშტიანო რონალდოს, რომელსაც ასევე დიდებული სეზონი ჰქონდა.

თავიდან დასახელდა 30 ნომინანტი, რომელთა გაცხრილვის შემდეგ გასულ კვირაში 10 ნომინანტის გვარი გამოამზეურეს. ათიდან ოთხი „ბარსელონას“ წარმოადგენდა: მესი, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, **ჩავი ერნანდესი** და **ანდრეს ინიესტა**. ერთიც ნახევარი წლის განმავლობაში „ბლაუგრანას“ ფორმით ასპარეზობდა (**სამოელ ეტოო**). ამ ხუთეულის გარდა ნომინანტთა შორის დარჩნენ **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, „ჩელსი“), **სტივენ ჯერარდი** (ინგლისი, „ლივერპული“), **კაკა** (ბრაზილია, „მილანი“ და „რეალი“), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, „მანჩესტერი“ და „რეალი“) და **უეინ რუნი** (ინგლისი, „მანჩესტერი“).

„ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლაში მესამე ადგილი მესის თანაგუნდელმა ჩავი ერნანდესმა დაიკავა. ოფიციალური შედეგები შუაევროპის დროით დილის ორ საათზე უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ფრანგულმა ინტერნეტმედიამ მოვლენებს ერთი საათით წინ უსწრო.

გამარჯვებულს კვირას პარიზში გალაწარმოდგენაზე გადასცემენ პრიზს. ზემოთ ვთქვით, რომ მესი პირველი არგენტინელია, ვინც პრიზი მოიგო, იურიდიულად ასეც არის. თუმცა რეალურად 1957,1959 და 1961 წლების ნომინანტები **ალფრედო დი სტეფანო** და **ომარ სივორიც** არგენტინელები იყვნენ, თუმცა გამარჯვების მომენტში მათ, შესაბამისად, ესპანეთისა და იტალიის მოქალაქეობა ჰქონდათ მიღებული.

ლეო მესიმ დამსახურება მის გუნდს და თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** არ დაუკარგა: *„გვარდიოლა ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა, არა მარტო ჩემთვის, არამედ გუნდის ყველა ფეხბურთელისთვის. ჩვენ ძალიან განსხვავებული ურთიერთობა გვაქვს მასთან, არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელებს მწვრთნელთან. ის ტიტულები, რომლების მისი წყალობით მოვიგეთ, საბოლოოდ „ოქროს ბურთის“ მოგებაში დამეხმარა. მისი მოსვლით „ბარსელონაში“ სტაბილურობა დამყარდა, ჩვენ საკუთარი თავისა ვირწმუნეთ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თანაგუნდელთა დამსახურება ჩემს გამარჯვებაში, რომ არა ისინი ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა ამ წარმატების მიღწევა. წინა წლებში გუნდში შიდაამღილობა იყო, ამიტომაც ვერ ვაღწევდით წარმატებებს, ახლა კი გვარდიოლას მოსვლით, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. მოხარული ვარ, რომ პირველი არგენტინელი ვარ, ვინც „ოქროს ბურთი“ მოიგო, მაგრამ რომ არა ძველი წესი, პირველი არგენტინელი გამარჯვებული დიეგო მარადონა იქნებოდა. ამ ტიტულს ჩემს ოჯახს ვუძღვნი“.*

თავის მხრივ გვარდიოლამაც შეაქო მისი შეგირდი: *„ის სხვებისგან გონებით და მებრძოლი სულით გამორჩეული ფეხბურთელია. მას ბუნებისგან მონიჭებული აქვს ყველაფერი, რის გამოც დიდი ფეხბურთელია: მესი ძლიერია, სწრაფი, გოლის გამტანი, თავით კარგად თამაშობს, თამაშის არსი ესმის, ტექნიკურია - ის ფეხბურთის ყველა ასპექტში ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. ეს ჯილდო მას და მთელ „ბარსელონას“ ეკუთვნის. ლეო მესი დამსახურებული გამარჯვებულია, ის სულ სხვა განზომილების ფეხბურთელია“.*

მესიმ წლეულს ყველა სახის ტურნირში (ჯამში 51 მატჩში) 36 გოლი გაიტანა. მან ბევრჯერ დაახვია თავბრუ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს, ლამაზი კომბინაციებით, სისწრაფითა და დრიბლინგით. სეზონის დასაწყისში მან „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე გააგრძელა.

ლიონელ მესის დოსიე

კლუბი: ბარსელონა
ქვეყანა: არგენტინა
ასაკი: 22 წლის
პოზიცია: ფორვარდი, შემტევი ნახევარმცველი
2008-09 სეზონის ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი 9 გოლით
2009 წელს პრემერა დივიზიონში გაიტანა 30 გოლი
გუნდთან ერთად მოიგო: ჩემპიონთა ლიგა, სამეფო თასი, ლა ლიგა, ევროპის სუპერთასი.
არგენტინის ნაკრებთან ერთად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ოქროს ბურთი 2009

1.	ლიონელ მესი (არგენტინა/ბარსელონა)	473 ქულა
2.	კრ. რონალდო (პორტუგალია/მანჩესტერ იუნ/ რეალი)	233
3.	ჩავი ერნანდესი (ესპანეთი/ბარსელონა)	170
4.	ანდრეს ინიესტა (ესპანეთი/ბარსელონა)	149
5.	სამუელ ეტოო (კამერუნი/ბარსელონა/ინტერი)	75
6.	კაკა (ბრაზილია/მილანი/რეალი)	58
7.	ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი/ინტერი/ბარსელონა)	50
8.	უეინ რუნი (ინგლისი/მანჩესტერ იუნ)	35
9.	დიდიე დროგბა (კოტ დ'ივუარი/ჩელსი)	33
10.	სტივენ ჯერარდი (ინგლისი/ლივერპული)	32
11.	ფერნანდო ტორესი (ესპანეთი/ლივერპული)	22
12.	სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი/არსენალი)	13
13.	ედინ ჯეკო (ბოსნია/ვოლფსბურგი)	12
14.	რაიან გიგზი (უელსი/მანჩესტერ იუნ)	11
15.	ტიერი ანრი (საფრანგეთი/ბარსელონა)	9
16.	ლუიშ ფაბიანო (ბრაზილია/სევილია)	8
16.	ნემანია ვიდიჩი (სერბეთი/მანჩესტერ იუნ)	8
16.	იკერ კასილიასი (ესპანეთი/რეალი)	8
19.	დიეგო ფორლანი (ურუგვაი/ატლეტიკო)	7
20.	იოან გურკუფი (საფრანგეთი/ბორდო)	6
21.	ანდრეი არშავინი (რუსეთი/არსენალი)	5
21.	ჟულიო სეზარი (ბრაზილია/ინტერი)	5
21.	ფრენკ ლემპარდი (ინგლისი/ჩელსი)	5
24.	მაიკონი (ბრაზილია/ინტერი)	4
25.	დიეგო (ბრაზილია/ვერდერი/იუვენტუსი)	3
26.	დავიდ ვილია (ესპანეთი/ვალენსია)	2
26.	ჯონ ტერი (ინგლისი/ჩელსი)	2
28.	ფრანკ რიბერი (საფრანგეთი/ბაიერნი)	1
28.	იაია ტურე (კოტ დ'ივუარი/ბარსელონა)	1
30.	ძარიმ ბენზემა (საფრანგეთი/ლიონი/რეალი)	0

„ფრანს ფუტბოლის“ 2009 წლის ევროპის ნაკრები: **კასილიასი - მაიკონი, ტერი, ვიდიჩი - ჩავი, ჯერარდი, ინიესტა, კაკა - მესი, ეტოო, რონალდო.**

ოქროს ბურთის ყველა ლაურეატი

1956	სტენლი მეტიუზი	გლეძჰული/ინგლისი
1957	ალფრედო დი სტეფანო	რეალი/ესპანეთი
1958	რაიმონ კოპა	რეალი/საფრანგეთი
1959	ალფრედო დი სტეფანო	რეალი/ესპანეთი*
1960	ლუის სუარესი	ბარსელონა/ესპანეთი
1961	ომარ სივორი	იუვენტუსი/იტალია*
1962	იოჟეფ მასოპუსტი	დუკლა/ჩეხოსლოვაკია
1963	ლევ იაშინი	დინამო მ/სსრკ
1964	დენის ლოუ	მანჩესტერ იუნ/შოტლანდია
1965	ეუსებიო	बენფიკა/პორტუგალია
1966	ბობი ჩარლტონი	მანჩესტერ იუნ/ინგლისი
1967	ფლორიან ალბერტი	ფერენცვაროში/უნგრეთი
1968	ჯორჯ बेსტი	მანჩესტერ იუნ/ჩრ. ირლანდია
1969	ჯანი რივერა	მილანი/იტალია
1970	გერდ მიულერი	ბაიერნი/გფრ
1971	იოჰან კრუიფი	აიაქსი/ჰოლანდია
1972	ფრანც बेკენბაუერი	ბაიერნი/გფრ
1973	იოჰან კრუიფი	ბარსელონა/ჰოლანდია
1974	იოჰან კრუიფი	ბარსელონა/ჰოლანდია
1975	ოლეგ ბლოხინი	დინამო კიევი/სსრკ
1976	ფრანც बेკენბაუერი	ბაიერნი/გფრ
1977	ალან სიმონსენი	ბორუსია მ'ბლადბახი/დანია
1978	კევინ კიგანი	ჰამბურგი/ინგლისი
1979	კევინ კიგანი	ჰამბურგი/ინგლისი
1980	კარლ-ჰაინც რუმენიგე	ბაიერნი/გფრ
1981	კარლ-ჰაინც რუმენიგე	ბაიერნი/გფრ
1982	პაოლო როსი	იუვენტუსი/იტალია
1983	მიშელ პლატინი	იუვენტუსი/საფრანგეთი
1984	მიშელ პლატინი	იუვენტუსი/საფრანგეთი
1985	მიშელ პლატინი	იუვენტუსი/საფრანგეთი
1986	იგორ बელანოვი	დინამო კიევი/სსრკ
1987	რუუდ გულიტი	მილანი/ჰოლანდია
1988	მარკო ვან बასტენი	მილანი/ჰოლანდია
1989	მარკო ვან बასტენი	მილანი/ჰოლანდია
1990	ლოთარ მათეუსი	ინტერი/გფრ
1991	ჟან-პიერ पაპენი	მარსელი/საფრანგეთი
1992	მარკო ვან बასტენი	მილანი/ჰოლანდია
1993	როबერტო बაჯო	იუვენტუსი/იტალია
1994	ხრისტო სტოიჩკოვი	ბარსელონა/बულგარეთი
1995	ჯორჯ ვეა	მილანი/ლიबერია
1996	მათიას ზამერი	ბორუსია დ/बერმანია
1997	რონალდო	ინტერი/ბრაზილია
1998	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი/საფრანგეთი
1999	რივალდო	बარსელონა/ბრაზილია
2000	लუიშ ფიგუ	რეალი/პორტუगალია
2001	მაიკლ ოუენი	ლივერპული/ინგლისი
2002	რონალდო	რეალი/ბრაზილია
2003	პაველ ნედვედი	იუვენტუსი/ჩეხეთი
2004	ანდრეი შევჩენკო	მილანი/უკრაინა
2005	რონალდინიო	बარსელონა/ბრაზილია
2006	ფაბიო კანავარო	რეალი/იტალია
2007	კაკა	მილანი/ბრაზილია
2008	კრიშტიანო რონალდო	მანჩესტერ იუნ/პორტუगალია
2009	ლიონელ მესი	बარსელონა/არგენტინა

** - ეს ფეხბურთელები არგენტინელები იყვნენ და ამ ქვეყნის ნაკრებშიც ჰქონდათ ნათამაშები, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ოქროს ბურთი მოიპოვეს, შესაბამისად, ესპანეთისა და იტალიის ნაკრებთა ღირსებას იცავდნენ.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

აზბეგი

ვილიას 84 მილიონად გაყიდიან

ბოლო დღეებში კვლავ გააქტიურდა ესპანური და არა მარტო ესპანური მედია **დავიდ ვილიას** სავარაუდო ტრანსფერის შესახებ. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ „ვალენსიას“ მაინც მოუწევს თავისი სუპერვარსკვლავის გაყიდვა, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაფაროს ყველა ვალი, რაც ესპანურ კლუბს დაუგროვდა. უკვე რამდენიმე მოწინავე ევროპულმა კლუბმა გამოთქვა სურვილი ესპანეთის ნაკრების ფორვარდის შეძენის. „ვალენსიას“ პრეზიდენტ **მანუელ ლორენტეს** კიდევ ერთხელ მოუწია საჯაროდ გამოსვლამ და ამ ყველაფრის უარყოფამ, მაგრამ „ღამურების“ ბოსი ისე დამაჯერებელი აღარ ჩანდა, თან მან პირდაპირ მიანიშნა, რომ ვილიას გაყიდვა მაინც შესაძლებელია. „ზოგადად ფეხბურთელის გაყიდვაში ნეგატიური არაფერია. უბრალოდ, ფეხბურთელის გაყიდვას ფინანსურად აზრი უნდა ჰქონდეს. ყველა გუნდი ყიდის ფეხბურთელებს, მათ შორის თავიანთ ვარსკვლავებსაც. ამიტომაც არაფერი საშიში ამაში არაა“, - განაცხადა ლორენტემ ვალენსიის უნივერსიტეტში გამოსვლისას, რომელიც „ვალენსიას“ ისტორიას მიეძღვნა.

„ვილია გამონაკლისი არ არის, მისი გაყიდვაც შესაძლებელია, მაგრამ რაც მედიის საშუალებით გავიგე, იმ ფასად ჩვენს ფორვარდს არ გავასხვისებთ. 42 მილიონი ევრო ძალიან ცოტაა ასეთი დონის ფეხბურთელის სანაცვლოდ. ის, სულ მცირე, ამაზე ორჯერ ძვირი ღირს. გასულ წელს ჩვენ შეიძლება დავთანხმდებოდით ვილიას გაყიდვას, რომ მიგვეღო მისთვის შესაფერისი მოთხოვნა. თუკი ფეხბურთელი გააგრძელებს გუნდისთვის გოლების გატანას და ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგ ზურს მოგვიპოვებს, მისი ფასი კიდევ უფრო გაიზრდება“.

როგორც ჩანს, „ვალენსია“ მზადაა გაყიდოს თავისი ვარსკვლავი, მაგრამ სანაცვლოდ დიდძალ ფულს ითხოვს, ლორენტეს კომენტარის მიხედვით, სულ მცირე 84 მილიონ ევროს. მედიაში გაჩენილი ხმების მიხედვით, ესპანეთის მიმდინარე პირველობის ბომბარდირის შეძენა ინგლისურ „ჩელსის“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურთ, ესპანეთში კი მისით „რეალი“ და „ბარსელონა“ არიან დაინტერესებულნი.

პენანტი, უკან ალბიონზე

ინგლისური „ასტონ ვილა“ ესპანური „სარაგოსას“ ინგლისელი ვინგერის, **ჯერმეინ პენანტის** შეძენით არის დაინტერესებული. პენანტმა, რომელიც „ლივერპულს“ ეკუთვნოდა, გასული სეზონის დიდი ნაწილი იჯარის წესით „პორტსმუთში“ გაატარა. სეზონის დასრულების შემდეგ მას „ლივერპულთანაც“ დაუსრულდა ხელშეკრულება და პირენეებზე გადაბარგდა პრიმერა დივიზიონში დაბრუნებულ „სარაგოსაში“. მას შემდეგ ინგლისელმა ნახევარმცველმა სულ ათ მატჩში მიიღო მონაწილეობა „სარაგოსას“ მაისურით. ხშირად ის შეცვლაზე შედის და როგორც ჩანს, კარგად ვერ მოერგო ესპანურ ფეხბურთს. „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ მტკიცებით, **მარტინ ონილი** დაინტერესებულია პენანტის შეძენით, რათა ნახევარდაცვის ფლანგებზე გუნდს პრობლემები მოეხსნას. ჯერჯერობით უცნობია, „ასტონ ვილას“ ჯერმეინ პენანტის შეძენა სურს, თუ მისი იჯარის წესით აყვანა.

ათი ყველაზე...

რაიმონ კოპა

იოჟეფ მასოპუსტი


ფლორიან ალბერტი

ჯიმი ჯონსტონი


გიუნტერ ნეტცერი

რატომღაც მივიწყებულნი

„ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ ოდითგანვე საფეხბურთო წლის შეჯამება იყო. აი, ახლაც, მთავრდება წელიწადი და ჟურნალისტთა ახალი რჩეულის ვინაობაც გაირკვა - არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ შემტევი ლიონელ მესი...

მაგრამ აქ სხვა რამეზე ვისაუბრებთ. ჯერ უნდა შეგახსენოთ, რომ ტრადიციულად, ფრანგული ჟურნალი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობას ავლენდა, თუმცა ბოლო ხანებში „გეოგრაფია გააფართოვა“ და მთელი მსოფლიო მოიცვა.

დღეს გთავაზობთ goal.com-ის მიერ შემოთავაზებული იმ 10 ფეხბურთელის სიას, რომელთაც სხვადასხვა დროს „ოქროს ბურთი“ მოიგეს ან გამარჯვებულს ოდნავ ჩამორჩნენ, ან ასე ვთქვათ - არანაკლებ იმსახურებდნენ პრესტიჟულ ჯილდოს... მაგრამ დღემდე კაშკაშა კოლეგებისგან განსხვავებით, „ჟამთა სიავემ“ მათი სახელები ცოტა არ იყოს მიგვავიწყა... ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა თაობისთვის ამ დიდი ვარსკვლავების გახსენება (შეიძლება, გაცნობაც) საჭირო საქმედ მიგვაჩნია...

რაიმონ კოპა (1958)

ჰკითხეთ აბა **არსენ ვენგერს**, ვინ იყო მისი ახალგაზრდობის კერპი და ის ფრანგული ფეხბურთის 1950-იანი წლების ამ უდიდეს ვარსკვლავს დაგისახელებთ. რაიმონ კოპა საუცხოო გამთამაშებელი გახლდათ. ის რომ არა, მადრიდის „რეალს“ 1956-59 წლებში, ევროპაში ბატონობა, ალბათ, გაუჭირდებოდა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კოპა იმთავითვე „რეალის“ სხვა ვარსკვლავების - **ალფრედო დი სტეფანოს, ფერენც პუშკაშისა** და **ფრანსისკო ხენტოს** ჩრდილში გახლდათ მოქცეული. და, რა უცნაურია, რომ ამ „ჩრდილოვანმა“ ბედმა წარმოშობით პოლონელი **კოპაჩევსკი** არც საფრანგეთის ნაკრებში გაახარა. 1958 წელს „ლურჯებმა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვეს, მაგრამ, როდესაც იმ ნაკრებს იხსენებენ, ჯერ აუცილებლად **ჟიუსტ ფონტენს** ასახელებენ და მხოლოდ მის შემდეგ - კოპას.

იოჟეფ მასოპუსტი (1962)

1962 წელს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა და ეს დიდი წარმატება მეტწილად იოჟეფ მასოპუსტის დამსახურება გახლდათ. ჩინებულმა ნახევარმცველმა უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებთან გამარჯვებაში ენით აუწერელი როლი ითამაშა. რაც შეეხება უშუალოდ ფინალს, მასოპუსტმა ჩეხოსლოვაკიის გუნდი თვით ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში დააწინაურა, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა სამი გოლით უპასუხეს და „ნიკეს“ თასს დაეპატრონენ. მუნდიალის ეს გაბრწყინებები საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ფრანს ფუტბოლის“ რესპონდენტები მასოპუსტით აღფრთოვანებულიყვნენ და მისთვის „ოქროს ბურთი“ მიენიჭებინათ. 2003 წელს კი, ჩეხეთში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მასოპუსტი მათი ქვეყნის ბოლო 50 წლის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად დაასახელეს.

ფლორიან ალბერტი (1967)

კიდევ ერთი თავისებური ბედის ადამიანი: აბა, ვისაც შეგიძლიათ, მეოცე საუკუნის უდიდესი უნგრელი ფეხბურთელები ჩამოთვალეთ. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ყველანი **ფერენც პუშკაშს, ნანდორ ჰიდეგკუტის** და **შანდორ კოჩიშს** დაასახელებდით, ფლორიან ალბერტს კი არა. არადა, თუკი 1960-იან წლებში ევროპაში ვინმე ბრწყინავდა, სწორედ „ფერენცვაროშის“ ვარსკვლავი იყო. სტატისტიკას ჩავხედოთ: 1958-1974 წლებში, ხსენებული კლუბის 339 შეხვედრაში 245 გოლი გაიტანა, ხოლო ნაკრებში 32 გოლი შეაგდო. ალბერტი გახლდათ საოცრად ელეგანტური სტილის ფორვარდი, რომელმაც 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თანაბომბარდირის ტიტული მოიპოვა, ხოლო „ფერენცვაროში“ 1965 წელს ბაზრობათა თასის (შემდგომში უეფას თასი) მფლობელი გახადა. 1966 წლის მუნდიალზე **პელე** და მისი ბრაზილია შეჯიბრებიდან სწორედ ალბერტის უნგრეთმა გამოთიშა.

ჯიმი ჯონსტონი (1967-III ადგილი)

საოცარია, რომ ეს გარემარბი შოტლანდიელებს დღემდე თავიანთი ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნიათ. შოტლანდიის გარეთ კი ბევრი იკითხავს, ვინ არისო. „სელტიკის“ ჩია გმირი „პარკჰედზე“ გატარებული 13 წლის განმავლობაში მეტოქე გუნდების განაპირა მცველებს შავ დღეში აგდებდა. მან დაუვიწყარი როლი ითამაშა ჩემპიონთა თასის 1967 წლის გათამაშების ფინალში „ილ გრანდე ინტერის“ დამარცხებაში.

გიუნტერ ნეტცერი (1972-II ადგილი)

ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ კაცზე, რომელიც უდავოდ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი და მწვავე პასების ოსტატი იყო, მაგრამ ხალხთა მასების ყურადღება აკლია. არადა, მის თანამემამულეებს, **ფრანც ბეკენბაუერს** და **გერდ მიულერს**, მხოლოდ მშობლიურ გერმანიაში კი არა, მთელ მსოფლიოში, სადაც კი დაინახავენ, ტაშსა და ვაშას არ აკლებენ. როგორც ჩანს, პოპულარობას უშუალოდ საქმეში ოსტატობის გარდა კიდევ უნდა რაღაც. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა, სადაც მას არ გაუბრწყინია, გადაჩრდილა ორი წლის წინანდელი ევროპის პირველობა, სადაც მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ვარსკვლავი სხვა პლანეტიდან ჩამოსულივით თამაშობდა.

ალან სიმონსენი (1977)

ეს დანიელი ვარსკვლავიც მიონხენგლადბახელთა 1970-იანი წლების დიდი გუნდის წევრი იყო. ტანმორჩილ სიმონსენს მოწინააღმდეგე მცველები ხშირად მაღალი ხეებივით ფარავდნენ, მაგრამ, როდესაც საქმე ბურთის გორებაზე მიდგებოდა, სურათი რადიკალურად იცვლებოდა. „გლადბახში“ გატარებული საუცხოო შვიდი წლის შემდეგ, დანიელი „ბარსელონაში“ გადავიდა და 1979-83 წლებში იქ იკაშკაშა. დანიის ნაკრებში მან 55 შეხვედრაში 20 გოლი გაიტანა.

ჰანს კრანკლი (1978-II ადგილი)

ვერ გეტყვით, ვინმეს ახსოვს თუ არა ავსტრიული ფეხბურთის 1930-იანი წლების ვარსკვლავი **მატიას შინდლერი**, მაგრამ მის შემდეგ ამ ქვეყანას ჰანს კრანკლის ბადალი ფეხბურთელი რომ არ ჰყოლია, არ უნდა ლაპარაკი. ვენის „რაპიდისა“ და „ბარსელონას“ თავდამსხმელი 1979 წელს ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ავსტრიის ნაკრებში კრანკლმა 69 შეხვედრაში 34 გოლი გაიტანა. მან მსოფლიოს ორ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. მისი ყველაზე ცნობილი გოლი კი 1978 წლის მუნდიალზე გავიდა - მეორე ჯგუფურ ეტაპზე გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრის 88-ე წუთზე კრანკლმა ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით ჩინებული გოლი შეაგდო და ავსტრიას 3:2 მოაგებინა.

ბერნდ შუსტერი (1980-II, 1981-III)

შუსტერი ევროპაში, შესაძლოა, კარგად ახსოვთ, როგორც მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი არცთუ შორეულ წარსულში. მაგრამ როგორც 1980-იანი წლების ვარსკვლავი, მივიწყებულია. არადა, ევროპის 1980 წლის ჩემპიონატზე 20 წლის ახალგაზრდა შეუდარებელი გახლდათ. მაშინ, გფრ-მ მოიგო კიდეც ჩემპიონის ტიტული, მაგრამ, შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონფლიქტი მოუვიდა და ნაკრებს აღარ გაჰკარებია. გერმანიიდან გაქცევის შემდეგ, 13 წლის განმავლობაში, ხან „ბარსელონაში“ თამაშობდა, ხან მადრიდის „რეალში“ და ხან „ატლეტიკოში“.

პრებენ ელკიაერ-ლარსენი (1984-III, 1985-II)

დანიის ნაკრებმა 1984 წლის ევროპისა და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე საუცხოოდ ითამაშა. ამ გუნდის სახე და ლიდერი სწორედ ელკიაერ-ლარსენი გახლდათ. ის იყო დაუღალავი, ღონიერი ფორვარდი, რომელმაც იტალიის სერია A-ში საოცრება მოახდინა: 1985 წელს (მაშინ, როდესაც იტალიის სხვადასხვა გუნდში გამოდიოდნენ **დიეგო მარადონა, მიშელ პლატინი** და **რუუდ გულიტი**) სკუდეტო „ვერონას“ მოაგებინა...

იგორ ბელანოვი (1986)

ბელანოვი 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გაელვება იყო - მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების უსწრაფესი თავდამსხმელი, რომლის სხვა საფეხბურთო ღირსებებში ქართველ გულშემატკივარს ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ მუნდიალის მერვედფინალში სსრკ-ის გუნდმა ბელგიასთან 4:3 საშინელი მსაჯობის გამო წააგო. იმ ჩემპიონატზე ბელანოვმა ოთხი გოლი გაიტანა. იმავე წელიწადს მან კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასიც მოიპოვა, მაგრამ ეგ იყო და ეგ - შემდეგ ვარსკვლავთა რიგებიდან უკვალოდ გაქრა.

ილია ბაბუნაშვილი

ალან სიმონსენი


ჰანს კრანკლი

ბერნდ შუსტერი

პრებენ ელკიაერ-ლარსენი


იგორ ბელანოვი

● პრემიერლიგური ფინანსები

რამდენი ჭამეს აგენტებმა?

ყველანაირად შეიძლება დაალაგო გუნდები: ქულების, გატანილი და გაშვებული გოლების მოგებების ან ფრეების მიხედვით, ბოლოს და ბოლოს, ანბანის მიხედვით... მაგრამ, ისინი შეიძლება საფეხბურთო აგენტებისთვის გადახდილი მილიონების მიხედვითაც ჩამოამწკრივო და თუ პრემიერლიგის კლუბებს მართლა ასე დავახარისხებთ, პირველ ადგილზე „მანჩესტერ სიტი" გავა. იცით, რა თანხა აქვს ამ კლუბს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული 2009 წლის 30 სექტემბრამდე შუამავლებისთვის გადახდილი? - 12 874 283 ფუნტი! თუ თვალებს არ უჯერებთ, სიტყვით გაგიმეორებთ: თორმეტი მილიონ რვაას სამოცდათოთხმეტი ათას ორას ოთხმოცდასამი. საინტერესოა, რომ პრემიერლიგის ყველა კლუბს ერთად, აგენტებზე, დაახლოებით 71 მილიონი ჰქონია დახარჯული. ესე იგი, ისტლენდელთა გასროლილი თანხა მთელი ლიგის ხარჯის მეხუთედთან არის ახლოს.

ინგლისელი მხარჯველებიდან მეორე ადგილზე „ჩელსი" გავიდა - ლონდონელებმა „მანჩესტერ სიტიზე" დაახლოებით 3,5 მილიონი ფუნტით ნაკლები გაიღეს. და, ალბათ, ყველას გაინტერესებთ ამ სიაში რომელ პოზიციაზეა „მანჩესტერ იუნაიტედი". არ გაგაწბილებთ და ახლავე მოგახსენებთ: „იუნაიტედი" მოკრძალებული 1 517 393 ფუნტით მხოლოდ და მხოლოდ მეთხუთმეტეა. ერთი სიტყვით, როგორც გაირკვა, **მარკ ჰიუზის** გუნდმა მაინც მიაგნო შეჯიბრებას, სადაც სანატრელი პირველი ადგილი მისია, თორემ ფეხბურთით, ზედიზედ ნათამაშები შვიდი ფრის გადამკიდე, ცხრილის სათავეში მოხვედრას ნამდვილად ვერ ახერხებს.

მანჩესტერ სიტი ბარნლის, ადუბაიორი (მარჯვნივ) კოლდუელის, სიმდიდრე სილარიბის წინააღმდეგ

მეორე მხრივ, იმაში, რაც ზემოთ მოგახსენეთ, გასაკვირი არაფერია, რადგან „მანჩესტერ სიტიმ" ახალი ფეხბურთელების შეძენაში 100 მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა. ეს ფეხბურთელები გახლავთ: **ემანუელ ადებაიორი, კარლოს ტევესი, გარეთ ბერი, როკე სანტა კრუზი, ჯოლიონ ლესკოტი, ნაიჯელ დე იონგი, კოლო ტურე** და მეკარე **შეი გივენი**.

აგენტებზე დახარჯული ფულის ამბავი ამ დღეებში ოფიციალურად პრემიერლიგის ოფისში გამოაცხადეს. ეს ინგლისის ჩემპიონატის შეფებს ქვეყნის საუკეთესო კლუბების ფინანსური მოღვაწეობის გამჭვირვალობისთვის დასჭირდათ. მათ უნდათ, რომ უბრალო გულშემატკივრისთვის არ იყოს დაფარული, სად მიდის ის უზარმაზარი თანხები, ამ ლიგაში რომ ტრიალებს. ბევრისთვის გასაკვირი იყო, რომ აგენტებისთვის გადახდილი თანხების მიხედვით მესამეზე „ლივერპული" (6 657 305) აღმოჩნდა, მეოთხეზე კი „ტოტენჰემ ჰოთსპური" (6 066 935). მათ მოსდევს „ვესტ ჰემი" (5 527 548) და „არსენალი" (4 760 241). რაც შეეხება ბოლო ადგილზე გასულს, ეს გახლავთ „ბარნლი", რომელმაც აგენტები მაინცდამაინც ვერ ახერა - ამ საფეხბურთო კლუბის დანახარჯი 486 398 ფუნტია.

კითხვაზე, „ბარნლის" გარდა კიდევ რამდენ კლუბს აქვს გადახდილი მილიონ ფუნტზე ხარჯი, პასუხი ასეთია: „პირმინგემსა" და „სტოკ სიტის". დააკვირდით: „მანჩესტერ სიტის" „ბარნლიზე" ოცდაშვიდჯერ (!) მეტი აქვს აგენტებისთვის გადახდილი. საინტერესოა, თამაშობენ ისტლენდელები ფეხბურთს „ბარნლიზე" ოცდაშვიდჯერ უკეთესად? ცნობისათვის, „სიტი" პრემიერლიგის ცხრილში მეშვიდე ადგილზე გახლავთ, ხოლო „ბარნლი" მეთორმეტეზე. მათ შორის ქულათა სხვაობა ისეთივე მცირეა, როგორიც მანძილი თავად ქალაქებს შორებს - „მანჩესტერ სიტიდან" „ბარნლიმდე" ხუთი ქულა, ხოლო მანჩესტერიდან ბარნლიმდე 50 კილომეტრია.

ილია ბაბუნაშვილი

● შტუტგარტი

მარკუს ბაბელმა (მარჯვნივ) თომას ჰიტცლშპერჰგერს კაპიტნობა ჩამოართვა

ბაბელმა კაპიტანი მოხსნა!

მწვრთნელი: ჰიტცლშპერგერი სამკლავურს არ იმსახურებს

„შტუტგარტი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, ბუნდესლიგაში კი ბოლოსწინა ადგილზეა! სწორედ ამიტომ, შვაბენლანდურ კლუბში ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამ უქმეებზე „ლევერკუზენთან" განცდილი მორიგი კრახის (0:4) შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **მარკუს ბაბელს** თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. პრეზიდენტ **ერვინ შტაუდტის** თქმით, 37 წლის სპეციალისტი პოსტზე მინიმუმ ზამთრამდე დარჩება.

სამაგიეროდ, ბაბელმა მიიღო პირველი გადამწყვეტი ზომა და გუნდის ლიდერ **თომას ჰიტცლშპერგერს** კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. *„თომასს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ ის ვერ თამაშობს ისე, როგორც გუნდის ლიდერი უნდა თამაშობდეს. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე ჰიტცლშპერგერი კაპიტნობას არ იმსახურებს,"* - განუცხადა ბაბელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

შვაბთა თავკაცი ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გუნდმა თამაში გამოასწოროს, უკეთესი შედეგი ჰქონდეს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. ამასობაში, დროც აღარ ითმენს - „შტუტგარტი" ბოლოსწინა ადგილზეა და თუ ასე გააგრძელა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე დაემუქრება.

„მწვრთნელის მუშაობა შედეგებით იზომება, დღეისათვის კი ძალიან ცუდი შედეგები გვაქვს. ეს ძალიან კარგად ვიცი და დამერწმუნეთ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ვითარება გამოსწორდეს. მიხარია, რომ გუნდის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ მენდობიან," - ამბობს ბაბელი.

ვინ გახდება „შტუტგარტის" ახალი კაპიტანი, ეს ჯერ კიდევ უცნობია. ბაბელის სამწყსოს ვიცე-კაპიტანი 22 წლის მცველი **სერდარ ტასკია** და დიდი შანსია, რომ ბაბელმა სამკლავური მას გაუკეთოს.

გოტფრიდ ლენცი

● დაპირისპირება

...რა იდიოტია ჰანსენი!

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** კრიტიკოსებს გალმა შეუტია. ლაპარაკია იმ კრიტიკოსებზე, რომლებმაც „ბეშიქთაშთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის შემდეგ მისი გუნდის ყმაწვილკაცები დაიწუნეს. ყველაზე მეტად ფერგის სამიზნე BBC-ის მიმომხილველი **ალან ჰანსენი** გახლდათ. ცნობისთვის: ეს სწორედ ის ალან ჰანსენია, რომელიც 1977-91 წლების დიდ „ლივერპულში" თამაშობდა და, შესაბამისად, ქართველთათვის დღემდე ლეგენდარულ შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული - 1979 წელს თბილისში „დინამომ" „ლივერპულს" 3:0 რომ მოუგო.

და მაინც, რა თქვა ჰანსენმა ასეთი? მან ბრძანა, რომ ფერგიუსონი თავისი დღევანდელი ბავშვებით ვერაფერს მოიგებს. მიმომხილველის აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ეს ერთხელ, **დევიდ ბექჰემისა** და **პოლ სქოულზის** თაობის გამოწურვით უკვე მოახერხა და ახლა იმავეს ვეღარ გაიმეორებს. რასაკვირველია, ჰანსენს თავისი მოსაზრებები ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ მოახერხებს მისი თანამემამულე (ორივენი შოტლანდიელები გახლავან) ამას, მაგრამ ამჯერად გვინდა ყურადღება ფერგიუსონის პასუხზე გავამახვილოთ. შეგახსენებთ იმასაც, რომ ბექჰემისა და სქოულზის თაობამ 1995-96 წლების სეზონშივე მოიგო ინგლისის ჩემპიონის ტიტული და შემდეგ, ექვსი წლის განმავლობაში, ინგლისში ბადალი არ ჰყავდა - ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს მოახერხა „არსენალმა" მანჩესტერელთა ბატონობის შეჩერება.

ფერგიუსონს კი სხვა აზრი აქვს. მას თავისი ახალგაზრდების ეიმედება და ის ფეხბურთელები, რომლებმაც გასულ კვირაში, ჩემპიონთა ლიგაში „ბეშიქთაშთან" წააგეს, წუხელ, ქარლინგის თასზე „ტოტენჰემთანაც" ათამაშა.

„ყოველგვარი კრიტიკის მიუხედავად მე ჩემს ახალგაზრდებს მაინც ვათამაშებ. ვიღაც-ვიღაცებმა თქვეს, რომ ამ ბიჭებს მომავალი არ აქვთ. რა იდიოტია, ვინც ასეთი რამ წამოროშა. საკუთარ თვალებსა და ყურებს არ ვუჯერებ. „ბეშიქთაშთან" 6 ახალგაზრდა ვათამაშე. ორი მათგანი 18 წლის იყო, ერთი 19-ის, ერთი 20-ის და ერთიც 21-ის. ბიჭებმა ჩემპიონთა ლიგის გამოცდილება მიიღეს, ესენი კი ამბობენ, სუსტები არიანო. როდესაც დევიდ ბექჰემმა, ნიკი ბატმა, პოლ სქოულზმა და მაშინდელმა თაობამ ლიგაში პირველად ითამაშა, 22-22 წლისანი იყვნენ. მთელი სამი წელინადია განსხვავება. ჯანდაბას, იმ ჟურნალისტმა, ვინც ამ ბავშვების სისუსტეზე სტატია დაწერა, მცირერიცხოვან მკითხველს მიმართა, რადგან მისი მოსაზრებები მცირეტირაჟიან გაზეთში გამოქვეყნდა, მაგრამ ალან ჰანსენმა იგივე აზრი BBC-ის ეთერიდან მილიონებს უთხრა და ამისთვის მოსაკლავია. თუმცა არა უშავს. ამით ჩემი ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოცდილებას შეიძენენ. მთავარია, რომ მათ მე ვენდობი და საკუთარი ოსტატობის წყალობით დიდ გუნდში თამაშს იმსახურებენ".

ილია ბაბუნაშვილი

სერ ალექს ფერგიუსონის ერთ-ერთი იმედი ფედერიკო მაკედა

● მოსალოდნელი ტრანსფერი

დიეგო და მესუთ იოზილი ერთად იუვეში?

დიეგო იოზილს იუვეში უხმობს!

მესუთიც ბრაზილიელის მხარდამხარ თამაშზე ოცნებობს

„იუვენტუსის" ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** და „ვერდერის" ნიჭიერი ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** ახლო მეგობრები არიან. წინა სეზონში 24 წლის დიეგო და 21 წლის იოზილი „ვერდერში" ერთად თამაშობდნენ და გერმანიის თასი მოიგეს, ზაფხულიდან კი მათი გზები გაყოფილია - დიეგო „იუვენტუსისთვის" ილვწის, იოზილი კი ბრემენული კლუბის ლიდერი გახდა და გერმანიის ეროვნულ ნაკრებსაც გაუშინაურდა. მეტიც: მესუთი იმდენად კარგად ათამაშდა, „ვერდერის" ხელმძღვანელები სერიოზულად შიშობენ, რომ ზამთარში ან სეზონის ბოლოს იოზილის დაკარგვის საფრთხე დაემუქრებათ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი შიში არ არის უსაფუძვლო, რადგან დიეგო იოზილს „იუვენტუსში" ეპატიჟება. *„მესუთი შესანიშნავად თამაშობს და პოტენციალის მაქსიმუმს ავლენს. ცხადია, რომ მისით ევროპული გრანდები სერიოზულად დაინტერესდებიან. მე კი ძალიან მინდა, რომ მან ჩემს მხარდამხარ ითამაშოს, ჩვენ ხომ ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. იმედი მაქვს, არსებობს შანსი, რომ იოზილი „იუვენტუსმა" შეიძინოს,"* - განუცხადა დიეგომ „ბილდს".

ბრაზილიელ გამთამაშებელს თვითონ მესუთმაც აუბა მხარი: *„ჩვენ მართლაც იდეალურად ვუგებთ ერთმანეთს. დიეგოს მხარდამხარ თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. გამიხარდება, თუ ოდესმე ისევ ერთ კლუბში ვითამაშებთ."*

გოტფრიდ ლენცი

სკანდალი. მანიპულირებული მატჩები

მაფიამ ბლაჟევიჩს 500 000 შესთავაზა!

...იმისათვის, რომ ბოსნიის ნაკრებს თურქეთთან წაეგო

ბოსნიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი

ევროპაში აგორებული სკანდალი, რომელიც მანიპულირებული მატჩების უდიდეს სიას მოიცავს, უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. გაირკვა, რომ მაფია მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლა და სპორტის სხვა სახეობებსაც შეეხო. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ნათლიმამებმა ჩოგბურთისა და კალათბურთის მატჩებზეც მოახდინეს გავლენა. „შპიგელის" ცნობით, პროკურატურამ ცნობილ მანიპულატორ **ანტე საპინას,** აზიურ ბანკში 3.5-მილიონიანი ანგარიში აღმოუჩინა. ანგარიში მალაიზიელის სახელზეა გახსნილი, რომელიც აზიაში საპინას მარჯვენა ხელი ყოფილა.

უახლესი ინფორმაციით, მაფიოზებს ბოსნიისა და თურქეთის (1:1, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი) მატჩის მანიპულირება სურდათ და ბოსნიელთა თავკაც **მიროსლავ ბლაჟევიჩს** 500 000 ევრო შესთავაზეს იმისათვის, რომ მის გუნდს თურქეთთან წაეგო. გაირკვა, რომ ცნობილმა სპეციალისტმა მაფია უარით გაისტუმრა, რაც შეხვედრის შედეგიდანაც ჩანს. „ზუდვესტ პრესეს" ცნობით, მანიპულაციები რეგიონალიგის მიმდინარე სეზონშიც მოხდა. ლაპარაკია „დარმშტადტისა" და „ულმის" (3:1), ასევე „ფრაიბურგის" მეორე გუნდისა და „ულმის" (3:1) შეხვედრაზე.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მანიპულირებული შეხვედრების სიაში „ულმი" ხვდება. მეტიც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიაში ყველაზე „გასვრილი" გუნდი სწორედ „ულმია". რეაქციამ არ დააყოვნა: „ულმის" შეფებმა გუნდიდან სამი ფეხბურთელი გააგდეს: **კრალიევიჩი, მარინოვიჩი** და **რადოიევიჩი**. ამასობაში, საფეხბურთო კლუბ „ფერლის" კაპიტანმა **პატრიკ ნოიმანმა** აღიარა, რომ მისთვის უცნობი პიროვნებისგან 500 ევრო აიღო იმისათვის, რომ „ფერლს" ერთი კალენდარული შეხვედრა წაეგო. ფეხბურთელის ადვოკატ **ლუტც კლოზეს** თქმით, მაფიოზები ნოიმანს დაემუქრნენ, თუ პოლიციაში ჩაგვიშვებ, შენი საქმე ცუდად იქნებაო, რის გამოც მოთამაშე ამომწურავი ჩვენების მიცემას ვერ ახერხებს.

გუშინ კი, მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელმა „ზანდჰაუზენმა" ფეხბურთელი **მარსელ შუონი** გუნდიდან გააგდო. პრეზიდენტი **იურგენ მახმაიერი**: *„ჩვენ ის საერთოდ და უვადოდ გავაგდეთ. ამისათვის საკმარისი იყო თუნდაც იმის ცოდნა, რომ მას მაფიოზებთან გარკვეული კონტაქტი ჰქონდა."*

უეფამ კი, „შპიგელის" ინფორმაციით, უკრაინელ მსაჯ **ოლეგ ორიხეიოვს** მოუხსნა უფლებამოსილება, რადგან გაირკვა, რომ ხსენებულ არბიტრსაც მაფიასთან ჰქონდა ურთიერთობა. ბოხუმის პროკურატურა 32 მატჩზე აგრძელებს გამოძიებას. საერთოდ კი, ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, **რობერტ ჰოიცერის** ცნობილი სკანდალის შემდეგ, მინიმუმ 60 მატჩში მოხდა მანიპულაციები და ეს მხოლოდ გერმანიაში! თუმცა შავ სიაში არ არის პირველი ბუნდესლიგის შეხვედრები.

ჟურნალმა „ფაკტმა" ერთ-ერთ მაფიოზთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც კონკრეტულად საუბრობს მანიპულაციების მეთოდებზე. მისი თქმით, მანიპულატორები ფეხბურთელს პირდაპირ არასდროს მიმართავენ. *„პირველ რიგში მონმდება გარემო, სადაც მოთამაშე მუდმივად აქტიურობს. ირკვევა, ეძალება თუ არა ფეხბურთელი ალკოჰოლს, დადის თუ არა კაზინოში და ა.შ. თუ ფეხბურთელს ვალები აქვს, ეს საერთოდ იდეალური ვარიანტია. მინდა ვთქვა, რომ მანიპულაციების მცდელობების 80 პროცენტი ყოველთვის წარმატებით მთავრდება,"* - აცხადებს ნათლიმამა, რომლის ვინაობა, რა თქმა უნდა, არ სახელდება.

ივან რაკიტიჩმა ყენია ვერ შეცვალა

შაბათს, „შალკემ" მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" 0:1 წააგო, რის შემდეგაც გელზენკირხენულ კლუბში კვლავ აქტუალური გახდა პრობლემა, რომელიც მენეჯერსა და მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** დიდი ხანია აწუხებს. საფინალო სასტვენის შემდეგ „დესპოტმა ფელიქსმა" პირდაპირ თქვა, შეტევაში ძალიან ცოტას ვახერხებთ და ისიც ვიცი, რომ წინა ხაზში ამაზე უკეთ თამაში არ შეგვიძლიაო. მაგათს სადაც უმუშავია, ყველგან ჰყავდა შემდგარი გამთამაშებელი, კრეატიული ნახევარმცველი, რომელიც მინიმუმ ორ მშრომელ საყრდენს და თავდამსხმელებს ერთმანეთთან შეაკავშირებდა. დღეს კი მას ჩამოყალიბებული ფლეიმეიკერი არ ჰყავს.

შალკე

რაკიტიჩი არ ვარგა, როდის დაბრუნდება ყენია?

ფელიქს მაგათი ქართველის გამოჯანმრთელებას ელის

მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში „შალკე" არცთუ ურიგოდ გამოიყურება, მაგათის გუნდში ამ აპლუაში პრობლემა თვალსაჩინოა. მაგათის განკარგულებაში სამი ტიპური გამთამაშებელია: 21 წლის **ივან რაკიტიჩი**, 19 წლის **ლევან ყენია** და 19 წლის **ლუის ჰოლტბი**. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც რაკიტიჩი, იმედებს ვერ ამართლებს, ყენიამ კი ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაიკეთა და მისთვის ბუნდესლიგის პირველი წრე უკვე დასრულებულია.

აღსანიშნავია, რომ ამ სამი გამთამაშებლიდან მხოლოდ ყენიამ ითამაშა 90 წუთი და ისიც მხოლოდ ერთხელ, საერთო ჯამში კი, ლევანს ამ სეზონში ბუნდესლიგაში 10 მატჩი დაუგროვდა, რის შემდეგაც ტრავმა მიიღო. ჩვენი გერმანელი კოლეგებიც წერენ, ყენიამ უდავოდ დაამტკიცა, რომ ნიჭიერიაო. მაგრამ მიუხედავად ამისა, 9 შეხვედრაში მაგათმა ქართველი ექვსჯერ შეიყვანა და 3-ჯერ მოედნიდან გამოიყვანა. საერთო ჯამში, ყენიამ მოედანზე მხოლოდ ერთხელ გაატარა საათზე მეტი.

რაკიტიჩს ყენიაზე ოდნავ უკეთესი მაჩვენებელი აქვს იმ მხრივ, რომ ორ საგოლე პასთან ერთად მან ერთი გოლიც გაიტანა (ყენიას კი 2 პასი და 0 გოლი აქვს), მაგრამ „კიკერიც" წერს, რომ ხორვატი ვერ არის ისეთი ეფექტური, როგორიც ქართველი იყო. ესეც რომ არ იყოს, რაკიტიჩი ვერ არის სტაბილური და თუ ერთ თამაშს კარგად ჩაატარებს, მომდევნო შეხვედრაში ძალიან ცუდად გამოიყურება ხოლმე. სწორედ ამიტომ, რაკიტიჩს მოედანზე 90 წუთი ამ სეზონში არც ერთხელ არ გაუტარებია.

გამთამაშებლის პოზიციაზე მაგათმა **იან მორავეკიც** გამოსცადა, მაგრამ ეს ექსპერიმენტი კრახით დასრულდა. ფლეიმეიკერობის კიდევ ერთ კანდიდატ **ლუის ჰოლტბიზე** კი კონკრეტული საუბარი არც ღირს, რადგან მას მაგათი ძირითადი შემადგენლობისთვის ისედაც არ მოიაზრებს. თუნდაც იმიტომ, რომ აახენის „ალემანიადან" ნაყიდმა ნიჭიერმა ნახევარმცველმა ამ სეზონში ჯერ ვერც გოლი გაიტანა და არც საგოლე გადაცემა გაუკეთებია.

მაგათი გამოსავალს ყენიას დაბრუნებაში ხედავს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლევანი კიდევ უფრო გააუმჯობესებს თამაშს. წინაღმდეგ შემთხვევაში, „დესპოტ ფელიქსს" ახალი ფლეიმეიკერის ძებნა მოუწევს...

ჰერბა

ევროპის ყველაზე საშარცხვინო დედაქალაქი

საფეხბურთო გერმანია ღელავს: ბერლინში ფეხბურთი კვდება!

ბერლინი გერმანიის დედაქალაქია და შესაბამისად, იქ ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა იყოს. ბერლინში უმაღლეს დონეზეა მოდა, მუსიკა, გართობა და ა.შ. ევროპის არც ერთ სხვა ქალაქში არ არის სასტუმროებზე უფრო დიდი მოთხოვნა, ვიდრე გერმანიის დედაქალაქში. ერთადერთი, რაც დღეს გერმანიის მთავარ ქალაქს არცხვენს, არის ფეხბურთი...

ბუნდესლიგის 14 ტურის შემდეგ, „ჰერტას" სულ რაღაც 5 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. შესაბამისად, ბერლინულ კლუბს უკვე უფრო მეორებუნდესლიგელი ეთქმის, ვიდრე ელიტაში მოასპარეზე გუნდი. მოდით, გადავხედოთ ევროპის 10 წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების (უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგის მიხედვით) ლიგებს და ვნახოთ, როგორ თამაშობენ დედაქალაქის გუნდები სხვა ქვეყნებში.

რუსეთის დედაქალაქი მოსკოვი უმაღლეს ლიგაში ერთბაშად 6 კლუბითაა წარმოდგენილი, ინგლისის მთავარ ქალაქ ლონდონს კი პრემიერლიგაში ხუთი კლუბი ჰყავს. გერმანიის პირველ ბუნდესლიგაში კი ბერლინული დერბი არ არსებობს! თუ დავაკვირდებით, დედაქალაქური კლუბები თითქმის ყველგან წარმატებულები არიან და მხოლოდ „ჰერტაა" ბოლო ადგილზე. უკრაინის უმაღლეს ლიგაში სამი დედაქალაქური კლუბია: კიევის „დინამო", „ობოლონი" და „არსენალი". სამი ბუქარესტული გუნდია რუმინეთშიც: „სტიაუა" (პირველი ადგილი), „რაპიდი" (5) და „დინამო" (6). პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში ლისაბონს სამი კლუბი წარმოადგენს: „ბენფიკა" (1), „სპორტინგი" (6) და „ბელენენსეში" (13). ესპანეთში მადრიდს მხოლოდ ორი გუნდი ჰყავს, „რეალი" და „ატლეტიკო", რომელთაგან წელს „ატლეტიკოს" ძალიან უჭირს, მაგრამ ბოლო ადგილზე მაინც არაა. იტალიაში „რომა" და „ლაციო" გრანდები არიან, მაგრამ ბოლო დროს საკმაოდ გაუჭირდათ. თუმცა გასავარდნ ზონაში მოხვედრაზე ლაპარაკი ზედმეტია. წამყვანი ქვეყნებიდან, უმაღლეს ლიგაში დედაქალაქის მხოლოდ ერთი გუნდი საფრანგეთს (პსჟ) და ჰოლანდიას (აიაქსი) ჰყავთ.

„ჰერტას" კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** აღიარებს, რაც უნდა სამწუხარო იყოს, ჩვენ ელიტაში თამაშს არ ვიმსახურებთო.

„ბერლინს გაცილებით ძლევამოსილი გუნდი უნდა ჰყავდეს. ეს აქსიომაა! იმედი მაქვს, რომ ბერლინის გუნდი მეორე ბუნდესლიგაში არ გავარდება. ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა," - აცხადებს გერმანიის დედაქალაქის მერი **კლაუს ვოვერაიტი**.

„ბუნდესლიგა დედაქალაქის გუნდის გარეშე ჩემთვის წარმოუდგენელია. შარშან ამ დროს ვინმეს რომ ეთქვა, მომავალ სეზონში, 14 ტურის შემდეგ „ჰერტა" უპირობო აუტსაიდერი იქნებაო, ამას ვერ დავიჯერებდი. წინა სეზონში ბერლინელებმა გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლეს, ახლა კი ნომერ პირველი აუტსაიდერები არიან. ჩემთვის ეს აუხსნელი ფაქტია. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიდან მათ მხოლოდ ერთი მოთამაშე დაკარგეს, ანდრეი ვორონინი, რომელიც მართალია, კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ მის წასვლას გუნდი ასე ძლიერ არ უნდა შეესუსტებინა. მოკლედ, „ჰერტას" ასეთ დავრდომას ვერაფრით ვხსნი და ამ გუნდის გამო ძალიან ვნერვიულობ," - ეს კი **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბერლინელები ვერ გადარჩებიან

გუშინ ბერლინელებს აქციონერთა ყოველწლიური შეკრება ჰქონდათ, რომელზეც ათასობით დამსწრემ შეფებს უსტვინა. სტვენა აუტეხეს ახალ სპორტულ დირექტორ **მიხაელ პრევეტცსაც,** რადგან სწორედ მისი დანიშვნის შემდეგ დაეწყო გუნდს რეგრესი. 1900 წევრიდან საკმაოდ ბევრი პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვდა, მაგრამ **გეგენბაუერი** გადარჩა. თუმცა ფაქტია, რომ თუ ასე გაგრძელდება, თანამდებობაზე ყოფნა დიდხანს არ უწერია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ინტერი

ბალოტელი: მსოფლიოში საუკეთესო თუ ახალი აღრიანო?

უკვე კარგა ხანია დადის ხმები იმის შესახებ, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას **მარიო ბალოტელი** კლუბს გამოიცვლის. იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, დიდია შანსი ფერადკანიანი ფორვარდი „ინტერიდან" ლონდონის „არსენალში" გადაბარგდეს. **არსენ ვენგერი** რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს, კარგად მოგეხსენებათ და როგორც ჩანს, მის სამიზნეში განური წარმოშობის იტალიელიც მოხვდა. ბოლო პერიოდში, ბალოტელის და **ჟოზე მოურინიოს** შორის მეტად გართულდა ურთიერთობა და ამ ფონზე, მარიოს ინგლისში გადაბარგება თითქოს უფრო რეალური გახდა. მოვუსმინოთ ჟოზეს, რომელიც პირველად არ აკეთებს მსგავსი შინაარსის განცხადებას:

„ბალოტელის დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია მსოფლიო მასშტაბის ფეხბურთელი გახდეს. მეტიც, მას შეუძლია საუკეთესო გახდეს და ოქროს ბურთი აიღოს. თუმცა, ეს სულაც არ არის იმის გარანტია, რომ მარიომ მართლაც დაიპყროს საფეხბურთო მსოფლიო. ერთია შესაძლებლობა, პოტენციალი და მეორე, მისი გამოყენების უნარი და ნიჭი. უდიდესი გაქანების ფეხბურთელი გახლავთ ადრიანო, მაგრამ იმის ნახევარიც კი ვერ გამოავლინა, რაც შეეძლო. ჩემი შეგირდი გახლდათ და ვერაფრით გავიგე, როგორ უნდა მომერჯულებინა ეს ადამიანი. გარკვეული პერიოდი დაჭკვიანდებოდა, დაწყნარდებოდა, მაგრამ შემდეგ ისევ აუშვებდა და კვლავ მოსარჯულებელი ხდებოდა. მეამბოხე ხასიათი ნარკოტიკივით არის, ჰგონიათ ანებებენ თავს, მაგრამ ადრე თუ გვიან ისევ იმავე ტალახში ბრუნდებიან. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ მარიომ ჭკუა ისწავლოს. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და შეუძლია ის გზა აირჩიოს, რომელიც წარმატებამდე მიიყვანს. ძალიან ემოციურია და ამასთან ჯიუტი - როდესაც ვესაუბრები, ვერ ვხედავ მიჯერებს თუ არა. იმედია, გაითვალისწინებს ჩემს რჩევებს და იმ შეცდომებს, რომლებსაც ახლა უშვებს, მომავალში აღარ გაიმეორებს".

ამბობენ, რომ მოურინიო-ბალოტელის ურთიერთობა მამა-შვილურს უფრო ჰგავს, ვიდრე მწვრთნელ-ფეხბურთელის. ჟოზე თითოეულ ვარჯიშზე ახალგაზრდა ფორვარდს პერსონალურად უთმობს დროს და თეორიულ მეცადინეობებს უტარებს. ამას უნდა უყუროთ, ამბობს **სამუელ ეტო'ო** და ასე აგრძელებს:

„მოვედი თუ არა „ინტერში", მივხვდი თუ რატომ არის ასეთი გამორჩეული ჟოზე მოურინიო. ის უბრალოდ მწვრთნელი არ გახლავთ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თითოეული ფეხბურთელის მეორე მამაა. შეუძლია ცალცალკე დაელაპარაკოს შეგირდებს და ყველას თავისებურად, ინდივიდუალურად მიუდგეს. განსაკუთრებით დიდ ენერგიას მარიო ბალოტელისთან ურთიერთობისას ხარჯავს, ხანდახან საათობით ელაპარაკება და უხსნის, თუ რა სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს. ხშირად მინახავს გაბრაზებული, ნერვებმოშლილი ამბობს ხოლმე, ვერაფერი გავაგებინეო, მაგრამ ესეც ხომ მამა-შვილის ურთიერთობის ტიპური გამოვლინებაა".

და მაინც, რა ბედი ელის ბალოტელის? - გაყიდიან იანვარში, თუ „ინტერში" გააგრძელებს კარიერას? - მოვუსმინოთ **მასიმო მორატის**, რომელიც ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა:

„მარიოს გასხვისებაზე ნამდვილად არ გვიფიქრია და მით უმეტეს, მსგავსი არაფერი დაგვიგეგმია. ბალოტელი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და არ მესმის, რატომ უნდა გაგვიჩნდეს მისი გაყიდვის სურვილი. დიახ, მარიოთი რამდენიმე ევროპული გრანდია დაინტერესებული, მაგრამ ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. შესანიშნავი თავდამსხმელია და დარწმუნებული ვარ, მასზე არაერთი მწვრთნელი ოცნებობს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბალოტელის მომავალი მხოლოდ „ინტერთან" არის დაკავშირებული. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ასეთ აბსურდულ ინფორმაციებს ნუ გაავრცელებთ".

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც ამ დღეებში ბალოტელის შესახებ ბევრი განცხადება, **ამანტინო მანსინი** გახლავთ. მას თავისი პრობლემები აქვს, ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით მოიკიდა ფეხი და ამბობენ, „რომაში" სურს დაბრუნებაო. ამანტინომ „ჯალოროსიში" დაბრუნების სურვილი უარყო და იქვე, მარიოს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა:

„ჩემმა აგენტმა უკვე განაცხადა და მეც ვიტყვი, რომ „ჯალოროსიში" დაბრუნებას არ ვაპირებ. მილანში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მსურს კარიერა „ინტერში" გავაგრძელო. ის, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვხვდები, არასასიამოვნოა, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ყველაფერი უახლოეს მომავალში შეიცვლება. მთავარია სიმშვიდე შევინარჩუნო, თავდაუზოგავად ვიშრომო და ჩემი დროც დადგება. „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში უდიდესი კონკურენციაა, თუმცა ეს არ მაშინებს - მაქვს იმის რესურსი, რომ სასტარტო თერთმეტეულში დავმკვიდრდე. ასე რომ, მოვრჩეთ ამ საუბრებს, მე „ინტერში" ვრჩები. აქვე, არ შეიძლება არ გამოვეხმაურო იმ აურზაურს, რომელიც ბალოტელის გარშემო შეიქმნა. რატომღაც ყველა იმას ამბობს, რომ მარიო სკანდალური ფეხბურთელია. როდესაც მის ასეთ შეფასებას ვისმენ, ყოველთვის მიკვირს. ვერაფრით ვხდები რაში გამოიხატება მარიოს სკანდალურობა. ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და დისციპლინას გერმანელივით იცავს. ვერ ვიხსენებ, რომ წვრთნაზე თუნდაც ერთი წუთი დაეგვიანებინოს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ამასთან, მუდმივად რასისტული გამოხდომების მსხვერპლია და მიუხედავად ამისა, საკუთარ თავზე კონტროლი არასდროს დაუკარგავს. ასე რომ, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბალოტელი უნდა დადინჯდეს და კალაპოტში ჩადგეს. ჩემი აზრით, ასაკთან შედარებით საკმარისად მშვიდი და რაციონალურია".

აი, ასე გამოექომაგა მანსინი ბალოტელის და ფაქტობრივად, თავისი მწვრთნელის სიტყვებს შეეწინააღმდეგა. მართლაც საინტერესოა, რა ბედი ელის მარიოს - სრულად გამოიყენებს პოტენციალს თუ ადრიანოს კვალს გაჰყვება.

ლაშა წიკლაური

ფეხბურთის მილბა

მოლხენა ბოლო ელ კლასიკოს შემდეგ

„ბარსელონას" პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** მადრიდის „რეალთან" გამარჯვების შემდეგ ღამის კლუბში შეამჩნიეს. „ბარსელონას" ბოსი ვიპლოჟაში მილოცვებს მოკრძალებული სახით იღებდა კოლეგებისგან მათ შორის, **ფლორენტინო პერესისგან**, მაგრამ როგორც კი „კამპ ნოუ" წყვდიადმა მოიცვა, ლაპორტამ ღამის ბარს მიაშურა და დილამდე მოულხინა. არგენტინულმა გამოცემა „ლა გასეტამ" დაბეჭდა ფოტოები, რომლებზეც ლაპორტა „ბლაუგრანას" ერთ-ერთ ხელმძღვანელ **ხავიერ სალა მარტისთან** ერთად, ღამის კლუბ „ლუს დე გასში" ყოფნისასაა გადაღებული. რეპორტიორი წერს, რომ ლაპორტა „ქოლდფლეის" „ვივა ლა ვიდას" ჰანგებზე ცეკვავდა, რომელიც რომის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ „ბარსას" არაოფიციალური ჰიმნი გახდა. არგენტინული გაზეთი წერს, რომ ლაპორტა მთელი ღამე სიგარას ეწეოდა, ხოლო მოლხენა ალკოჰოლით დასველებული კოსტიუმით დაასრულა. ეს ჟოან ლაპორტას ბოლო „ელ კლასიკო" იყო „კამპ ნოუზე" კლუბის თავკაცის რანგში, სეზონის ბოლოს მას მანდატი უსრულდება და უნდა გადადგეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იუვენტუსი

ფერარა მძიმე წნეხის ქვეშ

ჩირო ფერარას მეტად რთული დროება უდგას. „ვეკია სენიორამ" ჯერ „ბორდოსთან" წააგო ჩემპიონთა ლიგაში, შემდეგ კი „კალიარისთან" შერცხვა და საფეხბურთო იტალიაც კრიზისზე ალაპარაკდა. მწვრთნელზე უდიდესი წნეხი ხორციელდება, ბევრი უკვე მის გათავისუფლებას ითხოვს და თანაც, კატეგორიულად. შეგახსენებთ, რომ მომავალ უქმეებზე „იუვენტუსს" „ინტერთან" უნევს დაპირისპირება. დიდი იტალიური დერბი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ასე იქნება ამჯერადაც - ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ტურინელებმა ვერ გაიმარჯვეს, ფერარას მართლაც მოუწევს პოსტის დატოვება. ამ საკითხს გუშინ თვით **ლუჩანო მოჯი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

„დღევანდელი „იუვენტუსი" არავის მოსწონს: არც ჟურნალისტებს, არც გულშემატკივრებს, არც მე და ალბათ არც თავად ფერარას. დიახ, „ბორდოსთან" და „კალიარისთან" მან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯოხი მხოლოდ მასზე არ უნდა გადავტეხოთ. საერთოდ, სეზონის წინ ჯერ სტრატეგია უნდა შეიმუშავო და შესაბამისად განახორციელო ტრანსფერები. „იუვეში" კი ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა - ჯერ ფეხბურთელები იყიდეს და შემდეგ დაიწყეს ფიქრი, თუ რა ფუნქციები უნდა დაეკისრებინათ ამ მოთამაშეებისთვის. ასეთი მიდგომით საქმე არ გამოვა და ის შედეგი, რომელიც სახეზე გვაქვს, სრულიად ლოგიკურად მეჩვენება. რაც შეეხება ფერარას, ის უბრალოდ განტევების ვაცია - უამრავი შეცდომა, რომელმაც ასეთი შედეგის წინაშე დაგვაყენა, შეეცდებიან, რომ ჩიროს არასათანადო კვალიფიკაციას ამოაფარონ. შეიძლება ბევრი მოტყუვდეს, მაგრამ მე რას გამომაპარებენ, სხვა თუ არაფერი, ფეხბურთი მაინც ვიცი".

ტურინული გრანდის გულშემატკივართათვის გაცილებით სასიამოვნო წასაკითხი იქნება **ფაბიო კაპელოს** კომენტარი. ინგლისის ნაკრების თავკაცმა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს შემდეგი განუცხადა:

„განსაკუთრებული არაფერი ხდება და ჩემი თხოვნაა, ბუზს სპილოდ ნუ გადააქცევთ. ასე შეიძლება დიდი ტრავმა მივაყენოთ ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერ სპეციალისტ ჩირო ფერარას. „ინტერი" უკვე წლებია მაღალ დონეზე ასპარეზობს, შეთამაშებული გუნდია და რა გასაკვირია, რომ უფრო მეტი სტაბილურობით გამოირჩევა. რაც შეეხება „იუვენტუსს", ის, რომ გუნდი ლიდერის პოზიციისთვის იბრძვის, უკვე მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. „იუვემ" კატალონზმები გადაიტანა, ქვედა ლიგაში დააქვეითეს და მხოლოდ ახლა იბრუნებს ძველ სტატუსს და სიმაღლეს. დროა საჭირო იმისთვის, რომ „ვეკია სენიორამ" „ინტერს" ღირსეული კონკურენცია გაუწიოს - ამის დროც მოვა და შესაძლოა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ".

ლაშა წიკლაური

ჟიუდო

ევროპული ფედერაციის კონგრესი

წარუმატებელი სეზონის რეკვიემი

წლევანდელი სეზონი ძალზე წარუმატებელია ქართული სპორტისთვის - ბოლო წლებში იშვიათად ასეთი მწირი მონაგარი. წლევანდელი შედეგები იმდენად მცირეა, ჟურნალისტებს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის დასახელებაც კი გაგვიჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად ისეთი მიღწევების გათვალისწინება მოგვიწევს, რასაც ადრე დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით. ეს ყველაფერი საერთაშორისო მასშტაბებსაც შეეხო. მაგალითად, წლეულს ჭიდაობისა თუ ძიუდოს ფედერაციაის რეიტინგებში ჩვენებს ვერ ნახავთ მოწინავეთა პოზიციებზე, ნომინაციებში არსად ჩანან ქართველი მწვრთნელები... ამჯერად ძიუდოზე გესაუბრებით, სადაც ბოლო წლებში ყოველთვის ვიღებდით რაღაც ნომინაციას - ან მწვრთნელს ასახელებდნენ საუკეთესოდ, ან - ფედერაციას, ერთხელ კი ორივე ნომინაციაში გავიმარჯვეთ. წლეულს ყველაფერი საპირისპიროდაა.

ევროპის ფედერაციის კონგრესს ამ დღეებში გერმანულმა დიუსელდორფმა უმასპინძლა და ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოავლინა. სეზონის საუკეთესო ვაჟ ძიუდოისტად რუსი **ივან ნიფონტოვი** (81) დაასახელეს, ქალებში - ფრანგი **მორგან რიბუ** (57). მათ მიღწევებს თუ გავითვალისწინებთ, დაგვეთანხმებით, ორივე სპორტსმენმა დამსახურებულად მოიპოვა ეს წოდება. ალტაის ოლქის დედაქალაქ ბარნაულში დაბადებულმა, მაგრამ მწვრთნელ **დმიტრი სერგეევის** გამო რიაზანში გადასახლებულმა ნიფონტოვმა წლეულს დუბლი შეასრულა - ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც, რასაც რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადის" ტურნირის მოგება, ჰამბურგის „დიდ პრიზისა" და პარიზის „დიდი მუზარადის ბრინჯაოებიც დაუმატა. ვინც მისი ჭიდაობა ნახა თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე ან მოგვიანებით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, დაგვეთანხმება, რომ სადღეისოდ მსოფლიოში მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანია.

არანაკლებ წარმატებული სეზონი ჩაატარა ფრანგმა რიბუმაც - აგვისტოში როტერდამში ისიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ აპრილში თბილისში ევროპაზე ცოტა წაიფორხილა - მესამეზე გავიდა. საერთაშორისო ტურნირებზე ყველაზე კარგად მშობლიურ პარიზში, „დიდ მუზარადზე" გამოვიდა - ვერცხლი ირგუნა.

კონგრესმა საუკეთესოები ახალგაზრდებშიც დაასახელა - ვაჟებში ჩეხი ევროპის ვიცე და მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკაშ კრპალეკი** (100), გოგოებში - უნგრელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ჰედვიგ კარაკასი** (57). ძიუდოს ყველა ქომაგი დაგვეთანხმება, რომ ტიტული ამათზეც ალალია და ყველაზე კირკიტა კრიტიკოსიც ვერ იტყვის საწინააღმდეგოს. მართალია, კრპალეკმა ევროპის ჩემპიონატის ფინალი 21 წამში წააგო აზერბაიჯანელ **ელმარ გასიმოვთან**, მაგრამ ერთ თვეში პარიზში ტრიუმფით მოიგო თანატოლთა მსოფლიოს პირველობა. ეს წარმატება კარიერაში მეორედ და ისიც ზედიზედ მოიპოვა. თანაც შარშანდელ ჩემპიონთაგან მხოლოდ მან შეინარჩუნა ტიტული. კიდევ უფრო შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა კარაკასმაც, რომელმაც წლეულს ახალგაზრდულის გარდა ეროვნულ ნაკრებშიც იჭიდავა და ორივეგან დიდი წარმატებით - უფროსებში ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაოები მოიპოვა, ახალგაზრდებში კი ორივე ტურნირი მოიგო. საყურადღებოა ერთი სტატისტიკაც - წლეულს მან ამ ორ ნაკრებში და 23-წლიანთა გუნდში 16 (!) მედალი მოიპოვა. ამათგან - შვიდი ოქრო. თან, ჩატარებული ტურნირებიდან ყველა უმაღლესი რანგისაა. მოდი, ამის შემდეგ კიდევ თქვი, კარაკასს საუკეთესოს ტიტული არ ეკუთვნოდაო. მისი სახით მსოფლიოს ქალთა ძიუდოს ახალი ვარსკვლავი ეზრდება.

დიუსელდორფში საუკეთესო მწვრთნელებიც დაასახელეს - ვაჟებში რუსთა იტალიელი მოძღვარი **ეძიო გამბა**, ქალებში - სლოვენიელთა დედა-დამრიგებელი **ფაბიან მარიანი**. ვეჭვობთ, სლოვენიელი ქალბატონის დამსახურება ვინმეს გაინტერესებდეთ, გამბას სასწაული კი არაერთხელ არათუ ვიხილეთ, საკუთარ თავზეც ვინვნიეთ, როცა მისმა დამოძღვრილებმა წლეულს ბლომად პირველხარისხოვან ტურნირებში დაგვიმარცხეს ძიუდოისტები. მან პირველ დიდ წარმატებას სწორედ თბილისში, ევროპის პირველობაზე მიაღწია, სადაც 3 ოქრო და 2 ბრინჯაო მოიპოვა. რუსეთის ნაკრებში, რომელიც 2007 წლის მსოფლიოს პირველობაზე უჩემპიონოდ, პეკინის ოლიმპიადაზე კი სულაც უმედლოდ დარჩა, მან მართლაც საოცარ შედეგებს მიაღწია - ევროპული მონაგარი უკვე ჩამოვთვალეთ, მსოფლიოზე კი სამი სინჯის თითო მედალი მოიპოვა.

ევროპულმა ფედერაციამ მასპინძლებს კოჭი გაუგორა თუ რა იყო, გერმანული ფედერაცია საუკეთესო პარტნიორად დაასახელა. აი, სომხეთის ფედერაციას კი ნამდვილად დაუმსახურებელი რევერანსი გაუკეთეს, როცა ევროპის 20-წლამდე ახალგაზრდების პირველობის მასპინძლობისთვის საუკეთესო ორგანიზატორის ტიტული არგუნეს - როგორც ჩვენი დელეგაციის წევრთაგან ვიცი, სომხებმა ეს ჩემპიონატი სერიოზული ხარვეზებით ჩაატარეს. უფროსებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ფონზე ასევე უცნაურია იტალიურ ლინიანოში გამართული ვეტერანთა ევროპის პირველობის ყველაზე პოპულარულ ღონისძიებად დასახელებაც. გასაგებია, რომ ვეტერანთა ტურნირია, სადაც ხალხი უფრო გასართობად, ძველი ამბიციების ნაწილობრივ მაინც დასაკმაყოფილებლად (მათი უმეტესობა არშემდგარი ძიუდოისტია) ან თუნდაც ძველი მეგობრობის მოსაგონებლად ჩავიდა, მაგრამ ზოგან წონებში ორი-სამი კაცი გამოდიოდა და უცნაურია, რა ჰქონდა იმ ტურნირს ყველაზე პოპულარულის!

ძიუდოს ევროპელ მამებზე გავლენა პოლიტიკამაც იქონია და ერთი ნომინაცია ამ დარგშიც დააწესეს, თუმცა ევროპელთა გადაწყვეტილება მათსავე დიპლომატიასავით უგერგილო და უცნაური აღმოჩნდა. ბედის ირონიით, კონგრესმენებმა საქართველო ერთადერთხელ სწორედ ამ უცნაურობაში ახსენეს - სომხეთთან, რუსეთსა და აზერბაიჯანთან ერთად დაგვაჯილდოეს მედლით „ძიუდო მშვიდობისთვის". პატარა ერების პრობლემებით მარად აღშფოთებული ევროპელების გადაწყვეტილება ორმა შეჯიბრებამ - ჩვენთან გამართულმა ევროპის ჩემპიონატმა და ერევანში ჩატარებულმა ახალგაზრდების კონტინენტურმა პირველობამ განაპირობა. ორივე ტურნირს პოლიტიკური დაძაბულობა ახლდა - შარშანდელი აგვისტოს ომის კვალობაზე რუსების აქ სტუმრობა გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა, აზერბაიჯანელები კი ოცწლიანი პაუზის შემდეგ სულაც პირველად ჩადიოდნენ სომხეთში, მაგრამ ორივე შეჯიბრებამ პოლიტიკურად მშვიდ ატმოსფეროში, ექსცესების გარეშე ჩაიარა. ამ მედლით კავკასიური სახელმწიფოების დაჯილდოება გასაგებია, მაგრამ მათი წყლის უმთავრეს ამმღვრევ რუსეთს მშვიდობის დაცვასთან რა ესაქმება, ცოტა გასაკვირია.

როგორც ვხედავთ, რუსებმა დიუსელდორფში გვარიანად იხეირეს, თუმცა მათი კონგრესული მიღწევები მხოლოდ ამით არ ამოწურება - იქვე გადაწყდა, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატს ჩელიაბინსკი უმასპინძლებს. მათ კონკურენციას ბუდაპეშტი და სტამბოლი უწევდნენ. ჩელიაბინსკელები დიუსელდორფში ფრიად მობილიზებულნი ჩავიდნენ - დელეგაციაში ქალაქისა და მხარის მაღალჩინოსნები შედიოდნენ, თუმცა გამსვლელი პაიკის როლი მაინც სადემონსტრაციო ფილმმა შეასრულა. ძიუდოს რუსეთის ფედერაციის საიტს თუ დავუჯერებთ, თურმე ამ ფილმის გავლენით კონკურენტებმაც მათ დაუჭირეს მხარი (?). შეგახსენებთ, რომ ეს სალიცენზიო პირველობაა:

ბოლოს ორიოდ სიტყვით ცალკეული წონების რეიტინგებზეც ვთქვათ, სადაც თავმოსაწონებელი არაფერი გვაქვს. თუმცა ჩვენებს წლეულს საერთაშორისო ტურნირებში არც უჭიდავიათ და მათი ჩავარდნა ლოგიკურია. წლევანდელი სეზონი ჯერ არ დამთავრებულა - დიდი ტურნირებიდან, რომელთა შედეგებიც რეიტინგში შედის, ტოკიოში გასამართი ძიგორო კანოს მემორიალია, მაგრამ იქ ჩვენები არ გამოდიან. რეიტინგებში ქართველთაგან საუკეთესო **ამირან პაპინაშვილია** - მეთერთმეტე ადგილი. ოცეულში შედიან **ნესტორ ხერგიანი** (60 კგ, 16-ე ადგილი), **ლევან წიკლაური** (81 კგ, 17), **ვალერი ლიპარტელიანი** (90 კგ, 13) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100, 16). 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენგან საუკეთესო **შალვა ქარდავაა** - 41-ე ადგილი, 73-ში - 43-ზე მყოფი **თენგიზ პაპოშვილი**, 100-ში კი თანაგუნდელებს ისევ 31-ადგილოსანი **ლომერ ყორჟოლიანი** უსწრებს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

ლელა ჯავახიშვილი (მარჯვნივ)

არმაგედონი თუ არ დასჭირდებათ

პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ინიციატივით, გუშინ თურქეთის ქალაქ კონიაში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს თასის პირველი გათამაშება, რომელშიც 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. როგორც გაუწყეთ, ესენი არიან: **ალექსანდრა კოსტენიუკი, ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები** (სამივე — რუსეთი), **პია კრამლინგი** (შვედეთი), **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა), **ლელა ჯავახიშვილი** (საქართველო), **მონიკა სოჩკო** (პოლონეთი), **მარია კლინოვა** (ისრაელი), **ბეთულ ილდიზი, კუბრა ოზთურქი, ნეზიჰ მენზი** (სამივე — თურქეთი).

თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის ეძლევა 20 წუთი ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით. საპრიზო ფონდია 20 ათასი ამერიკული დოლარი. ტურნირის გამარჯვებული 5 000 დოლარს მიიღებს. დანარჩენ ადგილებზე ფულადი ჯილდოები ასე განაწილდება: მეორე ადგილი — 4 000 დოლარი, მესამე — 3 000, მეოთხე — 2 000, მეხუთე — 1 500, მეექვსე — 1 000, მეშვიდე — 800, მერვე — 700, მეცხრე-მეთორმეტე — 500-500 დოლარი.

პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები თუ ერთნაირ ქულებს დააგროვებენ, მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნება 4 ბლიც-პარტია, სადაც თითოეულ მოჭადრაკეს მიეცემა 3 წუთი ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით. შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ მეტოქეები კიდევ ორ პარტიას ითამაშებენ დროის იმავე კონტროლით. თუ ესეც ვერ გამოავლენს უძლიერესს, მაშინ ყველაფერს „არმაგედონი" გადაწყვეტს: თეთრებს მოგებისთვის 5, შავებს კი 4 წუთს გამოუყოფენ. ყაიმის შემთხვევაში თეთრებს ნაგება ჩაეთვლებათ.

ახლა კი გუშინდელი ორთაბრძოლების შედეგებს გაგაცნობთ.

I ტური.

ალექსანდრა კოსტენიუკი (2517)- მონიკა სოჩკო (2457) 1:0

ნატალია ჟუკოვა (2465)- ვიქტორია ჩმილიტე (2480) 0:1

ნეზიჰ მენზი (1847)- ლელა ჯავახიშვილი (2482) 0:1

ნადეჟდა კოსინცევა (2518)- კუბრა ოზთურქი (2177) 1:0

ტატიანა კოსინცევა (2522)– ბეთულ ილდიზი (2213) 1:0

პია კრამლინგი (2525)– მარია კლინოვა (2305) 1:0

II ტური

სოჩკო-კლინოვა 1:0, ილდიზი-კრამლინგი 0,5:0,5, კუბრა-ტ. კოსინცევა 0:1, ჯავახიშვილი-ნ. კოსინცევა 0,5:0,5, ჩმილიტე-მენზი 1:0, კოსტენიუკი-ჟუკოვა 1:0,

III ტური

ჟუკოვა-სოჩკო 0:1, მენზი-კოსტენიუკი 0:1, ნ. კოსინცევა-ჩმილიტე 0:1, ტ. კოსინცევა-ჯავახიშვილი 1:0, კრამლინგი-ოზთურქი 0,5:0,5, კლინოვა-ილდიზი 1:0.

IV ტური

სოჩკო-ილდიზი 1:0, ოზთურქი-კლინოვა 0,5:0,5, ჯავახიშვილი-კრამლინგი 0,5:0,5, ჩმილიტე-ტ. კოსინცევა 1:0, კოსტენიუკი-ნ. კოსინცევა 1:0, ჟუკოვა-მენზი 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ კოსტენიუკი და ჩმილიტე ლიდერობენ. შემდეგ მოდიან: ტ.კოსინცევა და სოჩკო — 3-3, კრამლინგი — 2,5, ჯავახიშვილი — 2, ნ. კოსინცევა და კლინოვა 1,5-1,5, ჟუკოვა და ოზთურქი — 1-1, ილდიზი — 0,5, მენზი — 0 ქულა.

დღეს ოთხი პარტია გაიმართება, ხვალ კი — სამი და ტურნირიც დამთავრდება.

ვაჟა დანელია

ჯილდოები რვაწლიანებმაც გაინაწილეს

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საჭადრაკო კლუბ **ნტნ**-ში (პრეზიდენტი **ნანა ალექსანდრია**) გრძელდება „ნონას თასის" გათამაშება. ფესტივალის პროგრამით, ამჯერად შეჯიბრებაში 8-წლიანი მოჭადრაკეები ჩაებნენ. დასკვნით ეტაპზე 10 გოგონა წრიული სისტემით ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. **სალომე სანიკიძემ** (მწვრთნელი **დავით გურგენიძე**) 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ მან ერთადერთი პარტია სეხნია **სალომე ხუცურაულთან** წააგო. ამ უკანასკნელს კი, 7,5 ქულით მეორე ადგილი ხვდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მესამე ადგილით **ანასტასია სიდამონიძე** დაკმაყოფილდა.

ვაჟებში 36 მონაწილე ცდიდა ძალებს შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. 6-6 ქულით პირველი-მეორე ადგილი, შესაბამისად **ლუკა ობოლაძემ** (მწვრთნელი **მზია წერეთელი**) და **კოკა ბუკიამ** გაინაწილეს. კოეფიციენტმა გადაწყვიტა მესამე-მეოთხე ადგილების ბედიც: 5,5 ქულით მესამე იყო **ანტონ ნადირაძე**, მეოთხე ადგილი **ნიკა პეტრიაშვილს** ერგო.

მოსწავლეთა შედეგების მიხედვით, მწვრთნელებშიც გამოვლინდნენ საუკეთესოები. საპრიზო ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. დავით გურგენიძე, 2. მზია წერეთელი, 3. გიორგი მაჭარაშვილი. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვნენ.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

სუპერლიგა: სტატისტიკა

რეკორდები

ქულა
ბესიკ ლეჟავა (ბათუმი) – 36
07.11.09 დინამო-ბათუმი

მოხსნა
ჟულივეტ ტუჯანი (ენერჯი) – 17
13.11.09 ენერჯი-ბათუმი

პასი
ბექა წივწივაძე (აგრარ.) – 10
21.11.09 შსს-სსაუ

ჩაჭრა
მიხეილ ჩიტაშვილი (ენერჯი) – 6
28.11.09 თსუ-ენერჯი

დაფარება
შიო ხეცურიანი (თსუ) – 5
28.11.09 თსუ-ენერჯი

შეცდომა
ლაშა ეძგვერაძე (დინამო) – 9
28.11.09 სსაუ-დინამო

სტატისტიკური ლიდერები

ქულა

მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	საშ.
1. ბესიკ ლეჟავა	ბათუმი	3	81	27
2. სერგო ათუაშვილი	ავიამშენი	3	81	27
3. გიორგი ნიკოლაძე	შსს	4	94	23,5
4. დავით ბერიშვილი	შსს	3	68	22,67
5. ბექა ჩიკვილაძე	სოხუმი	4	77	19,25
6. მერაბ ბოჭოლიშვილი	სამედ/აკად.	4	76	19
7. ზვიად ბაბიაშვილი	ენერჯი	4	70	17,5
8. გიორგი გაფრინდაშვილი	თსუ	3	50	16,67
9. დავით იმნაძე	ბათუმი	3	50	16,67
10. მიხეილ ფანჩულიძე	თსუ	4	66	16,5

მოხსნა

მოთამაშე	გუნდი	თ	მტ.	სქ.	ჯ	საშ.
1. სერგო ათუაშვილი	ავიამშენი	3	13	25	38	12.67
2. ჟულივეტ ტუჯანი	ენერჯი	4	21	29	50	12.5
3. დავით იმნაძე	ბათუმი	3	13	23	36	12
4. ზვიად ბაბიაშვილი	ენერჯი	4	19	22	41	10.25
5. რევაზ ათანელიშვილი	სსაუ	4	12	24	36 9	
6. კოტე ტულუში	ენერჯი	3	7	19	26	8.67
7. ვახტანგ მინაშვილი	ავიამშენი	3	5	20	25	8.33

პასი

მოთამაშე	გუნდი	თ	პას.	საშ.
1. ბექა წივწივაძე	სსაუ	4	32	8
2. შიო ხეცურიანი	თსუ	4	21	5.25
3. კოტე ტულუში	ენერჯი	3	15	5
4. ანატოლი ბოისა	ავიამშენი	3	15	5
5. ზურა ბადრიძე	ავიამშენი	3	12	4
6. ტარიელ თავართქილაძე	ბათუმი	3	12	4

ჩაჭრა

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	საშ.
1. მიხეილ ჩიტაშვილი	ენერჯი	4	14	3.5
2. მიხეილ ფანჩულიძე	თსუ	4	12	3
3. ბუბა ბერიშვილი	სოხუმი	3	8	2.67
4. კოტე ტულუში	ენერჯი	3	7	2.33
5. გიორგი გაფრინდაშვილი	თსუ	3	7	2.33
6. ფარნაოზ გურული	მერანი	3	7	2.33

დაფარება

მოთამაშე	გუნდი	თ	დ	საშ.
1. ჟულივეტ ტუჯანი	ენერჯი	4	7	1.75
2. გიორგი კვეტენაძე	სოხუმი	3	5	1.67
3. ნოდარ მეზვრიშვილი	მერანი	3	5	1.67
4. შიო ხეცურიანი	თსუ	4	6	1.5
5. ბექა ბექაური	სამედ/აკად.	4	6	1.5
6. ირაკლი კობიძე	სოხუმი	4	6	1.5

შეცდომა

მოთამაშე	გუნდი	თ	შ	საშ.
1. ფარნაოზ გურული	მერანი	3	16	5.33
2. ლაშა ეძგვერაძე	დინამო	4	21	5.25
3. ტარიელ თავართქილაძე	ბათუმი	3	15	5
4. კოტე ტულუში	ენერჯი	3	13	4.33
5. დავით იმნაძე	ბათუმი	3	13	4.33

სიმბოლური ნაკრები

გიორგი ნიკოლაძე (შსს): 28 წთ, 32 ქ, 5 მ, 5 პ, 5 ჩ
კოტე ტულუში (ენერჯი): 31 წთ, 15 ქ, 10 მ, 3 პ, 3 ჩ
ლაშა ლოსაბერიძე (თსუ): 36 წთ, 21 ქ, 6 მ, 3 პ, 1 ჩ, 1 დ
ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი): 30 წთ, 19 ქ, 12 მ, 2 პ
ჟულივეტ ტუჯანი (ენერჯი): 35 წთ, 24 ქ, 13 მ, 4 პ, 2 ჩ, 4 დ

სარკეში

ჟულივეტ ტუჯანი

სუპერლიგის მესამე ტურში თსუ-მ „ბათუმი" დაამარცხა და ზღვისპირელებს დაანახვა, რომ ნომინალური ცენტრის გარეშეც შეიძლება გამარჯვება, უჩვენა ისიც, რომ „ბათუმს" ერთი-ორი კვალიფიციური უკანახაზელი სჭირდება. მომდევნო ტურში თსუ-ელები „ენერჯის" გადაეყარნენ და ამჯერად თავად ჩაიხედეს სარკეში: კარგი ტანდაბლებით, ოღონდ მეფარეების გარეშე გამარჯვება მხოლოდ ზოგჯერ თუა შესაძლებელი - „ენერჯისთან" კი, წარმატებაზე თუ ფიქრობ, წინა ხაზიც ისეთივე ძლიერი უნდა გყავდეს, როგორიც უკანა ხაზი. იანვარში, სატრანსფერო ფანჯრის გაღებისთანავე თსუ მეფარეების ძიებას შეუდგება, ბათუმი უკანახაზელების...

..."ენერჯი" კი თანაბრად დაბალანსებული გუნდია. მასში სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, რადგან უფროსობამ შარშანდელი სეზონის შემდეგ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეამცირა და ნაკლები შანსია, „ენერჯი" ახალი კალათბურთელებით გაძლიერდეს. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ სადღეისოდ „ენერჯი" ყველაზე კარგად დაკომპლექტებული გუნდი კია, მაგრამ იანვარში შეიძლება სხვები უკეთ დაკომპლექტდნენ, რაც ჩემპიონატს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

ეს ყველაფერი ბოლო ორი ტურის ცენტრალურმა მატჩებმა დაგვანახვა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას გაისად შევიტყობ, ახლა კი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესოს, „ენერჯის" დავუბრუნდეთ. ამ გუნდმა ძლიერ თსუ-სთან შეხვედრაში საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოამჟღავნა - სამმა გამოცდილმა ორმაგი დუბლი გაიფორმა: **ზვიად ბაბიაშვილმა** 19 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, **კოტე ტულუშმა** — 15 ქულა და 10 მოხსნა, ხოლო **ჟულივეტ ტუჯანმა** — 24 ქულა და 13 მოხსნა. მეოთხე გამოცდილმა, **მიხეილ ჩიტაშვილმა** სეზონის რეკორდი დაამყარა - 6 ჩაჭრა. ამ ოთხეულთან კარგად არიან შეწყობილნი რუსთაველი ახალგაზრდები, რომლებმაც გამარჯვებაში არანაკლები წვლილი შეიტანეს.

ტულუში, ბაბიაშვილი და ტუჯანი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შევიყვანეთ, ხოლო საუკეთესო მოთამაშედ „ენერჯის" სნაიპერი ჟულივეტი დავასახელეთ. შეგახსენებთ, რომ კამერუნელი მეფარე მეორე ტურშიც MVP გახდა და მაშინ მისი ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ახლა, ცხადია, ამას არ გავაკეთებთ.

სიმბოლურ ნაკრებში გამთამაშებლის ადგილი შსს-სა და მეოთხე ტურის ბომბარდირ **გიორგი ნიკოლაძეს** ვანდეთ, რომელმაც 32 ქულა ჩააგდო. ძალიან გაგვიჭირდა სიმბოლური ნაკრების ბოლო კანდიდატის ამორჩევა: „სოხუმის" უკანახაზელმა **ბექა ჩიკვილაძემ** 22 ქულა ჩააგდო და 8 მოხსნა მიითვალა; თსუ-ს კაპიტანმა **შიო ხეცურიანმა** 17 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი და 5 დაფარება მოაგროვა, ხოლო **ლაშა ლოსაბერიძე** პირველ ტაიმში ერთადერთი იყო, რომლის ზუსტი ტყორცნები „ენერჯის" დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა. ჰოდა, სიმბოლურ ხუთეულშიც ლაშა შევიყვანეთ.

ვაჟა სიმონიშვილი

სად ვითამაშებთ?

ავსტრია, ისრაელი, ესტონეთი...

ფიბა-ევროპას გენერალური მდივნის **ნარ ძანოლინის** თბილისში ვიზიტისას შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების ვინაობა 16 იანვარს მიუნხენში გაირკვევა. ამ დღეს გაიმართება როგორც ეროვნული ნაკრებების, ასევე 20-წლამდელთა, 18-წლამდელთა და 16-წლამდელთა წილისყრა.

იგორ კოკოშკოვის გუნდს 8 ან 10 მატჩის შინ და გარეთ ჩატარება მოუწევს, ხოლო უმცროსი ასაკის ნაკრებები B დივიზიონში იასპარეზებენ...

■ ■ ■

ფიბა-ევროპამ დაასახელა ექვსი ქვეყანა, რომლებიც ახალგაზრდულ ტურნირებს უმასპინძლებენ. ჩვენი გუნდები ქვედა დივიზიონში არიან, ამიტომ მხოლოდ B ლიგის მასპინძლებს ჩამოგითვლით. 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცად ფედერაციამ **დავით უსტიაშვილი** დატოვა, რომელიც ამავე დროს ეროვნულში იგორ კოკოშკოვის თანაშემწეა. მისი ახალგაზრდული გუნდი B დივიზიონის მატჩებს ავსტრიის ორ ქალაქში, გესინგსა და ობერვარტში გამართავს. შეჯიბრება 14 ივლისს დაიწყება და 24-ში დასრულდება. შეგახსენებთ, რომ გაისად ახალგაზრდულ ნაკრებში 1990 წელს დაბადებულები (და უმცროსები) ითამაშებენ.

■ ■ ■

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებსაც არ შესცვლია მწვრთნელი. ჭაბუკებს ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში „აგრარულის" თავკაცი **მიხეილ კობეშავიძე** გაუძღვება.

B დივიზიონის 18-წლამდელთა ტურნირი 22 ივლისს დაიწყება და 1 აგვისტოს დასრულდება. გაისად ჭაბუკთა ნაკრებს 92-იანები შეავსებენ.

■ ■ ■

ახალგაზრდული ნაკრები დასავლეთით წავა (ავსტრიაში), ჭაბუკებისა - სამხრეთით (ისრაელში), ხოლო კადეტთა ნაკრებს ჩრდილოეთში მოუწევს თამაში, 16-წლამდელთა B ლიგის შეხვედრებს ესტონური ტალინი უმასპინძლებს.

ტურნირი 5-დან 15 აგვისტომდე გასტანს. ქართველ კადეტებს **გია კაზანჯიანი** უხელმძღვანელებს.

■ ■ ■

ფიბა-ევროპას გენმდივნის, ნარ ძანოლინის დაპირებას შეგახსენებთ: 2011 წელს ახალგაზრდულ ასაკში რომელიმე ტურნირს აუცილებლად თბილისი უმასპინძლებსო. ჰოდა, თუ სამივე ახალგაზრდული ასაკის ნაკრები 2010 წელს ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, მომდევნო წელს საქართველოში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი და არა B დივიზიონის მატჩები. თუმცა, სამს ვინ ჩივის, კარგი იქნება, ერთი მაინც თუ გადავა ზედა ლიგაში.

ვაჟა სიმონიშვილი

ავტოსპორტი

დასკვნითი რბოლები

ნოემბრის ბოლო დეკადაში რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე გამართული წრიული რბოლის დასკვნითი ეტაპით დასრულდა მიმდინარე წლის სეზონი პროფესიონალთა შორის. რბოლაში აგრეთვე მონაწილეობდნენ „ლეგენდქარის" და ფორმულა 3-ის ტიპის ავტომობილები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

აბსოლუტური ჩათვლა: 1. **არჩილ ბიძინაშვილი**, 2. **მევლუდ მელაძე**, 3. **შოთა აფხაზავა.**

მონოკლასი: 1. **ირაკლი ვადაჭარია**, 2. **დავით ჩხიკვიშვილი**, 3. **ლაშა ნადირაშვილი.**

„ლელოს" კორ.

www.sport.gov.ge

ქართული სპორტი

რაგბი

მსოფლიო თასი

ოციდან თექვსმეტი ცნობილია

2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშება ახალ ზელანდიაში 9 სექტემბერს დაიწყება და 23 ოქტომბერს დასრულდება ფინალური შეხვედრით. უკვე ცნობილია გახსნის მატჩის მონაწილეებიც: მასპინძელთა გუნდს ტონგას ეროვნული ნაკრები დაუპირისპირდება.

ცნობილია მსოფლიო თასის მონაწილე ოცი გუნდიდან თქვსმეტის ვინაობაც. დარჩენილი ოთხი ადგილიდან ერთ-ერთისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იბრძვის და ზელანდიაში გამგზავრების საკმაოდ რეალური შანსიც აქვს.

შესარჩევი ტურნირის პირველი წრის შემდეგ საქართველოს ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზეა. ჩვენმა მორაგბეებმა ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს და ერთიც ფრედ დაასრულეს. მეორე წრე თებერვალში დაიწყება. თუ ბორჯღალოსნები საწყის სამ შეხვედრას მოიგებენ, ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მსოფლიო თასის საგზურს დაიბევებენ.

პირველ მატჩს ჩვენი ნაკრები 6 თებერვალს შინ გამართავს ერთა თასის დებიუტანტ და აუტსაიდერ გერმანიასთან. ერთი კვირის თავზე კი პორტუგალიას ესტუმრება ლისაბონში. 27 თებერვალს ესპანეთის ნაკრები გვეწვევა. ამ სამი შეხვედრის მოგება სულაც არ არის მიუწვდომელი ოცნება.

ამის შემდეგ, 13 მარტს ბუქარესტში რუმინელებს დავუპირისპირდებით. ერთი კვირის მერე კი ტრაბზონში ნომინალური მასპინძლები ვიქნებით რუსეთის ნაკრებთან. ამ შეხვედრაში, სავარაუდოდ, პირველი ადგილის მფლობელის ვინაობა უნდა გაირკვეს, თუმცა მსოფლიო თასის საგზურს მეორეადგილოსანიც მიიღებს.

გასარკვევი კი ის იქნება, ვინ რომელ ჯგუფში მოხვდება. თუ ბორჯღალოსნები პირველ ადგილს დაიკავებენ, B ჯგუფში მოხვდებიან, სადაც მეტოქეები არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია და რეპეშაჟში გამარჯვებული იქნებიან.

მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში ჩვენი ნაკრები C ჯგუფში იასპარეზებს ავსტრალიის, ირლანდიის, იტალიისა და აშშ-ის ნაკრებებთან ერთად.

მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსი აქვს მესამე ადგილზე გასულ გუნდსაც, თუმცა ამ შემთხვევაში ახალ ზელანდიამდე სავალი გზა მნიშვნელოვნად დაგრძელდება. მესამეადგილოსანს ჯერ ერთა თასის B ჯგუფის გამარჯვებულთან, სავარაუდოდ, უკრაინასთან მოუწევს ასპარეზობა. მერე აფრიკის კონტინენტზე ხელმოცარული ტუნისის ნაკრები უნდა დაამარცხოს ორი მატჩის ჯამში, თუმცა ყოველივე ამით არ მთავრდება. ზელანდიის საგზურს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ შემდეგ აზიის მეორე გუნდის, ყაზახეთისა და ამერიკის კონტინენტის მესამე გუნდის, ურუგვაის შორის გამარჯვებულს დაამარცხებს ასევე ორი მატჩის ჯამში.

ერთა თასი.

სატურნირო მდგომარეობა

1. საქართველო - 9 ქულა, 2. რუსეთი - 8, 3. პორტუგალია - 7, 4. რუმინეთი - 4, 5.ესპანეთი - 2.6. გერმანია - 0

A ჯგუფი: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კანადა, აზია1

B ჯგუფი: არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, ევროპა1, რეპეშაჟი.

C ჯგუფი: ავსტრალია, ირლანდია, იტალია, ევროპა2, აშშ

D ჯგუფი: ს.აფრიკა, უელსი, ფიჯი, სამოა, ნამიბია.

ბესიკ ჯანგავაძე

პლაჟის ფრენბურთი

საქა-რთველო

მეორე ადგილი ბანკო დი ბრაზილზე

წლევანდელი მსოფლიო ტურის დასრულების შემდეგ ჩვენი პლაჟბურთელები ბანკო დი ბრაზილის თასის გათამაშებაში ჩაებნენ, რომელიც მსოფლიო ტურის მსგავსად, რამდენიმე ეტაპად ტარდება.

ქალთა წყვილმა **საქა-რთველომ** (კრისტინა სანტანა და ანდრეზა ჩაგასი) ბრაზილიის ქალაქ სალვადორში გამართულ შეჯიბრებაში ფინალამდე გააღწია და იქ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო წყვილ **ტალიტა-მარია ელიზას**თან დამარცხდა - 12:18, 17:19.

მანამდე კი საქა-რთველომ ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და უკან მოიტოვა რამდენიმე უძლიერესი დუეტი, მათ შორის დები **კაროლინა** და **მარია კლარა სალგადოები**.

პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა **შაილინ-მაია ელიზას** წყვილს სძლიეს 2:1 (22:24, 18:16, 15:8). მერე ზედიზედ ოთხი მატჩი ისე მოიგეს, ერთი სეტიც არავის დაუთმეს. ჯერ **ჟოსი-ლელიზეს** დუეტს მოუგეს 18:12, 18:14. ამათ ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო წყვილი **ბარბარა სიხასი - ნეიდე** მიაყოლეს - 18:16, 27:25. ნახევარფინალში გამსვლელ შეხვედრაში კი **ტაიანა-ვირნას** სძლიეს -22:20, 18:15.

ნახევარფინალში საქა-რთველოს **ლილი-ლუანა** დაუპირისპირდა. ჩვენმა ფრენბურთელებმა ტურნირზე საუკეთესო თამაში აჩვენეს და მეტოქე ორ სეტში დაამარცხეს - 18:16, 18:14.

ალსანიშნავია, რომ ბანკო დი ბრაზილის გათამაშებაში ჩვენმა დუეტმა ფინალში პირველად გააღწია.

ბესიკ ჯანგავაძე

კრივი

კრივი ჩემთვის ცხოვრების აზრია და არა გასართობი

თქვენ წინაშე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მოკრივე გოგონაა. თამუნა ჩხუბიანიშვილი 22 წლისაა და უკვე არაერთი ტიტულის მფლობელია. დანარჩენს მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

- კრივის გარდა, ადრე სხვა სახეობით თუ იყავი გატაცებული?

- ათი წელიწადია, რაც აქტიურად ვვარჯიშობ. თავიდან მძლეოსანი ვიყავი, საკმაო წარმატებები მქონდა შუბის ტყორცნაში. შემდეგ რაგბიზე გადავერთე და საქართველოს ქალთა ნაკრებშიც მოვხვდი. ბოლოს მაინც კრივმა გადასძალა, ალბათ, ამაში ჩემმა გვარმაც ითამაშა როლი (იცინის).

- რამდენი წელია, რაც მოკრივე ხარ?

- უკვე ხუთი წელიწადია, აქტიურად ვვარჯიშობ და ყველანაირად ვცდილობ, რომ სრულყოფილ მოკრივედ ჩამოვყალიბდე.

- რომელ წონით კატეგორიაში ასპარეზობ?

- ამჟამად 54-ში, ადრე კი 48 და 54 კილოგრამშიც გამოვსულვარ. ჩემს ასაკში ყოველთვის ვხდები საქართველოს ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირებზეც გამიმარჯვია.

- პირადი მწვრთნელი ვინაა?

- ბატონ როლანდ კვაჭაძესთან ვვარჯიშობ ორთაჭალაში. ჩემს დაოსტატებაში უდიდესი წვლილი სწორედ ამ ადამიანს მიუძღვის.

- როგორ ფიქრობ, საქართველოში ქალთა კრივს აქვს პერსპექტივა?

- ქართველი ქალი ყველა საქმეში ნიჭიერია და ეს სპორტში განსაკუთრებით იგრძნობა. მერე რა, რომ კრივი ძალისმიერი სახეობაა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მე და სხვა მოკრივე გოგონები ვამტკიცებთ, რომ ქართველი ქალი ყველა სფეროში შეიძლება გახდეს საუკეთესო, მათ შორის კრივშიც.

- საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვი?

- იმის მიუხედავად, რომ კრივში ახალბედა აღარ ვარ, მთავარი შრომა წინ მაქვს. ამ საქმეს სრული პასუხისმგებლობით ვუდგები, კრივი ჩემთვის ცხოვრების აზრია და არა გასართობი. რა თქმა უნდა, ბევრი ხარვეზი მაქვს გამოსასწორებელი, მაგრამ ამის დაძლევა მონდომების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია.

- პროფესიონალებში გადასვლაზე ხომ არ გიფიქრია?

- მიფიქრია და შესაძლოა, მომავალში ასეც მოვიქცე, მაგრამ უახლოეს პერიოდში სხვა გეგმები მაქვს.

- საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რამაზ ფალიანი თუ გაკვირდება?

- მაკვირდება და უნდა, რომ ნაკრების ბიჭებთან ერთად ვივარჯიშო. ამის დიდი სურვილი მეც მაქვს და ალბათ, ასეც იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო



თამუნა ჩხუბიანიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

ბავშვთა სპორტის იავნანა

ამ დღეებში პარლამენტის სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე გიორგი ნიჟარაძემ — საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ისეთი ფაქტი მოიტანა, ყველა სახტად დავრჩით. თბილისში თურმე ახლომდებარე სოფლიდან რაგბის სექციაში ორი ძმა დადის და ისინი დღეგამოშვებით სათითაოდ მეცადინეობენ, რადგან ოჯახს ყოველდღიურად ორივეს მგზავრობისთვის ტრანსპორტის ფულის გაღება უჭირს.

ეს სამწუხარო რეალობაა, ამდენად გამონაკლისი არც რაგბია და არც თვით ფაქტი. წარმოიდგინეთ, რაგბის სექციაში მეცადინეობაც რომ ფული ღირდეს, ის ძმები, ცხადია, ოჯახის ბიუჯეტს ვერც დღეგამოშვებით შეენაცვლებოდნენ. ეს რაგბიშია მეცადინეობა უფასო, თორემ სპორტული ბაზების გამოყენებისა და მწვრთნელის ფულსაც სპორტის უმეტეს სახეობებში მომეცადინეებს ახდევინებენ. ვისაც არ შეუძლია, ქუჩაში ატარებს თავისუფალ დროს, ისევ და ისევ ოჯახის ხელმოკლეობის გამო. სულაც არ არის ძნელი მისახვედრი, მოზარდებისთვის სპორტი განზე რჩება, ქვეყანა ჯანსაღ მომავალს, სპორტი კი ტალანტებს კარგავს.

კითხვა, თუ სად არის გამოსავალი, ადვილი დასასმელია, პასუხია მთავარი, საქმიანი, შედეგზე გათვლილი. სასიკეთო პირი ამ პრობლემის მოგვარების პერსპექტივას ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ საერთოდ არ უჩანდა, ახლა კი იმედის სხივი უკვე გამოკრთა და ეს სხივი წამოვიდა თბილისის მერიიდან. 500-500 ლარი უკვე დაენიშნა 160 მწვრთნელს... დაუქვითავად. ვიცით, ეს რას ნიშნავს და დედაქალაქის ხელმძღვანელობას მადლობის მეტი რა ეთქმის. პროცესი კი, რაც მთავარია, გაგრძელდება. ამას გარდა, ვაუჩერებით დააფინანსებს მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების სპორტში მეცადინეობას. მიბაძონ ქვეყნის სხვა ქალაქებმა თბილისს, ეს ნაბიჯი თუ რა სიკეთეს მოიტანს, ზემოთ უკვე ითქვა. ხოლო, პაატა ბურჭულაძის ფონდ "იავნანას" მსგავსად „ბავშვთა სპორტის განვითარების" ფონდის შექმნაზეც თუ ვიზრუნებთ, ჩავთვალოთ, რომ გარანტირებული იქნება ქართული სპორტის მუდმივად განახლების პროცესი...

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მილუოკი-ჩიკაგო 99:97

22:17, 26:27, 29:28, 22:25

მ: ბოგუტი (22+15 მოხსნა), ბელი (16), ჯენინგსი (15+8 პასი), დელფინო (15), ილიასოვა (13+8 მოხსნა).

ჩ: სალმონსი (23), დენგი (2 2+14 მოხსნა), როუზი (19+7 პასი), ნოა (16+17 მოხსნა).

დალასი-ფილადელფია 104:102

28:23, 29:20, 21:29, 26:30

დ: ნოვიცკი (28), კიდი (22+11 პასი), გუდენი (15+10 მოხსნა), მერიონი (14), ბარეა (11+6 პასი).

ფ: გრინი (23+8 მოხსნა), იანგი (21+7 მოხსნა), ბრენდი (21+10 მოხსნა), იგუოდალა (19).

იუტა-მემფისი 120:93

31:22, 30:26, 34:22, 25:23

ი: ბრიუერი (25), ბუზერი (24+15 მოხსნა+7 პასი), უილიამსი (22+6 პასი), მეტიუზი (17), ფესენკო (11), მერონრი (10).

მ: მაიო (20), იანგი (17), უილიამსი (17), რენდოლფი (15+9 მოხსნა).

გ. სტეიტი-ინდიანა 126:107

25:33, 26:24, 34:26, 41:24

გ-ს: ელისი (45+5 ჩაჭრა), მოროუ (18), უოტსონი (18+6 პასი), მაგეტი (14+6 პასი), რენდოლფი (12)

ი: გრეინჯერი (22), დანლიეი (22), ჯონსი (21), ფორდი (17), ფოსტერი (9+9 მოხსნა).

ალმოსავლეთი

	თ	მ	ნ	%
1. ორლანდო*	18	14	4	77.8
2. ბოსტონი*	17	13	4	76.5
3. კლივლენდი*	17	12	5	70.6
4. ატლანტა	17	12	5	70.6
5. მილუოკი	16	9	7	56.2
6. მაიამი	16	9	7	56.2
7. შარლოტი	16	7	9	43.8
8. ჩიკაგო	15	6	9	40.0
9. ინდიანა	15	6	9	40.0
10. ტორონტო	18	7	11	38.9
11. დეტროიტი	17	6	11	35.3
12. ვაშინგტონი	15	5	10	33.3
13. ფილადელფია	18	5	13	27.8
14. ნიუ იორკი	17	3	14	17.6
15. ნიუ ჯერსი	17	0	17	00.0

დასავლეთი

	თ	მ	ნ	%
1. ფინიქსი*	17	14	3	82.4
2. ლეიკერსი	16	13	3	81.2
3. დალასი*	18	13	5	72.2
4. დენვერი*	17	12	5	70.6
5. პორტლენდი	19	12	7	63.2
6. სან ანტონიო	15	9	6	60.0
7. იუტა	17	10	7	58.8
8. ჰიუსტონი	17	9	8	52.9
9. ოკლაჰომა	17	9	8	52.9
10. საკრამენტო	16	8	8	50.0
11. კლიპერსი	18	8	10	44.4
12. ნიუ ორლეანი	17	7	10	41.2
13. გ. სტეიტი	16	6	10	37.5
14. მემფისი	18	6	12	33.3
15. მინესოტა	17	2	15	11.8

ქულა

კარმელო ენტონი (დენ)	31.0
კობი ბრაიანტი (ლეი)	29.5
ლებრონ ჯეიმსი (კლივ)	29.2
კევინ დურანტი (ოკლ)	27.4
დირკ ნოვიცკი (დალ)	27.2
დუეინ უეიდი (მაი)	27.1
კრის ბოში (ტორ)	25.4
დენი გრეინჯერი (ინდ)	24.6
მონტა ელისი (გ-სტ)	24.4
გრეგორ ჯენინგსი (მილ)	21.8

მოხსნა

დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	12.4
კრის ბოში (ტორ)	12.2
უოაკიმ ნოა (ჩიკ)	12.1
ჯერალდ უოლასი (შარ)	11.8
კარლოს გუზერი (იუტ)	10.9
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	10.9
გრეგორ ჰეინუდი (ვაშ)	10.4
ენდრიუ ბინუმი (ლეი)	10.3
მარკუს კემბი (კლივ)	10.2

პასი

სტივ ნეში (ფინ)	12.1
დერონ უილიამსი (იუტ)	9.7
კრის პოლი (ნ-ორლ)	9.2
რაჟონ რონდო (ბოს)	9.0
ჯეისონ კიდი (დალ)	9.0
ლებრონ ჯეიმსი (კლივ)	8.0
ბაირონ დევისი (კლივ)	7.1
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	6.8
ხოსე კალდერონი (ტორ)	6.4
გილბერტ არენასი (ვაშ)	6.3

ჩაჭრა

მონტა ელისი (გ-სტ)	2.6
რაჟონ რონდო (ბოს)	2.5
კობი ბრაიანტი (ლეი)	2.3
ტრევორ არიზა (ჰიუ)	2.2
დუეინ უეიდი (მაი)	2.1
ანდრე იგუოდალა (ფილ)	2.1
კორი ბრიუერი (მინ)	2.1
ლარი ჰიუზი (ნ-იორ)	1.9
ჯონ სალმონსი (ჩიკ)	1.9
ბაირონ დევისი (კლივ)	1.9

დაუპრეპა

ჯოშ სმიტი (ატლ)	2.7
ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ)	2.4
გრეგ ოდენი (პორ)	2.3
მარკუს კემბი (კლივ)	2.1
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	2.0
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	1.9
გრეგორ ჰეინუდი (ვაშ)	1.9
ენდრიუ ბინუმი (ლეი)	1.9
სამუელ დალემბერი (ფილ)	1.9
კენდრიკ პერკინსი (ბოს)	1.9



მონტა 45-მდე აპიდა

გასულ საღამოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ოთხი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ორში ბოლო წამებამდე ბრძოლა იყო. მიმოხილვა ყველაზე დაძაბული შეხვედრით დავიწყოთ - „მილუოკი“-“ჩიკაგო“.

ორივე გუნდში უამრავი ტრავმირებული მოთამაშეა და ამიტომაც ამ მატჩში ძირითადად სასტარტო ხუთეულები ებრძოდნენ ერთმანეთს. „მილუოკიში“ **მაიკლ რედის** გარდა, კიდევ ხუთმა კალათბურთელმა ვერ შეძლო მოედანზე გასვლა. არანაკლები იყო „ჩიკაგოს“ დანაკლისი - „ხარებს“ **კირკ ჰაინრიხი** (ეს მცველი დაახლოებით ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს) და **ტაირუს ტომასი** არ ჰყავდათ.

მატჩის გმირი **ენდრიუ ბოგუტი** გახდა. „ირმების“ ავსტრალიელმა ცენტრმა წინა ექვსი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. ამ ექვსი მატჩიდან „ბაქსმა“ მხოლოდ ორი მოიგო. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ენდრიუ „მილუოკისთვის“ აღნიშნულ შეხვედრაშიც დამტკიცდა. ავსტრალიელის 22 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება და 3 ჩაჭრა „ირმების“ გამარჯვების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ „მილუოკის“ სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა 10-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. სტუმრებს სულ ცოტა დაკლდათ ანალოგიურ მიღწევამდე. **ტაჯ გიბსონი** უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო ან უფრო უკეთ რომ წარმოეჩინა საკუთარი თავი სათადარიგოთა სკამიდან შესულ **ბრედ მილერს**, მატჩის საბოლოო შედეგი, შესაძლოა, სხვანაირი ყოფილიყო. მილერს შეეძლო შეხვედრის გმირი გამხდარიყო, მაგრამ „ბულზის“ ბოლო შეტევა გააფუჭა. ზუსტის სროლის შემთხვევაში თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა - 99:97. **დენგისა** (22 ქულა, 14 მოხსნა) და **ნოას** (16 ქულა, 17 მოხსნა) ორმაგი დუბლი „ბულზისთვის“ საკმარისი არ აღმოჩნდა.

არანაკლებ დაძაბული აღმოჩნდა დუელი „ფილადელფიასა“ და „დალასს“ შორის. ტეხასელებმა მხოლოდ ბოლოსკენ გაინაღდეს გამარჯვება, არადა შეეძლოთ ასე არ გაერთულებინათ საქმე, რადგან მატჩის მსვლელობისას 17 ქულით იყვნენ წინ. 102:102-ზე საბოლოო სიტყვა **ჯეისონ ტერიმ** თქვა. სულ ამ მცველმა მატჩში 7 ქულა დააგროვა, მაგრამ აქედან ორს „მავერიქსისთვის“ ოქროს ფასი ჰქონდა. ჯეისონს **ვილი გრინი** მეურვეობდა და მიუხედავად ამისა, საშუალო დისტანციიდან ურთულესი ბურთი ჩაგდო - 104:102. ეს ყველაფერი საფინალო სირენამდე 1.4 წამით ადრე მოხდა. მაგრამ ამის შემდეგაც „დალასმა“ გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივარი. „ფილადელფიამ“ ბოლო შეტევა **იგუოდალას** მიანდო. ანდრეს ერთბაშად ორი ოპონენტი მივარდა, ამიტომაც ფორვარდს სამქულიანის ნაცვლად კარგი პასი გამოუვიდა **დალამბერზე,** რომელიც აბსოლუტურად უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი, მაგრამ ნახტომში უიოლესი ბურთი ააცილა. „დალასმა“ ამ გამარჯვებით გაიმეორა 2006-07 წლების სეზონის სტარტი - 13 მოგება და 5 წაგება. ის რეგულარული „კოვბოებმა“ მათთვის სარეკორდო 67 გამარჯვებით დაასრულეს. ვნახოთ, რა იქნება წელს.

„იუტა ჯაზი“ ერთი თავით მაღლა იდგა „მემფისზე“. „ჯაზმენებისთვის“ ეს ზედიზედ მესამე დიდი ანგარიშით გამარჯვება იყო.

„გოლდენ სტეიტს“ „ინდიანასთან“ ერთმა კაცმა მოაგებინა. **მონტა ელისმა** 42 წუთი დაყო მოედანზე და 45 ქულა, 5 მოხსნა და 5 ჩაჭრა დააგროვა! ეს კალათბურთელი გასული შვიდი დღის განმავლობაში ფანტასტიკურად გამოიყურება. ჯერ „დალასთან“ მატჩში შეუცვლელად ითამაშა 48 წუთი და 37 ქულა ჩააგდო, მომდევნო დღეს „სან ანტონიოსთან“ 42 ქულას მოუყარა თავი და პირადი რეკორდი დაამყარა, ახლა კი მონტას მონაგარმა 45 ქულა შეადგინა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ელისმა მეოთხე მეოთხედის შუაში მეექვსე პერსონალური მიიღო და ვადაზე ადრე დატოვა მოედანი. შესაბამისად, მონტა 2000-01 წლების სეზონიდან მოყოლებული მეხუთე კალათბურთელი გახდა, ვინც 40 ან მეტი ქულა დააგროვა და თან ექვსი პერსონალური მიიღო. ამ კალათბურთელების სია ასე გამოიყურება: 2004/05 - **ალენ აივერსონი**: 51; 2005/06 - **გილბერტ არენასი**: 47; 2005/06 - **პოლ პირსი**: 50; 2006/07 - **კობი ბრაიანტი**: 58; 2009/10 - მონტა ელისი - 45.

ისევ აივერსონზე

მართალია, „ფილადელფიამ“ „დალასთან“ დასანანი მარცხი განიცადა, მაგრამ გუშინ ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა. მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გუნდის წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები გამართეს ალენ აივერსონთან, რის შემდეგაც „სიქსერზის“ დამრიგებელმა **ედი ჯორდანმა** განაცხადა: *„კარგი საუბარი გამოგვივიდა. ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს რამდენიმე დღეში“.*

უახლოეს რამდენიმე დღეში კი, როგორც ამერიკული პრესა ვარაუდობს, ვეტერანი გამთამაშებელი „ფილადელფიას“ რიგებში ჩაირიცხება. ჟურნალისტები ზუსტ თარიღსაც ასახელებენ - 7 დეკემბერი.

ალენ აივერსონი 1996 წლის დრაფტის პირველი ნომერი გახდა და 2006 წლამდე „ფილადელფიას“ შემადგენლობაში თამაშობდა. ამ გუნდთან ერთად მან 2001 წლის ფინალურ სერიამდე მიაღწია და იმ სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. 2006 წელს ალენმა გაცვლა მოითხოვა და „დენვერში“ გადავიდა, შარშან „დეტროიტში“ თამაშობდა, წლევანდელი სეზონი კი „მემფისთან“ ერთად დაიწყო, მაგრამ სამი მატჩის ჩატარების შემდეგ კლუბთან კონტრაქტი განყვიტა.

ნეტსს ახალი მწვრთნელი ჰყავს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერაუტსადერმა „ნიუ ჯერსი ნეტსმა“ ახალი მწვრთნელი იპოვა. გუნდს სეზონის ბოლომდე გენერალური მენეჯერი **კიკი ვანდვეგე** უხელმძღვანელებს. მან დაიყოლია ვეტერანი მწვრთნელი **დელ ჰარისი** და ის თავის შტაბში შეიყვანა. ბოლოს კი მოლაპარაკებები გამართა კლუბის პრეზიდენტ **როდ ტორნთან** და საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ნეტსის“ ჭაობიდან ამოყვანას ვანდვეგე ეცდება. თუმცა მას სამწვრთნელო მოღვაწეობის არც ისე დიდი გამოცდილება აქვს - თავის დროზე „დალას მავერიქსში“ მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა.

ვანდვეგე კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს, მწვრთნელის მოვალეობების შესრულებას კი სავარაუდოდ შაბათიდან შეუდგება, როცა „ნიუ ჯერსი“ მორიგ კალენდარულ მატჩის „შარლოტის“ წინააღმდეგ გამართავს.

როგორც იტყობინებიან, ვანდვეგე ჯერ კიდევ შარშან აპირებდა „ნეტსის“ მწვრთნელობას, მაგრამ „ნიუ ჯერსის“ პრეზიდენტი ბოლომდე ენდობოდა **ლოურენს ფრენკს,** რომელიც ორი დღის წინ გადააყენეს თანამდებობიდან.



შეგახსენებთ, რომ „ნიუ ჯერსიმ“ სეზონი ზედიზედ 17 (!) წაგებით დაიწყო, რაც NBA-ის ყველა დროის ანტირეკორდის გამეორება გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

კვირის სიმბოლური

გამთამაშებელი: სტივ ნეში (ფინიქსი)
სტატისტიკა: 15 ქულა, 13 პასი, 2.5 მოხსნა
გუნდური შედეგი: 3 მოგება/0 წაგება

„ფინიქსი“ ინარჩუნებს ლიდერობას „ველურ“ დასავლეთში. ჩემპიონატის წინ „სანზი“ ფავორიტობიდან ყველას ჩამონერილი ჰყავდა. იმას, რასაც მარცვალ-მარცვალ აგროვებდნენ **ბრაიან კოლანჯელო** და **მაიკ დ'ანტონი, სტივ კერმა** მოუღო ბოლო. გაუმართლებელი ნაბიჯების მთელმა სერიამ, თითქოს საბოლოოდ დაანგრია ეს გუნდი.

მაგრამ „ფინიქსის“ უცვლელმა ლიდერმა **სტივ ნეშმა** მაინც გამონახა პასუხი კრიტიკოსებისთვის პასუხის გასაცემად. 35 წლის გამთამაშებელმა, როგორც თავის საუკეთესო წლებში, „მზეებს“ ძველი ბრწყინვალება დაუბრუნა. ამ კვირას არიზონელებმა 3 მატჩის გამართვა მოასწრეს და სამივეში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. ამ მატჩების მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, კანადელი მცველი გახლდათ.

შემტევი მცველი: მონტა ელისი (გოლდენ სტეიტი)
სტატისტიკა: 32.3 ქულა, 6 პასი, 4.3 მოხსნა
გუნდური შედეგი: 1 მოგება/2 წაგება

„გოლდენ სტეიტში“ სრული ქაოსის მიუხედავად, გუნდის ახალგაზრდა ლიდერი ყველანაირად ცდილობს მარტო გაუმკლავდეს წარუმატებლობების სერიას. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ **მონტა** ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება. მისმა „გიჟურმა“ თამაშმა მძლავრი „დალასი“ შეაჩერა და იმედის ნაპერწკალი გააჩინა დაუძლურებულ „მეომრებში“. სხვათა შორის, აქაურ სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის ელისის მიერ გუშინ „ინდიანასთან“ დაგროვილი 45 ქულა.

მსუბუქი ფორვარდი: კარმელო ენტონი (დენვერი)
სტატისტიკა: 32.8 ქულა, 4 პასი, 5.3 მოხსნა
გუნდური შედეგი: 3 მოგება/1 წაგება

რა თქმა უნდა, **კარმელო** გასული კვირის მთავარი ვარსკვლავია. შედეგიანობის რეკორდი, პირველი ადგილი დივიზიონში, ლიდერობა გუნდში და ბოლოს და ბოლოს, საუკეთესო პერიოდი კარიერაში! მელო აშკარად პიკს აღწევს. სრულიად კოლორადოს კერპი პირველ ადგილს იკავებს ლიგის ბომბარდირებს შორის. ასეთი თამაშით, მას არამარტო საუკეთესო ბომბარდირის ტიტულზე, არამედ სეზონის საუკეთესო კალათბურთელის პრიზზე შეუძლია პრეტენზიის გამოცხადება.

მძიმე ფორვარდი: ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
სტატისტიკა: 21.8 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 3.3 დაფარება
გუნდური შედეგი: 4 მოგება/0 წაგება

დღეს **ტიმ დანკანის** თამაშზე დაკვირვება - ერთობ სასიამოვნოა საქმეა. სანამ **გრეგ პოპოვიჩი** ავტომატიზმამდე დაიყვანს გუნდის როტაციას, სანამ **ტონი პარკერი** და **მანუ ჯინობილი** ბოლომდე მოირჩენენ ტრავმებს, ყველა დროის საუკეთესო ფორვარდი დამაჯერებლად მიუძღვება წინ თავის გუნდს. „სპურსს“ სეზონის სტარტი არც ისე კარგი გამოუვიდა, მაგრამ ტიმის ბრწყინვალე თამაშმა „სან ანტონიო“ კვლავ დააყენა გამარჯვების გზაზე.

ცენტრი: დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)
სტატისტიკა: 20.8 ქულა, 17.3 მოხსნა, 2.5 დაფარება
გუნდური შედეგი: 3 მოგება/1 წაგება

ისევე როგორც დანკანი, „სუპერმენიც“ თავიდან კარგად ვერ შევიდა სეზონში. მუდმივ ჯარიმებს და აქედან გამომდინარე, სათამაშო დროის ნაკლებობას ხშირად წყობიდან გამოჰყავდა ლიგის საუკეთესო ცენტრი. მაგრამ დროთა განმავლობაში ჰოვარდმა ემოციების გაკონტროლება ისწავლა და ეს მაშინვე დადებითად აისახა მის პირად სტატისტიკაზე. „მაიამისთან“ ფლორიდულ დერბიში დასანანმა მარცხმა ვერ იმოქმედა ცენტრისა და მისი გუნდის განწყობაზე. ორლანდომ კვირა გასვლაზე სამი მატჩის მოგებით დაასრულა, ხოლო ჰოვარდმა დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ ითვლება თავის ამპლუაში საუკეთესოდ.

უცხოური სპორტი

ბეისბოლი

ამერიკამ წლის სპორტსმენი იპოვა

2009 წელს ამერიკის საუკეთესო სპორტსმენად "ნიუ იორკ იანკიზის" ბეისბოლისტი **დერეკ ჯეტერი** სცნეს - ასეთია პოპულარული ჟურნალის Sports Illustrated-ის გამოკითხვის შედეგები.

"დაუჯერებლია. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს აღიარება. ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზი, რომლის მიღებაც ამერიკაშია შესაძლებელი. მინდა "იანკიზის" ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეების შორის დავიმკიდრო ადგილი, რათა გულშემატკივრებს არ დაავიწყდეთ ჩემი წვლილი გუნდის წარმატებებში", - ამბობს 35 წლის ჯეტერი.

Sports Illustrated-მა წლის სპორტსმენის ნომინაცია 1954 წელს დააწესა. შარშან პრიზის მფლობელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** გახდა.

კალათბურთი

უოკერი ისევ დაიჭირეს

"ბოსტონ სელტიქსის" ყოფილი ვარსკვლავი **ანტუან უოკერი** მორიგ სკანდალში გაეხვია. კალათბურთელი ლას ვეგასის ერთ-ერთი კაზინოში ყალბი ჩეკით შევიდა, რის გამოც პოლიციის ხელში აღმოჩნდა. იმისთვის, რომ საქმეს სისხლის სამართლის კვალიფიკაცია არ მიეღო, უოკერი დაახლოებით 900 ათასი დოლარის გადახდას დათანხმდა.

ადგილობრივმა სასამართლომ ანტუანს ნაღდი ფულით 135 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 13 ათას დოლარს გადაიხდის.

ასე რომ, უოკერი მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფება. ამის გამო, კალათბურთელის აგენტმა **ჯონათან პაუელმა** უკვე გამოაცხადა, რომ მისი კლიენტი მზად არის ამერიკის ან ევროპის ნებისმიერი კლუბისგან მიიღოს შეთავაზება და კარიერა განაახლოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1



წინასწარ სიაში 12 გუნდია

ფორმულა 1-ში მსოფლიოს 61-ე ჩემპიონატის დაწყებამდე 100 დღით ადრე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იმ გუნდებისა და პილოტების წინასწარი სია გამოაქვეყნა, რომელთა მონაწილეობა გაისად უკვე დადასტურებულია. სიაში შედის 15 პილოტი და 12 სარბოლო კოლექტივი. მათ შორის ვერ ვხედავთ "ტოიოტასა" და "ზაუბერს".

ამ სიაში, რა თქმა უნდა, მთავარ ყურადღებას საჯინიბოების შემადგენლობა იწვევს. პირველად გაერთიანებულ სიაში მოხვდნენ 2009 წლის მონაწილე გუნდები და დებიუტანტები, რომელთა რიცხვი საკმად დიდია. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ფედერაციის პრესრელიზში ვერ ვხედავთ "მანორს". ორი დღის წინ ამ გუნდმა სახელი შეიცვალა და მას ახლა Virgin Racing ეწოდება.

2010 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა წინასწარი სია:

მაკლარენი
1. ჯენსონ ბატონი
2. ლუის ჰემილტონი

მერსედეს გრან-პრი
3. ნიკო როსბერგი
4. უცნობია

რედ ბული
5. სებასტიან ფეტელი
6. მარკ უებერი

ფერარი
7. ფელიპე მასა
8. ფერნანდო ალონსო

უილიამსი
9. რუბენს ბარიკელო
10. ნიკო ჰიულკენბერგი

რენო
11. რობერტ კუბიცა
12. უცნობია

ფორს ინდია
14. ადრიან სუტილი
15. ვიტანტონიო ლიუცი

ბორო როსო
16. სებასტიან გუემი
17. უცნობია

ლოტუსი
18. უცნობია
19. უცნობია

კამეოსი
20. უცნობია
21. ბრუნო სენა

US F1
22. უცნობია
23. უცნობია

Virgin Racing
24. ტიმო გლოკი
25. უცნობია

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

I ლიგა

ბრენტფორდი-კოლჩესტერი	1:0
ბრაიტონი-ჩარლტონი	0:2
როვერსი-ეძსეტერი	1:0
კარლაილი-ჰარტლპული	3:2
ჰადერსფილდი-ტრანმერი	3:3
ლეიტონი-ჯილინგემი	3:1
ვილუოლი-მილტონი	3:2
ოლდჰემი-ლიდსი	0:2
საუთჰემპტონი-უიკომბი	1:0
საუთენდი-ნორვიჩი	0:3
იეოვილი-უოლსოლი	1:3
სტოკპორტი-სუინდონი	გადაიდო

II ლიგა

ბარნეტი-ბორნმუთი	1:1
ბრედფორდი-როჩდეილი	0:3
ბარტონი-აკრინგტონი	0:2
დაგენჰემი-ალდერშოტი	2:5
ლინკოლნი-პორტ ვეილი	1:2
მორეკამბი-ბერი	3:0
ნორთჰემპტონი-ჰერეფორდი	1:3
ნოტსი-დარლინგტონი	4:0
შრიუსბერი-როტერჰემი	2:0
ტორკი-ჩელტენემი	3:0

კონფერენსი

ალტრინჩემი-ბაროუ	0:1
კემბრიჯი-ჩესტერი	1:0
ძროული-ოძსფორდი	1:2
ეგსფლიტი-სტევენეიჯი	2:1
გეინტშილი-მენსფილდი	1:3
გრეისი-ჰისტონი	0:1
ჰეიესი-ისტბურნი	1:1
კიდერმინსტერი-ტამუორტი	0:0
რაშდენი-იორკი	0:1
სალისბერი-უიმბლდონი	0:2
რეძსემი-ფორესტ გრინი	1:0

ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

პორტსმუთი-ასტონ ვილა	2:4
მანჩესტერ იუნ.-ტოტენჰემი	2:0

ინგლისის თასი

ტრისტინა-სასუოლო	1:0
სამდორია-ლივორნო	1:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

აიაჩო-ლავალი	1:1
ანჟერსი-ნიმი	1:0
ბრესტი-ისტრი	1:0
შატორუ-გინგამი	0:1
კლერმონი-დიჟონი	0:2
ვანი-ტური	1:2
არლი-მეცი	2:0
სედანი-ნანტი	3:0
სტრასბური-ბასტია	2:1

პორტუგალია

II დივიზიონი

ფატიმა-ფეირენსე	1:0

შოტლანდია

I დივიზიონი

ძუინი-დანფერმლაინი	1:2
როსი-დანდი	0:1

III დივიზიონი

მონროუზი-ბირუიკი	1:3

შოტლანდიის თასი

პიტერჰედი-რეითი	1:4
კლაიდი-ლივინგსტონი	გადაიდო

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია A-გრატკორნი	გადაიდო

უკლი

გალა-უელშპული	2:1

რუმინეთი

ოცელული-ასტრა	3:2

ურუგვაი

სერო-რივერ პლეიტი	2:3

კალათბურთი

უეროთასი

აზოვმაში-ალბა	73:74
ტრუმფი-ჰემოფარმი	83:82
დინამო (მ)-შოლე	64:72
გეშიძთაში-ტელეკომი	102:98 (ო)
ნიმბურკი-ვენტსპილსი	79:57
ტურკ ტელეკომი-შარლერუა	91:67
შაულიაი-ზადარი	91:95
არისი-ჰაპოელი	81:77
ბილბაო-სპარტაკი	85:62
ნანსი-პანელინიოსი	72:81 (ო)
ბენეტონი-ცრვენა ზვეზდა	71:78
ვალენსია-ლე მანი	74:73
ტერამო-გალათასარაი	95:87
ხუვენტუდი-უნიძსი	71:82
გრან კანარია-ტურინი	85:74

ევროჩელენჯი

მინსკი-სკავოლინი	49:80
დონეცკი-ენისეი	80:90
ჟელეზნიკი-ბანვითი	82:74
ზაგრები-კერავნოსი	79:73
ალოეშტი-ლიეჟი	72:73
ვეფ რიგა-აასლტი	79:76
ბუდუჩნოსტი-ლოკომოტივი	61:49
აპოელ-ხიმიკი	104:71
ბეტინგენი-გრაველენი	81:51
ერტლანდი-ტარტუ	94:71
ველსი-ანტვერპენი	82:90
ეიფელ ტაუერსი-სტრასბური	85:90
მონსი-აელ	82:71
ამსტერდამი-კრასნიე კრილია	69:78
როანი-კიევი	73:70

პოკერი

ალ

ვიტიაზი-ტრაძტორი	2:3
ტორპედო-ავტომობილისტი	3:1
ცსკა-მეტალურგი (მ)	4:5

ავსტრია

ვენა-ზალცბურგი	3:3
ვილახი-აკრონი	4:1

გერმანია

აისბარენი-მანჰაიმი	3:3
კიოლნი-ჰანოვერი	5:5

დანია

ოდენსე-ფრედრიკშავნი	1:1
რუნგსტედი-ჰერნინგი	1:5
ესბერგი-ოლბორგი	5:6

ფინეთი

კიეკო-იუვიასკიულა	3:2
ლუკო-იოკერიტი	0:2
ჰიფკ-ესეტი	2:1

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-კლადნო	3:2
ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი	4:0
სპარტა-პარდუბიცე	2:2
სლავია-ლიტვინოვი	3:5

შვეიცარია

ბერნი-კლოტენი	2:1
ლანგნაუ-დავოსი	5:2
რაპერსვილი-ბილი	1:5
ცუგი-ციურიხი	6:4
ჟენევა-ფრიბურგი	5:2
ლუგანო-ამბრი პიოტა	4:4

შვედეთი

მოდო-აიკ	2:2
ტიმრა-ბრიუნასი	3:3
ფერიესტადი-იურგორდენი	4:2

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ბორონგო-ბაუალო 0:3

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 კინედი-2 (სეკეა-3, გრირი-1), 0:2 ტალინდერი-1 (დ. როი-14, ჰომინვილი-10), 0:3 ჰეხტი-4 (ჰომინვილი-11, მონტადორი-5).

კოლამბუსი-სტ. ლუისი 5:2

2:1, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 რასელი-1 (მაკენზი-3, ტორესი-5), 2:0 უმბერგერი-7 (ვორაჩეკი-10, რასელი-5), 2:1 ე. ჯონსონი-4, 2:2 კარია-6 (ოში-9, ბეესი-6), 3:2 უმბერგერი-8 (ბრასარი-13), 4:2 ვერმეტი-7 (უმბერგერი-10), 5:2 უმბერგერი-9 (ვერმეტი-14, ჰეიდა-3).

ფამპა ბეი-კოლორადო 0:3

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 დუშენი-5 (ჯ. სტიუარტი-9), 0:2 დუშენი-6 (ჯ. სტიუარტი-10, პ. შჩასტნი-20), 0:3 ვოლსკი-10 (გალიარდი-6).

კაროლინა-ვაშინგტონი 2:3

1:2, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 კორეო-4 (ტ. რუუტუ-10, ე. სტაალი-5), 1:1 ბეესტრიომი-5 (ოვეჩკინი-12, ფირუ-2), 1:2 ფერი-7 (ბეესტრიომი-21), 1:3 ბეესტრიომი-6 (ფერი-4), 2:3 კულენი-7 (ი. იოკინენი-10, ე. სტაალი-6).

ატლანტა-ფლორიდა 4:3

2:2, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 პოპოვიჩი-2 (ბულტონი-2), 1:1 უეისი-8 (ფროლიკი-7, ჰორტონი-15), 2:1 კოვალჩუკი-15 (ანტროპოვი-20), 2:2 ოლეში-6 (საიდენბერგი-10, რაინპრეხტი-10), 3:2 ტორნბურნი-3 (ბულტონი-3, რისნერი-9), 3:3 ფროლიკი-7 (უეისი-11), 4:3 აფინოგენოვი-11 (ანტროპოვი-21).

რეინჯერსი-პიტსბურგი 2:5

0:0, 2:2, 0:3

გოლები: 1:0 გაბორიკი-20 (პროსპალი-20, მ. სტაალი-8), 1:1 კროსბი-16 (ვერინი-11, გონჩარი-10), 1:2 რუბი-6 (ჯ. სტაალი-9), 2:2 გაბორიკი-21 (დრური-7, დელ ზოტო-12), 2:3 რუბი-7, 2:4 კროსბი-17 (იტონი-4, სკოულა-5), 2:5 რუბი-8 (კროსბი-16).

დეტროიტი-დალასი 4:1

1:1, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 დ. მილერი-2 (ლებდა-4, დრეიპერი-4), 1:1 მოროუ-11 (რობიდასი-11, დელეი-3), 2:1 ჰელმი-3 (დრეიპერი-5, ბერტუცი-8), 3:1 კლირი-5 (ზეტერბერგი-17, ჰოლმსტრიომი-5), 4:1 ბერტუცი-4 (დაციუკი-14).

ნეშვილი-კალგარი 0:5

0:0, 0:2, 0:3

გოლები: 0:1 მოსი-5, 0:2 დეივსი-8 (იგინლა-12, ფანოფი-6), 0:3 პარდი-2 (ო. იოკინენი-15, გლენკროსი-6), 0:4 გლენკროსი-6 (რეგერი-10), 0:5 იგინლა-17 (გლენკროსი-7, ფანოფი-7).

● ???????

2 დეკემბერი. ოთხშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

08:10 პრემიერლიგის სამყარო.
08:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
11:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:25 კალათბურთი. ევროთასი. აზოვმაში-ალბა.
14:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
15:50 სინქრონული ცურვა.
18:10 სპორტული ცეკვები.
19:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლამბუსი.
21:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. V ტურის წინ (LIVE).
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტვენტე-ფენერბაჰჩე (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-ლილი (LIVE).
02:00 კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური. რეალი-ხიმკი.
03:50 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე-ლიგა დე კიტო (LIVE).
05:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-რაპიდი.

SPORT 2 (უკრაინა)

09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. ხიმკი-პროკომი.
11:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
13:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
15:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 Red Bull-ის საჰაერო რბოლა. II ეტაპი. სან დიეგო. აშშ.
17:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეალი-ციურიხი.
18:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეინჯერსი-შტუტგარტი.
20:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აეკ-ევერტონი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-რაპიდი (LIVE).
02:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-ლილი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ვანკუვერი (LIVE).
06:45 ჰოკეი. NHL.
07:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სელტიკი-ჰაპოელი.

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
11:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
13:00 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები. 15 კმ. კუუსამო. ფინეთი.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
17:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის სუპერთასი. I დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
18:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის სუპერთასი. II დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
23:15 მულტისპორტი.
23:25 პოლო. ოქროს თასი. ესპანეთი.
00:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:25 ცხენოსნობა. ტურნირი Global Champions. სეზონის მიმოხილვა.
01:20 გოლფ-კლუბი.
01:25 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:30 მულტისპორტი.
01:45 სპორტული მიღწევები. ტელეჟურნალი.
02:00 სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
02:15 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
02:45 ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
03:15 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის სუპერთასი. II დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
04:15 მულტისპორტი.

● გოლფი

ვუდსმა სეზონი დაასრულდა

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** 2009 წელს არც ერთ ტურნირში არ მიიღებს მონაწილეობას. ამის მიზეზი ყველასთვის კარგად არის ცნობილი - სამი დღის წინ ვუდსი სერიოზულ ავტოავარიაში მოყვა და მძიმე დაზიანებები მიიღო.

ასე რომ, ტაიგერი გამოტოვებს ტურნირს - Chevron World Challenge, რომელიც მის მიერვე არის ორგანიზებული. *„იმედგაცრუებული ვარ, რადგან საკუთარ ტურნირში ვერ მივიღებ მონაწილეობას. ეჭვი არ მეპარება, კარგი სანახობა იქნება, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემ გარეშე ჩაივლის“*, - განაცხადა ამერიკელმა.

შეგახსენებთ, რომ ვუდსი ფლორიდაში, თავის სახლთან „კადილაკით“ ხეს შეეჯახა, რის გამოც მძიმე მგომარეობაში საავადმყოფოში მოხვდა. მოგვიანებით ვუდსმა აღიარა, რომ ავარია მისი მიზეზით მოხდა, მაგრამ დეტალების მოყოლისგან თავი შეიკავა.

● ქრივი

სუპერბრძოლა არ იქნება

ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და ამერიკელ **ფლოიდ მეიველერს** შორის 80 მილიონ დოლარად შეფასებული სუპერბრძოლის შესახებ მოლაპარაკებები ჩაშლილად გამოცხადდა, თუმცა ამაში ბრალი არ მიუძღვით მოკრივეთა პრომოუტერებს - **ბობ არუმსა** და **რიჩარდ შეფერს**. მიზეზი თავად ფილიპინელი მოკრივე გახლავთ, რომელიც მშობლიურ ქალაქ სარანგანის კონგრესის არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

პაკიაოს ახლო მეგობარმა ვებგვერდს BoxingScene.com-ს განუცხადა, რომ მენი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და რომ მას იქ კონკურენტები არ ეყოლება, რადგან ყველა უარს იტყვის კანდიდატურის წამოყენებაზე. ფილიპინელის პრომოუტერმა ბობ არუმმა კი დაადასტურა, რომ ბრძოლის გამართვა მაისში გამორიცხულია.

არუმის სიტყვები პაკიაოს მწვრთნელმა **ფრედი როუჩმაც** გაიმეორა, თუმცა მან მაინც ოპტიმიზმი გამოთქვა, რომ მენისა და ფლოიდის ბრძოლა გაიმართება, ოღონდ 2010 წლის სექტემბერში.

„სექტემბერში ვაპირებთ შეფერთან მოლაპარაკებას და მეივე ზერთან სუპერბრძოლის ორგანიზებას. ამ ეტაპზე კი საქმიანი ურთიერთობა გამორიცხულია. ფლოიდის წარმომადგენლებს, უბრალოდ, არ სურთ ჩვენთან კონტაქტი. მათ მხოლოდ ფული აინტერესებთ, კრივს კი ყურადღებას არ აქცევენ“, - ამბობს როუჩი.

● მძლეოსნობა

მერიონი კალათბურთს ითამაშებს

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა სააგენტო AP-მა. სკანდალურად ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი, დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიცირებული **მერიონ ჯენსი** ქალთა პროფესიულ საკალათბურთო ლიგაში - WNBA-ში მოსინჯავს ძალებს.

„სან ანტონიო სილვერ სტარზის“ მწვრთნელმა დენ ჰიუზმა დაადასტურა, რომ 34 წლის ჯონსი მის ასისტენტებთან გადის წვრთნას.

შეგახსენებთ, რომ მერიონ ჯონსი დაახლოებით ერთი წლის წინ გაათავისუფლეს ციხიდან, სადაც ის სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის გამო მოხვდა.

როგორც ირკვევა, ყოფილმა მძლეოსანმა კალათბურთში ვარჯიში ოქტომბერში დაიწყო, ხოლო *„სან ანტონიოდან“* მიწვევა მაისში მიიღო. *„ეს საშუალებას მომცემს ბევრ ადამიანს გავუგ ზავნო მესიჯი იმის შესახებ, რომ ხელების ჩამოშვება არ შეიძლება. კალათბურთი მეორე შანსს მაძლევს“*. - განაცხადა ჯონსმა, რომელმაც სიდნეის თამაშებზე მოპოვებული სამი მედალი დაუბრუნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

სხვათა შორის, ჯონსი კოლეჯში სწავლისას თამაშობდა კალათბურთს. დენ ჰიუზს მიაჩნია, რომ მერიონი არ პროგრესირებს, მაგრამ ვეტერანს მონდომებისთვის აქებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა